

2025 წლის ანგარიში გამჭვირვალობის შესახებ

EY საქართველო

■ ■ ■
The better the question. The better the answer.
The better the world works.



Shape the future
with confidence

შინაარსი

EY-ის ხელმძღვანელების მიმართვა.....	3
ჩვენ შესახებ.....	6
ხარისხის მართვის სისტემა	11
ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტები.....	16
ხარისხის მართვის სისტემის რისკის შეფასების პროცესი.....	17
მმართველობა და ხელმძღვანელობა	18
რეგულაციური ეთიკური და სამართლებრივი მოთხოვნები	19
ახალი კლიენტის აყვანა ან გარიგების მიღება და თანამშრომლობის გაგრძელება	22
გარიგების შედეგები	24
რესურსები.....	28
ინფორმაცია და კომუნიკაცია	37
ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი და ხარვეზების აღმოფხვრა (რემედიაცია)	37
ხარისხის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა	42
დამოუკიდებლობა პრაქტიკაში	49
ამონაგები და ანაზღაურება	54
ფინანსური ინფორმაცია.....	55
პარტნიორის ანაზღაურება	55
დანართი 1: აუდიტის სდპ კლიენტების სია.....	57
EY საქართველო აუდიტის სდპ კლიენტები	58
დანართი 2: EY-ის დამტკიცებული წვერი ფორმები	60



EY-ის ხელმძღვანელების მიმართვა



ტატო ჩანტლადე
EY საქართველო
მმართველი პარტნიორი



ანა კუსრაშვილი
EY საქართველო
მარწმუნებელი
მიმართულების
ხელმძღვანელი

ამ ანგარიშის შესახებ

წარმოგიდგენთ შპს „იუაის“ („EY საქართველო“) 2025 წლის ანგარიშს გამჭვირვალობის შესახებ. წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ აუდიტირებული კომპანიების ინვესტირებთან, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებთან და წევრებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი მექანიზმის როლს ასრულებს.

ჩვენ ვითავისებთ გამჭვირვალობის მიზნებს, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს კანონში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და 2025 წლის 16 მაისით დათარიღებულ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №5-5-ში საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფორმის მიერ გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე, რომლებითაც საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორებს საქართველოში ევალებათ გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოქვეყნება. EY საქართველოს 2025 წლის ანგარიში გამჭვირვალობის შესახებ შესაბამისობაშია ადგილობრივ სამართლებრივ მოთხოვნებთან და მოიცავს 2025 წლის 30 ივნისით დასრულებულ ფინანსურ წელს, ასევე უახლეს რელევანტურ მოვლენებს.

ამ ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას ხარისხის გაუმჯობესებაში ჩვენი ინვესტიციების შესახებ და ხაზს ვუსვამთ EY-ის ღირებულებებზე ორიენტირებულ მკაფიო კულტურას, ჩვენს მუდმივ სწრაფვას სრულყოფილებისკენ და იმას, თუ როგორ ვემზადებით მომავლისთვის, რათა შეუფერხებლად გავეწიოთ მაღალი ხარისხის, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აუდიტორული და მარწმუნებელი მომსახურება.

ჩვენი ერთგულება აუდიტის ხარისხისადმი

ჩვენი მარწმუნებელი პრაქტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს კაპიტალის ბაზრებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის გაღრმავებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინვესტიციების განხორციელებას და ეკონომიკურ ზრდას. მაღალი ხარისხის აუდიტორული და მარწმუნებელი მომსახურების გაწევა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს EY-ის მიზნის მიღწევაში, რაც არის უკეთესი ბიზნესგარემოს შექმნა უკეთესი მსოფლიოსთვის.

მაღალი ხარისხის აუდიტები იწყება დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობითა და კეთილსინდისიერებით და გულისხმობს პროფესიულ სკეპტიციზმს, შესაბამისობას პროფესიულ სტანდარტებთან და სათანადო პროფესიულ გულმოდგინებას. EY საქართველოს ხელმძღვანელები საფუძვლიანად აფასებენ შიდა და გარე შემოწმებების ან მონიტორინგის დროს წამოჭრილ საკითხებს ხარისხის მართვის სისტემაში, რათა განსაზღვრონ ის ასპექტები, სადაც შეიძლება აუდიტის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება. EY-ის ხარისხის გაუმჯობესების ჩარჩოს ცენტრალური ნაწილია ძირეული მიზეზის ანალიზი, რაც მოიცავს საკითხებს გარიგებისა და ხარისხის მართვის სისტემის დონეზე.

აუდიტის ხარისხის დასახეწად არაერთ ზომას ვიღებთ, რომელთა შორისაცაა ჩვენი პროცესების სტანდარტიზაცია, მართული სამუშაო პროცესების მიმართ ჩვენი მიდგომის განახლება და უახლესი ტექნოლოგია, ასევე EY-ის აუდიტის გუნდებისთვის რთულ საკითხებში მხარდაჭერის ცენტრალიზება და ამავდროულად ჩვენი ღირებულებების ერთგულება ჩვენი

ანგარიშვალდებულების ჩარჩოების მეშვეობით. ამასთანავე ვაგრძელებთ იმ პროცესის დახვეწას, რომელიც გულისხმობს შიდა და გარე შემოწმებების დროს გამოვლენილი ფაქტების ძირეული მიზეზების დადგენასა და მათზე რეაგირებას, და ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს, რათა განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება.

EY საქართველო გამუდმებით ცდილობს გასაუმჯობესებელი ასპექტების გამოვლენას, რათა ხარისხი კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, EY საქართველოს წლიური შეფასების დასკვნის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემა იმის დასაბუთებულ რწმუნებას იძლევა, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია. ამის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ამ ანგარიშის თავში „**ხარისხის მართვის სისტემა**“.

All in არის EY-ის გლობალური სტრატეგია და ამბიციია იმისა, რომ თავდაჯერებით შევქმნათ ჩვენი მომავალი და ერთად შევუწყოთ ხელი მიზანმიმართულ ზრდას. ამ გლობალური სტრატეგიის დანიშნულება არის ახალი ღირებულების შექმნა EY-ის დაინტერესებული მხარეებისთვის და პროფესიული მომსახურების სფეროში EY-ის მოწინავე პოზიციის მხარდაჭერა. ამ გლობალური სტრატეგიისა და EY-ის აუდიტის მრავალწლიანი გარდაქმნის პროცესის შესახებ დაწვრილებით წაიკითხავთ ამ ანგარიშის თავში „**ხარისხის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა**“. აქ ასევე შეიტყობთ, როგორ ვაგრძელებთ EY საქართველოს გუნდების მიერ აუდიტის განხორციელების მეთოდების გარდაქმნას.

EY-ის თანამშრომლებითა და კულტურით განპირობებული ხარისხი

ჩვენ ურყევი მიზანი გვაქვს, რომ შევქმნათ ისეთი გარემო, რომელშიც EY საქართველოს თანამშრომლები სრულად რეალიზდებიან. ეს გულისხმობს ნიჭიერი ადამიანების აყვანას, გადამზადებასა და შენარჩუნებას და EY-ის თანამშრომლების მხარდაჭერას იმაში, რომ მათზე მორგებული, მოქნილი კარიერული გზა გაიარონ, რაც მოიცავს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, პროექტში, საქმიანობის სფეროსა და მომსახურების მიმართულებაში მრავალ როლსა და გამოცდილებას. EY-ის თანამშრომლების კეთილდღეობასა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების შესახებ შეგიძლიათ მეტი შეიტყოთ თავში „**რესურსები**“. მიგვაჩნია, რომ ეს ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება ქოუჩინგში, ტრენინგსა და სამუშაო ადგილზე მხარდაჭერაში, დაეხმარება EY საქართველოს თანამშრომლებს იმ კომპლექსური უნარების შეძენასა და დახვეწაში, რომლებიც დღესდღეობით აუდიტის ჩასატარებლად არის საჭირო.

ხარისხი მხოლოდ ტექნიკური ასპექტებით კი არა, არამედ ასევე ქმედებებითა და ქცევებით არის განპირობებული. EY ცდილობს შეინარჩუნოს კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების კულტურა, სადაც ყველა პასუხისმგებელია მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებაზე. EY-ის კულტურას განამტკიცებს EY-ის იმ თანამშრომლების ღირებულებები:

- რომლებსაც გამოარჩევთ ისეთი თვისებები, როგორიცაა პატიოსნება, პატივისცემა, გუნდურობა და ინკლუზიურობა;
- რომლებსაც აქვთ, ენერგია და ენთუზიაზმი და ჰყოფნიან სიმაჟაცე, რომ გაუძღვნენ სხვებს;
- რომლებიც ურთიერთობებს აგებენ ეთიკურ შეხედულებებზე დაყრდნობით.

ყოველივე ამის მაგალითს, უპირველეს ყოვლისა, EY-ის ხელმძღვანელობა იძლევა. თავში „**მმართველობა და ხელმძღვანელობა**“, მეტს შეიტყობთ EY-ის კეთილსინდისიერების კულტურისა და EY-ის ქცევის გლობალურ კოდექსში მოცემული პრინციპების შესახებ.

ამ ანგარიშში ჩვენ ვეყრდნობით 2025 წლის აპრილის თანამშრომელთა მოსმენის კვლევის შედეგებს და 2025 წლის გლობალური ხარისხის კვლევის შედეგებს. ორივე გამოკითხვა მთელ მსოფლიოში იქნა დაგზავნილი. გლობალურ ხარისხის კვლევა გვამცნობს იმას, თუ როგორ აღიქვამენ EY საქართველოს თანამშრომლები ხარისხის კულტურას, მათ შორის ხელმძღვანელობის განწყობას და ყოველდღიურ საქმიანობაზე ამის ასახვას. თანამშრომლების მოსმენის კვლევა ღრმად გვახედებს EY საქართველოს თანამშრომლების გამოცდილებაში და სამომავლო პოტენციური ინვესტიციების აუცილებლობაში, რათა გაუმჯობესდეს მათი ყოველდღიურობა და სამუშაო გარემო.

EY-ის ხედვა საზოგადოებასთან და პლანეტასთან დაკავშირებით

მდგრადობის საკითხებისადმი ბიზნესების მიდგომა გადამწყვეტია მათი მედეგობისთვის და იმისთვის, რომ მათ გრძელვადიანი ღირებულება შექმნან თავიანთი ძირითადი დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის. ის, თუ როგორ რეაგირებს კომპანია ამ საკითხებზე და როგორ იტყობინება მათ შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. EY მდგრადობის მისაღწევად ცდილობს თავისი ნახშირბადის კვალის შემცირებას და კლიენტების მხარდაჭერას მდგრადობისკენ მიმართულ ღონისძიებებში. იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან EY-ის გუნდები ორგანიზაციებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (მდგრადობის) ანგარიშგებაში, წაიკითხავთ ამ ანგარიშის თავში „არაფინანსური ანგარიშგება“.

EY ასრულებს „წმინდა ნულოვან“ მიზანს და მუშაობს თავისი სამეცნიერო კვლევებს მისადაგებული დეკარბონიზაციის გეგმის შემდეგ ფაზაზე. EY საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს ამ მიზნების მიღწევაში. EY-ის სამომავლო ხედვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ნახეთ ჩვენი წლიური ანგარიში [EY Value realized 2025](#). ჩვენ მოვუწოდებთ EY-ის ყველა დაინტერესებულ მხარეს – მათ შორის კლიენტებსა და მათ ინვესტორებს, აუდიტის კომიტეტის წევრებსა და მარეგულირებელ ორგანოებს გააგრძელონ ჩვენთან EY-ის სტრატეგიისა და ასევე ამ ანგარიშში ასახული ნებისმიერი სხვა საკითხების განხილვა.



ტატო ჩანტლაძე

მმართველი პარტნიორი

შპს „იუაი“



ანა კუსრაშვილი

მარწმუნებელი მიმართულების ხელმძღვანელი

შპს „იუაი“



ჩვენ შესახებ

ჩვენ შესახებ



საქართველოში EY შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებით არის წარმოდგენილი, რომელიც არის დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის, „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ (EYG), წევრი ფირმა. ამ ანგარიშში ჩვენ ჩვენს თავს მოვიხსენიებთ, როგორც „EY საქართველო“ ან „ჩვენ“. EY ერთობლივად ეწოდება EYG-ის წევრი ფირმების გლობალურ ორგანიზაციას.

EY საქართველოს ფლობენ CCA ლიმიტედი და ფიზიკური პირები აუდიტორები (EY-ის პარტნიორები), რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორები არიან.

EY საქართველოს მართავს გენერალური დირექტორი („ქვეყნის მმართველი პარტნიორი“). EY-ის მმართველობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ თავი „შიდაქსელური შეთანხმებები“.

EY-ის წევრი ფირმები დაჯგუფებულები არიან სამი გეოგრაფიული არეალის მიხედვით: ამერიკის კონტინენტები, აზია-წყნარი ოკეანე, და ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, ინდოეთი და აფრიკა (EMEIA) (ტერიტორიები). ტერიტორიები მოიცავს უამრავ რეგიონს (რეგიონები). რეგიონებში შედიან EY-ის წევრი ფირმები მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.


2025 წლის 1 ივლისისთვის EY-მ განაახლა თავისი რეგიონების სტრუქტურა და ახლა, მანამდე არსებული გარკვეული რეგიონები გაერთიანების შედეგ, მას 10 რეგიონი აქვს.

EY საქართველო EMEIA-ს ტერიტორიის ნაწილია. EMEIA-ს ტერიტორიაში რვა რეგიონი შედიოდა 2025 წლის 1 ივლისისთვის, რომელთა რიცხვი ხუთამდე შემცირდა რეგიონების გაერთიანების შედეგად. EY საქართველო ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის („CESA“) რეგიონში შედიოდა და 2025 წლის 1 ივლისიდან შედის ევროპის ცენტრალურ რეგიონში.

Ernst & Young EMEIA ლიმიტედი („EMEIA ლიმიტედი“), გარანტიით შეზღუდული ინგლისური კომპანია არის EMEIA-ს რეგიონში EY-ის წევრი ფირმების მთავარი მაკოორდინირებელი სუბიექტი. „EMEIA ლიმიტედი“ ხელს უწყობს ამ ფირმების კოორდინირებას და თანამშრომლობას ერთმანეთს შორის, მაგრამ ის არ აკონტროლებს მათ. „EMEIA ლიმიტედი“ არის EYG-ის წევრი ფირმა, არ აწარმოებს ფინანსურ ოპერაციებს და არ უზრუნველყოფს რამე ტიპის პროფესიულ მომსახურებას.

ყოველი რეგიონი ირჩევს პარტნიორების რეგიონულ ფორუმს (RPF), რომლის წარმომადგენლები რეგიონულ ლიდერებს უწევენ კონსულტაციებს და ეხმარებიან გადაწყვეტილებების მიღებაში. პარტნიორი, რომელსაც აირჩევენ RPF-ს თავმჯდომარედ, ასევე ასრულებს გლობალური მმართველობის საბჭოს რეგიონული წარმომადგენლის როლს (იხ. მე-9 გვერდი).

EY-ის ტერიტორიები და რეგიონები*



*რიცხვები მოცემულია 2025 წლის 1 ივლისისთვის.



შიდაქსელური შეთანხმებები

EY არის მსოფლიო ლიდერი მარწმუნებელი, საგადასახადო, სტრატეგიისა და ტრანზაქციების და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. მსოფლიოს მასშტაბით, EY-ის 400,000 თანამშრომელი 150-ზე მეტ ქვეყანაში და ტერიტორიაზე ემსახურება საერთო მიზანს, რაც არის უკეთესი ბიზნესი უკეთესი მსოფლიოსთვის, მათ აერთიანებთ საზიარო ღირებულებები და ურყევი ერთგულება ხარისხის, კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სკეპტიციზმისადმი. დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე EY-ის უნაკლოდ ინტეგრირებული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის საერთაშორისო აუდიტის ჩასატარებლად, რომელმაც შეიძლება მოიცავს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ეს მიდგომა EY-ის წევრ ფირმებს ეხმარება იმაში, რომ გამოიმუშაონ და გამოიყენონ ცოდნისა და გამოცდილების ის დიაპაზონი და სიღრმე, რომელიც საჭიროა ასეთი მრავალფეროვანი და კომპლექსური აუდიტორული შემოწმებების ჩასატარებლად.

EYG ახდენს EY-ის წევრი ფირმების სხვადასხვა საქმიანობის კოორდინირებას და ახალისებს მათ

შორის თანამშრომლობას. EYG თვითონ არ სწევს მომსახურებას, მაგრამ მის ამოცანებს შორის არის მთელი მსოფლიოს მასშტაბით EY-ის წევრი ფირმების მიერ კლიენტების უმაღლეს დონეზე მომსახურების ხელშეწყობა. EY-ის თითოეული წევრი ფირმა ცალკე იურიდიული ერთეულია. EY-ის ყოველი წევრი ფირმის, როგორც EYG-ის წევრის, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება EYG-ის რეგულაციებით და სხვადასხვა შეთანხმებებით.

All in სტრატეგიის ფარგლებში, EY-მ გაამარტივა თავისი სტრუქტურა და 2025 წლის 1 ივლისიდან 18 რეგიონიდან 10-ზე გადავიდა. ახალი სტრუქტურა დაგეგმარება მომავალზე ორიენტირებული ინვესტიციების განხორციელებაში, მათ შორის, იმ ინვესტიციებისა, რომლებიც უკავშირდება EY-ის აუდიტის გარდაქმნის პროცესს. რაც შეეხება EY საქართველოს კლიენტებს, მიგვაჩნია, რომ ახალი სტრუქტურა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მრავალპროფილურ მიდგომას, რაც ესოდენ საჭიროა მათი აუდიტისთვის, და ამავდროულად მათთვის ხელმისაწვდომი დარჩება მაღალი ხარისხის, თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული სერვისების პაკეტი მარწმუნებელი მომსახურებისა და EY-ის სხვა მომსახურების მიმართულებებიდან. EY საქართველოს თანამშრომლებისთვის ახალი სტრუქტურა ნიშნავს მობილობას და გაუმჯობესებულ კარიერულ შესაძლებლობებს

უფრო დიდი გეოგრაფიულ არეალზე, რაც, ჩვენი აზრით, EY საქართველოს დაეხმარება საუკეთესო თანამშრომლების შენარჩუნებასა და ნიჭიერი ადამიანების მოზიდვაში.

EY-ის გლობალური ორგანიზაციის სტრუქტურა და მთავარი სუბიექტები, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი, ასახავს იმ პრინციპს, რომ EY-ს, როგორც გლობალურ ორგანიზაციას აქვს საერთო საზიარო სტრატეგია.

ამავდროულად, EY-ის ქსელი ფუნქციონირებს რეგიონულ დონეზე სხვადასხვა ტერიტორიაზე. ეს საოპერაციო მოდელი საშუალებას იძლევა, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს დაინტერესებულ მხარეებს რეგიონებში და EY-ს წევრმა ფირმებმა უფრო მტკიცე ურთიერთობები დაამყარონ კლიენტებთან და სხვებთან თითოეულ ქვეყანაში და უფრო სწრაფად მოახდინონ რეაგირება ადგილობრივ საჭიროებებზე.



გლობალური მმართველობის საბჭო (GGC)

GGC არის EYG-ის მთავარი მმართველობითი ორგანო. მასში შედის ერთი ან მეტი წარმომადგენელი თითოეული რეგიონიდან, ასევე სხვა ზოგადი წარმომადგენლები EY-ის წევრი ფირმებიდან და დამოუკიდებელი არააღმასრულებელი პირები. რეგიონულ წარმომადგენლებს, რომლებიც არ იკავებენ უმაღლეს ხელმძღვანელ პოზიციებს, RPF-ებში ირჩევენ სამი წლის ვადით და უფლებით, რომ ერთხელ ხელახლა იქნენ არჩეული კიდევ დამატებით სამი წლის ვადით. EY US-ის GGC-ს წარმომადგენლები არიან თავიანთი არჩეული მმართველობითი საბჭოს წევრები. GGC კონსულტაციებს უწევს EYG-ს სხვადასხვა პოლიტიკის, სტრატეგიისა და გადაწყვეტილების მიღების საზოგადოებრივი ინტერესების ასპექტებზე. GGC, როგ შემაჯავებში Global Executive-ის (GE) რეკომენდაციების საფუძველზე, ამტკიცებს გარკვეულ საკითხებს, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს EY-ზე.



დამოუკიდებელი არააღმასრულებელი პირები

EY-ის გარედან ინიშნება ექვსამდე გლობალური დამოუკიდებელი არააღმასრულებელი პირი. ისინი არიან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები საჯარო ან კერძო სექტორიდან, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან და ერთმანეთისგან განსხვავებული პროფესიული ცოდნით. მათ გლობალურ ორგანიზაციაში და GGC-ში შემოაქვთ მნიშვნელოვანი სარგებელი თავიანთი განსხვავებული ხედვისა და ღრმა კომპეტენციის სახით. გლობალური დამოუკიდებელი

არააღმასრულებელი პირები ასევე შეადგენენ GGC-ის საზოგადოებრივი ინტერესის ქვეკომიტეტის წევრების უმრავლესობას. საზოგადოებრივი ინტერესის ქვეკომიტეტის მოვალეობებში შედის კონსულტაციების გაწევა გადაწყვეტილების მიღების პროცესის საზოგადოებრივი ინტერესის ასპექტებზე და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგზე, ანონიმური მხილების პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით წამოჭრილ საკითხებზე და მონაწილეობა რისკის მართვის შესახებ დისკუსიებში. გლობალურ დამოუკიდებელ არააღმასრულებელ პირებს ასახელებს საგანგებო კომიტეტი, ამტკიცებს GE და რატიფიცირებას ახდენს GGC.



Global Executive (GE)

GE თავს უყრის EY-ის ლიდერობის ფუნქციების, მომსახურების მიმართულებებსა და გეოგრაფიულ არეალს. მას სათავეში უდგას თავმჯდომარე და EYG-ის გენერალური დირექტორი და მასში შედიან:

- კლიენტების მომსახურების, ბიზნესის ხელშეწყობი, ზრდისა და ინოვაციის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და რისკის მიმართულებების გლობალური მმართველი პარტნიორები;
- ტერიტორიის მმართველი პარტნიორები;
- გლობალური ვიცეთავმჯდომარე – ტალანტი;
- გლობალური ვიცეთავმჯდომარე – კლიენტები და დარგები;
- გლობალური ვიცეთავმჯდომარე – სტრატეგია;
- გლობალური ვიცეთავმჯდომარე - ალიანსი და ეკოსისტემები;
- მომსახურების მიმართულების გლობალური ლიდერები – მარწმუნებელი, საკონსულტაციო, სტრატეგიისა და ტრანზაქციების, და საგადასახადო;
- განვითარებადი ბაზრების საბჭოს თავმჯდომარე.

GE და GGC ამტკიცებენ EYG-ის თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის კანდიდატურებს და გლობალური მმართველი პარტნიორებისა და ტერიტორიის მმართველი პარტნიორების დანიშვნას. GGC ასევე ახდენს ყველა სხვა პირის დანიშვნის რატიფიცირებას, რომლებიც GE-ის წევრები არიან.

GE-ის პასუხისმგებლობაა, ემსახუროს გლობალურ მიზნებს და განავითაროს, დაამტკიცოს და, სადაც საჭიროა, განახორციელოს:

- გლობალური სტრატეგიები და გეგმები;

- ყველა სტანდარტი, მეთოდოლოგია და პოლიტიკა, რომლებიც უნდა დაინერგოს EY-ის წევრ ფირმებში;
- თანამშრომლებთან დაკავშირებული ინიციატივები, მათ შორის პარტნიორების დანიშვნის, შეფასების, განვითარების, ანაზღაურებისა და პენსიაზე გასვლის კრიტერიუმები და პროცესები;
- ხარისხის გაუმჯობესებისა და დაცვის პროგრამები;
- მარეგულირებელ ორგანოებთან და საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ წინადადებები;
- პოლიტიკა და მითითებები, რომლებიც უკავშირდება EY-ის წევრი ფირმების მიერ საერთაშორისო კლიენტების მომსახურებას, ბიზნესის განვითარებას და ბაზრებსა და ბრენდირებას;
- EY-ის განვითარების ფონდები და საინვესტიციო პრიორიტეტები;
- EYG-ის წლიური ფინანსური ანგარიშები და ბიუჯეტები;
- GGC-ის რეკომენდაციები გარკვეულ საკითხებზე.

GE-ს ასევე რეგულარულად ეცნობება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული პრიორიტეტები და საკითხები, რომლებიც შეიძლება მოითხოვდეს მათ ყურადღებას.

ამასთან, GE-ს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ იშუამავლოს და განიხილოს დავები EY-ს წევრ ფირმებს შორის.



გლობალური პრაქტიკის ჯგუფი

გლობალური პრაქტიკის ჯგუფი აერთიანებს GE-ის წევრებს და სხვადასხვა მომსახურების მიმართულების, გეოგრაფიული არეალის, სექტორისა და ფუნქციების ლიდერებს. მისი მიზანია უზრუნველყოს EY-ის სტრატეგიული მიზნების ერთნაირი აღქმა, რათა მიაღწიოს გლობალურ შეკავშირებულობას და თანმიმდევრულ განხორციელებას მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.



EY-ის წევრი ფირმები

EYG-ის რეგულაციების თანახმად, EY-ის წევრი ფირმები ვალდებულია იღებენ, შეასრულონ EY-ის მიზნები, როგორცაა მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამისათვის ისინი კისრულობენ გლობალური სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელებას და ცდილობენ, რომ შეთავაზებული მომსახურების საგანი აკმაყოფილებდეს კომპეტენციის სავალდებულო დონეს. მათ ევალებათ საერთო სტანდარტებთან, მეთოდოლოგიებთან და სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა, მათ შორის აუდიტის მეთოდოლოგიის, ხარისხის მართვის სისტემის, რისკის მართვის, დამოუკიდებლობის, ცოდნის გაზიარების, ტალანტისა და ტექნოლოგიის შესახებ.

EY-ის წევრი ფირმები, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას იღებენ, თავიანთი პროფესიული პრაქტიკა განახორციელონ მოქმედი პროფესიული და ეთიკური სტანდარტებისა და ყველა ძალაში მყოფი კანონის დაცვით. კეთილსინდისიერებისა და სწორად მოქცევის მნიშვნელობას ხაზს უსვამს EY-ის ქცევის გლობალური კოდექსი და EY-ის ღირებულებები (იხ. მე-18 გვერდი).

EYG-ის რეგულაციების დაცვაზე დათანხმების გარდა, EY-ის წევრი ფირმები სხვა რამდენიმე შეთანხმებასაც დებენ, რომლებიც ფარავს EY-ის ორგანიზაციაში მათი წევრობის ისეთ ასპექტებს, როგორცაა EY-ის სახელის გამოყენების უფლება და ვალდებულება, ცოდნის გაზიარება EY-ის წევრ ფირმებს შორის.

EY-ის წევრი ფირმები ექვემდებარებიან მიმოხილვას, რათა შეფასდეს, რამდენად სრულდება EYG-ის მოთხოვნები და სხვადასხვა პოლიტიკა, რომლებიც ფარავს ისეთ საკითხებს, როგორცაა დამოუკიდებლობა, რისკის მართვა, აუდიტის მეთოდოლოგია და ტალანტი. EY-ის წევრ ფირმებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ხარისხის სტანდარტებს ან EYG-ის წევრობის სხვა მოთხოვნებს, შეიძლება დაექვემდებარნენ EY-ის ორგანიზაციიდან გარიცხვას.



ხარისხის მართვის სისტემა

ხარისხის მართვის სისტემა

EY-ის წევრმა ფირმებმა დაასრულეს თავიანთი ხარისხის მართვის სისტემის მესამე ყოველწლიური შეფასება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ISQM 1) მოთხოვნების შესაბამისად.

ხარისხის მართვის სისტემა ხაზს უსვამს აუდიტის ჩატარებისას EY-ის ერთგულებას გამჭვირვალობის იდეის მიმართ, მუდმივ გაუმჯობესებას და უმკაცრესი სტანდარტების დაცვას.

ხარისხის მართვის სისტემა ასევე განამტკიცებს ხარისხის კულტურას და ტონს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში, მკაფიოდ განსაზღვრავს ლიდერთა პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას ხარისხთან მიმართებით.

ხარისხის მართვის ოპერაციების გლობალური სისტემის განყოფილება, რომელსაც უძღვება ხარისხის მართვის ოპერაციების გლობალური სისტემის ლიდერი, შეიმუშავებს და მუდმივად ხვეწს ხარისხის მართვის სისტემას EY-ის წევრი ფირმებისთვის, რათა მათ ის დანერგონ და მოარგონ ადგილობრივ სპეციფიკას. მაშინ, როცა EY-ის წევრი ფირმები არიან საბოლოოდ პასუხისმგებელნი ხარისხის მართვის სისტემის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ხარისხის მართვის ოპერაციების გლობალური სისტემის განყოფილება შემდეგ აქტიურ მხარდაჭერას უწევს EY-ის წევრ ფირმებს:

- სხვადასხვა პოლიტიკისა და პროცედურის შემუშავება ხარისხის მართვის არსებული რეგულაციების საფუძველზე;
- საბაზისო ხარისხის მიზნების, რისკებისა და რეაგირების (მაგ., კონტროლების) განახლება;
- ყოველწლიური რისკების ყოვლისმომცველი შეფასების ჩარჩოს მიწოდება, რომელიც გამოყენებული იქნება წევრი ფირმების სპეციფიკური დამატებითი ხარისხის ამოცანების, რისკებისა და რეაგირების მექანიზმების იდენტიფიცირებისთვის;
- EY-ის წევრი ფირმების ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის თაობაზე დასკვნის გამოსატანად მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად ინსტრუმენტების, მითითებებისა და ტრენინგების შემუშავება და განახლება.

ხარისხის მართვის მონიტორინგისა და ანალიზის გლობალური სისტემის განყოფილება, რომელსაც უძღვება ხარისხის მართვის მონიტორინგისა და ანალიზის გლობალური სისტემის ლიდერი, ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს თემატიკის შეფასებით და მონიტორინგის აქტივობებიდან სწავლით, რათა დაეხმაროს EY-ის წევრ ფირმებს იმაში, რომ პროაქტიულად გაუმკლავდნენ რისკებს.

ხარისხის მართვის გლობალური სისტემის ლიდერები აქტიურად იყენებენ ორიენტირებულები საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების დაცვაზე, და ბოლო პერიოდში ისინი ემზადებოდნენ საჯარო კომპანიების აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB) ხარისხის კონტროლის (QC) 1000 სტანდარტის დასაწერად, რომელიც ძალაში შედის 2026 წლის 15 დეკემბერს.

ISQM 1-ის კონტექსტში და ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიური შეფასების ფარგლებში, EY საქართველო გულისხმობს შპს იუაის მიერ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ან მიმოხილვის, ან სხვა მარწმუნებელი ან მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესრულებას.



ჩვენი, როგორც აუდიტორების როლი

EY-ის წევრი ფირმების ვალდებულება, უზრუნველყონ მაღალი ხარისხის აუდიტი, წარმოადგენს EY Global-ის All in სტრატეგიის ფუნდამენტურ საფუძველს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი, როგორც აუდიტორების როლისთვის, რომ ხელი შევეწყოთ ნდობისა და გამჭვირვალობის ჩამოყალიბებას ფინანსურ ანგარიშგებაში და ვემსახუროთ საზოგადოებრივ ინტერესს. EY საქართველოს რეპუტაცია მაღალი ხარისხის პროფესიული აუდიტორული მომსახურების დამოუკიდებლად და ობიექტურად მიწოდების კუთხით, არის ჩვენი პრიორიტეტი და ფუნდამენტური ფაქტორი ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი აუდიტორების წარმატებისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ ინვესტირებას ხარისხის მართვის სისტემაში და მეტი ობიექტურობის, დამოუკიდებლობისა და პროფესიული სკეპტიციზმის წახალისებას. ყოველივე ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს მაღალი ხარისხის აუდიტის ჩატარებისთვის. ამ ძალისხმევით უმნიშვნელოვანესია ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება.

EY საქართველოში ჩვენი, როგორც აუდიტორების როლია რწმუნების მოპოვება აუდიტირებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების სამართლიან წარდგენასთან დაკავშირებით. ჩვენ თავს ვუყრით კვალიფიციურ გუნდებს აუდიტორული მომსახურების უზრუნველსაყოფად, ვეყრდნობით რა ჩვენს ფართო ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა დარგობრივ სექტორებსა და სერვისებში. ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ ხარისხისა და რისკის მართვის პროცესების იმგვარად დახვეწას, რომ ჩვენი მომსახურების ხარისხი ყოველთვის მაღალ დონეზე შენარჩუნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი და დაინტერესებული მხარეები კვლავაც ითხოვენ მაღალი ხარისხის აუდიტს, ისინი ასევე ითხოვენ აუდიტორული მომსახურების გაწევის სულ უფრო ეფექტიან და ეფექტურ გზებს. EY აგრძელებს საკუთარი აუდიტორული მეთოდოლოგიისა და პროცესების ეფექტიანობისა და ეფექტურობის, ამასთანავე, აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების გზების მოძიებას.

EY Global ცდილობს გაერკვეს, რა შემთხვევაში არ შეესაბამება EY-ის წევრი ფირმების აუდიტის ხარისხი თავისი და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აუდიტის მარეგულირებელი ორგანოების, მოლოდინებს. ეს გულისხმობს გარე და შიდა შემოწმებებისგან და სხვა მონიტორინგის აქტივობებისგან გამოცდილების მიღებას, და ასევე ხარისხის ინციდენტების და დადებითი ხარისხის შედეგების ძირეული მიზეზების დადგენას აუდიტის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.



ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება

ISQM 1 მოითხოვს ხარისხის მართვისადმი პროაქტიულ და რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც EY-ის წევრ ფირმებს ავალდებულებს უზრუნველყონ ხარისხის მართვის სისტემის შემუშავება, დანერგვა და ფუნქციონირება. ISQM 1 ასევე მოითხოვს ხარისხის მართვის სისტემის მინიმუმ ყოველწლიურად შეფასებას.

ISQM 1 მოიცავს მოთხოვნებს პროფესიული საბუღალტრო ფირმების მმართველობის, ლიდერობისა და კულტურის შესახებ, და მოითხოვს რისკის შეფასების პროცესს, რათა ფირმის ყურადღება გამახვილდეს იმ რისკების შემცირებაზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გარიგების ხარისხზე. ეს ასევე მოითხოვს ხარისხის მართვის სისტემის მკაცრ მონიტორინგს, რათა გამოვლინდეს ის ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას და ქმნის საფუძველს ხარისხის მართვის სისტემის საერთო ეფექტიანობის შესაფასებლად.

ISQM 1 აღწერს ხარისხის მართვის სისტემისადმი ინტეგრირებულ და განმეორებად მიდგომას, რომელიც ეყრდნობა ფირმის ხასიათსა და გარემოებებს, ასევე მის მიერ განხორციელებულ გარიგებებს. ის ასევე ითვალისწინებს ფირმების პრაქტიკასა და სხვადასხვა საოპერაციო მოდელებში (მაგ., ტექნოლოგიების გამოყენება, ქსელური და მრავალპროფილური ფირმები) შესულ ცვლილებებს.

EY-ის მიდგომა, ისეთი ხარისხის მართვის სისტემის შემუშავება, დანერგვა და ფუნქციონირება, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენება EY-ის

წევრი ფირმების მთელ ქსელში, რათა ხელი შეუწყოს გარიგებების ხარისხს და საოპერაციო ეფექტიანობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალურ ეკონომიკაში, სადაც მრავალი აუდიტი ტრანსნაციონალურია და გულისხმობს EY-ის სხვა წევრი ფირმების ჩართულობას.

ამ მიზნის მისაღწევად, EY-ის წევრ ფირმებს აქვთ წვდომა სხვადასხვა გარკვეულ პოლიტიკაზე, ტექნოლოგიაზე, სტრატეგიასა და პროგრამაზე, რომლებიც გამოყენებული იქნება EY-ის წევრი ფირმების ხარისხის მართვის სისტემების შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების პროცესში. ამ რესურსების მიზანია EY-ის წევრი ფირმებისა და მათი თანამშრომლების მხარდაჭერა.

მაგალითად, EY-ის მიდგომა სავალდებულო რისკის შეფასების პროცესისადმი მოიცავს ამოსავალ მონაცემებსა და უკუკავშირს EY-ის მომსახურების მიმართულებებიდან, ფუნქციებიდან (განყოფილებებიდან) და გეოგრაფიული არეებიდან, რათა შეიმუშაოს გლობალური საბაზისო მინიმალური სტანდარტები, მათ შორის ხარისხის მიზნები (ISQM 1-ის მოთხოვნებზე დაყრდნობით), ხარისხის რისკები და მათზე რეაგირების ზომები (მათ შორის, ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი კონტროლის მექანიზმები), რომლებიც, სავარაუდოდ, ვრცელდება EY-ის წევრ ფირმებზე. გარდა ამისა, ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მხარდასაჭერად შემუშავდა გლობალური ინსტრუმენტები.

EY-ის წევრი ფირმები, მათ შორის საქართველოში არსებულ ფირმები, საბოლოოდ აგებენ პასუხს თავიანთი ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე და ვალდებული არიან:

- შეაფასონ პოლიტიკები, ტექნოლოგიები, სტრატეგიები, პროგრამები და საბაზისო ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები და მათზე რეაგირების ზომები;
- განსაზღვრონ, საჭიროა თუ არა ფირმის მიერ მათი დამუშავება ისე, რომ გამოსაყენებლად ვარგისი იყოს (მაგალითად, საჭიროებს თუ არა პოლიტიკა ცვლილებას ადგილობრივ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობისთვის, ან აუცილებელია თუ არა შინაარსის ადგილობრივ ენაზე თარგმნა).



ხარისხის მართვის სისტემის როლები

EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, პირებს ენიჭებათ ხარისხის მართვის სისტემური როლები. ამ პირებს გააჩნიათ სათანადო გამოცდილება, ცოდნა, გავლენა და უფლებამოსილება, ასევე საკმარისი დრო,

რომ შეასრულონ ხარისხის მართვის სისტემაში არსებული თავიანთი როლები და ისინი ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი პასუხისმგებლობების შესრულებაზე.

ხარისხის მართვის სისტემის როლები და მოვალეობები განსაზღვრულია ხარისხის მართვის გლობალურ პოლიტიკებში, EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის განხორციელებაში თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. EY-ის წევრ ფირმებში ან რეგიონული ლიდერების როლებში მყოფი პირებისთვის არსებობს ანგარიშვალდებულების ჩარჩოები, რომლებიც ასახავს, თუ როგორ დაეკისრებათ მათ ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული მოვალეობებისთვის, ისევე როგორც სხვა ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობისთვის, და როგორ არის ებმის ეს მოვალეობები მათ შესრულების შეფასებას.

ხარისხის მართვის სისტემაში მთავარი როლები მოიცავს შემდეგს:

საბოლოო პასუხისმგებლობა და

ანგარიშვალდებულება: ქვეყნის მმართველ პარტნიორს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე, მათ შორის, მისი ეფექტიანობის შეფასებასა და საბოლოო დასკვნის გამოტანაზე;

ხარისხის მართვის სისტემაზე საოპერაციო

პასუხისმგებლობა: ქვეყნის აუდიტის მიმართულების ხელმძღვანელს ეკისრება ხარისხის მართვის სისტემაზე საოპერაციო პასუხისმგებლობა: ეს მოიცავს გამოსწორების პროცესის ზედამხედველობას და ხარისხის მართვის სისტემის წლიური შეფასების დასკვნის რეკომენდაციის სახით წარდგენას ქვეყნის მმართველი პარტნიორისთვის;

საოპერაციო პასუხისმგებლობა დამოუკიდებლობის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე: ქვეყნის დამოუკიდებლობის ლიდერი არის პირი, რომელსაც ეკისრება საოპერაციო პასუხისმგებლობა დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგზე

საოპერაციო პასუხისმგებლობა: ქვეყნის პროფესიული პრაქტიკის დირექტორი არის პირი, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგზე საოპერაციო პასუხისმგებლობა: ეს მოიცავს მონიტორინგის პროცესის ზედამხედველობას და ხარისხის მართვის სისტემის წლიური შეფასების რეკომენდებულ დასკვნაზე დათანხმებას ან მასში ცვლილებების შეთავაზებას.



ეფექტურობა:

წლიური შეფასების დასკვნა

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ქვეყნის მმართველი პარტნიორი, EY საქართველოს სახელით, ვალდებულია ყოველწლიურად, 30 ივნისის მდგომარეობით, შეაფასოს ხარისხის მართვის სისტემა და გამოიტანოს დასკვნა მისი ეფექტიანობის შესახებ. შეფასების პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად, ხარისხის მართვის გლობალური სისტემის წლიური შეფასების პოლიტიკის შესაბამისად.

შეფასება ეყრდნობა იმას, EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემა იძლევა თუ არა დასაბუთებულ რწმუნებას, რომ:

- EY საქართველო და მისი თანამშრომლები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, და გარიგებები ხორციელდება ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით;
- წევრი ფირმისა და მთავარი პარტნიორების (PICs) მიერ გამოცემული ანგარიშები მართებულია არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელიც გროვდება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობებიდან. შეფასებამ გაითვალისწინა შემდეგის შედეგები:

- ხარისხის მართვის სისტემის მთავარი კონტროლის მექანიზმების ტესტირება;
- შიდა და გარე გარიგებების შემოწმება;
- სხვა მონიტორინგის აქტივობები (მაგალითად, EY საქართველოსა და მისი თანამშრომლების მიერ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის ტესტირება, გარე მარეგულირებლების მიერ ხარისხის მართვის სისტემის შესახებ ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების შეფასება, ან ეთიკის ცხელი ხაზის მეშვეობით დაფიქსირებული საკითხები).

პროფესიული განსჯა გამოიყენება მონიტორინგის აქტივობების შედეგების შეფასებისას, მათ შორის იმის განსაზღვრისას, არის თუ არა გამოვლენილი ფაქტები, ცალკე ან სხვა გამოვლენილ ფაქტებთან ერთად, იმდენად სერიოზული, რომ ხარვეზად განიხილებოდეს. გამოვლენილი ხარვეზები საჭიროებს ძირეული მიზეზის ანალიზის ჩატარებას და გამოსწორების გეგმის შემუშავებას. ამასთან, ხარვეზები ფასდება იმისათვის, რომ განისაზღვროს მათი სერიოზულობა და მასშტაბი.

თუ გამოვლინდა სერიოზული ხარვეზი, წევრმა ფირმამ უნდა შეაფასოს გამოსწორდა თუ არა ხარვეზის ეფექტი და იყო თუ არა 2025 წლის 30 ივნისისთვის მიღებული ზომები ეფექტური, და ეს წარმოადგინოს თავისი ხარისხის მართვის სისტემის წლიური შეფასების დასკვნაში.



ხარისხის მართვის სისტემა
წლიური შეფასების დასკვნა
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, EY საქართველოს წლიური შეფასების დასკვნის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემა იმის დასაბუთებულ რწმუნებას იძლევა, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია.



ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტები

ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტები

მომდევნო თავებში აღვწერთ EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტებს:



ხარისხის მართვის სისტემის რისკის შეფასების პროცესი

EY საქართველომ შეიმუშავა და დანერგა რისკის შეფასების პროცესი, რათა დაადგინოს ხარისხის მიზნები, გამოავლინოს და შეაფასოს ხარისხის რისკები, და შეიმუშაოს და დანერგოს რეაგირების ზომები ხარისხის რისკების მოსაგვარებლად, როგორც ამას ითხოვს ISQM 1. რისკის შეფასების პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად ხარისხის მართვის გლობალური სისტემის პოლიტიკების მიხედვით.

თანმიმდევრულობის მისაღწევად და ამავედროულად EY-ის წევრ ფირმების უზრუნველსაყოფად ისეთი მეთოდით, რომელიც არის მასშტაბის მხრივ რეგულირებადი და ადაპტირებადი წევრი ფირმის ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით, ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები და რეაგირების ზომები შემუშავდა EY Global-ის ლიდერების (მათ შორის, მარწმუნებელი მიმართულების გლობალური ლიდერების) წარმომადგენლების მიერ, რომელიც დაეყრდნო გლობალურ, ტერიტორიულ და რეგიონულ დონეზე სხვადასხვა განყოფილების ან მომსახურების მიმართულების ჯგუფებისგან მიღებულ ამოსავალ მონაცემებს.

ხარისხის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტებს შორისაა:

- ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო ხარისხის მიზნები;
- ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო ხარისხის რისკები;
- ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო რეაგირების ზომები;
- ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო რესურსები (ანუ გლობალური პოლიტიკები ან ტექნოლოგიები, რომლებითაც მცირდება EY-ის ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო ხარისხის რისკი);
- ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო ძირითადი კონტროლები, რომლებიც იქმნება და ინერგება EY-ის ხარისხის მართვის სისტემის საბაზისო ხარისხის რისკის შესამცირებლად.

მიიჩნევა, რომ ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტები ვრცელდება ყოველ წევრ ფირმაზე, რომელიც ახორციელებს გარიგებებს ISQM 1-ის შესაბამისად. EY-ის წევრ ფირმებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, შეაფასონ ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტები და განსაზღვრონ, საჭიროებს თუ არა ეს საბაზისო სტანდარტები წევრი ფირმის მიერ შევსებას ან ადაპტირებას, რათა გამოსაყენებლად შესაფერისი იყოს (მაგალითად, დამატებითი ხარისხის რისკები, რეაგირების ზომების კორექტირება). EY საქართველომ მიმოიხილა ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტები და გადადგა შემდეგი ნაბიჯები:

- მიიღო ან უარყო გლობალური საბაზისო რესურსები და ძირითადი კონტროლები ფაქტებისა და გარემოებების სათანადოდ გაანალიზების შედეგად. გლობალური საბაზისო რესურსებისა და ძირითადი კონტროლების უარყოფის შემთხვევაში, სავალდებულოა ტერიტორიის SQM ლიდერებთან წინასწარი დისკუსია და შეთანხმება;
- ტერიტორიის SQM ლიდერებთან ერთად, გამოავლინა გლობალური საბაზისო ძირითადი კონტროლების დანერგვის დონე;
- დააკორექტირა მიღებული საბაზისო ძირითადი კონტროლები გლობალურ, ტერიტორიულ და რეგიონის დონეზე.

ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტების მიმოხილვამ გაითვალისწინა EY საქართველოს ფაქტები და გარემოებები, მათ შორის, EY საქართველოს ხასიათი და საოპერაციო თავისებურებები, განხორციელებული გარიგებების ტიპები და სისტემური ტენდენციები ხარისხის

მართვის სისტემის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობებიდან.

ხარისხის მართვის გლობალური სისტემის საბაზისო სტანდარტების მიმოხილვის გარდა, EY საქართველომ განსაზღვრა, იყო თუ არა საჭირო დამატებითი ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები ან რეაგირების ზომები. ამ საბაზისო სტანდარტების მიმოხილვის საფუძველზე ჩვენ მოვახდინეთ გარკვეული კორექტირებები და უარვყავით გარკვეული საბაზისო რეაგირების ზომები და გამოვავლინეთ დამატებითი ადგილობრივი რეაგირების ზომები არსებულ ხარისხის მიზნებსა და ხარისხის რისკებზე.



მმართველობა და ხელმძღვანელობა



უმაღლესი რანგის
ხელმძღვანელობის განწყობა

EY საქართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმაზე, რომ სწორი განწყობა გააუღეროს და, თავისი ქცევითა და ნაბიჯებით, ყველას დაანახოს EY-ის მტკიცე განზრახვა, შექმნას უკეთესი ბიზნესი უკეთესი მსოფლიოსთვის. მართალია, ხელმძღვანელობის განწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ EY-ში დასაქმებული პირებიც იაზრებენ იმას, რომ ხარისხი და პროფესიული პასუხისმგებლობა მათით იწყება და რომ თავიანთ გუნდებსა და თემებში ისინიც ლიდერები არიან. EY-ის საზიარო ღირებულებები, რომლებიც შთააგონებს EY-ის თანამშრომლებს და უბიძგებს მათ სწორი საქმის კეთებისკენ, და EY-ის ერთგულება ხარისხისადმი, ჩვენი იდენტობისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

EY-ის კულტურა მტკიცედ უჭერს მხარს თანამშრომლობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონსულტაციის მნიშვნელობაზე კომპლექსურ ან სუბიექტურ სააღრიცხვო, აუდიტის, საანგარიშგებო, მარეგულირებელ და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებთან გამკლავებისას.

EY-ის მიდგომა ბიზნესეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართ ასახულია EY-ის ქცევის გლობალურ კოდექსსა და სხვა პოლიტიკებში, და არის EY-ის კონსულტაციების, ტრენინგებისა და შიდა კომუნიკაციების კულტურის ქვაკუთხედი. უმაღლესი ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს ხარისხიანი სამუშაოს შესრულების, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის, EY-ის სხვადასხვა პოლიტიკის დაცვისა და პირადი მაგალითით გაძლიერების მნიშვნელობას. გარდა ამისა, EY-ის წევრი ფირმები პროფესიული მომსახურების

ხარისხს მიიჩნევენ EY-ის პროფესიონალების შეფასებისა და დაჯილდოების მთავარ საზომად.

EY-ის წევრ ფირმებში ხარისხის კულტურის შესაფასებლად და EY საქართველოსთვის ხარისხის კულტურის აღქმაზე, მათ შორის უმაღლესი ხელმძღვანელობის განწყობაზე, თანამშრომლობაზე, სამუშაო დატვირთვის მართვასა და ეთიკურ ქცევაზე, ღირებული ინფორმაციის მისაწოდებლად, ყოველწლიურად ტარდება ხარისხის გლობალური კვლევა. 2025 წლის ხარისხის გლობალური კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა იმის დასადგენად, თუ რას აკეთებდა EY საქართველო კარგად და რა შემთხვევაში იყო საჭირო დამატებითი ნაბიჯების გადადგმა. 2025 წლის ხარისხის გლობალური კვლევის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ EY-ის თანამშრომლებისთვის ცხადია, რომ ხელმძღვანელობის განწყობა ასახავს ერთგულებას ხარისხისადმი და რომ EY საქართველო აღიარებს და აფასებს ხარისხში შეტანილ წვლილს. ხარისხის გლობალური კვლევის შედეგები ასევე აღიარებს ჩვენი კონსულტაციის, ქოუჩინგისა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მძლავრ კულტურას.



ქცევის გლობალური კოდექსი

ჩვენ ვახალისებთ კეთილსინდისიერების კულტურას როგორც EY-ის პროფესიონალებს შორის, ასევე მათთან, ვინც EY-ისთან თანამშრომლობს. EY-ის ქცევის გლობალური კოდექსი წარმოადგენს EY-ის ყველა თანამშრომლისთვის განკუთვნილ მკაფიო პრინციპების ერთობლიობას, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს ქმედებებსა და ბიზნესსაქმიანობაში. EY-ის გლობალური ქცევის კოდექსი დაყოფილია ხუთ კატეგორიად:

1. ერთმანეთთან მუშაობა;
2. მუშაობა კლიენტებთან და სხვებთან;
3. პროფესიული კეთილსინდისიერებით მუშაობა;
4. ჩვენი ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება;
5. მონაცემების, ინფორმაციისა და ინტელექტუალური კაპიტალის დაცვა.

EY-ის პოლიტიკებისა და პროცედურების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს EY-ის ქცევის გლობალურ კოდექსთან შესაბამისობის მხარდაჭერას, და ხშირი კომუნიკაციებით, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ გარემო, რომელიც წახალისებს EY-ის ყველა თანამშრომელს, იმოქმედოს პასუხისმგებლობით, მათ შორის, შეატყობინოს გადაცდომის შესახებ შურისძიების შიშის გარეშე.

2025 წლის ხარისხის გლობალურ კვლევაში, რესპონდენტთა 99%-მა აღნიშნა, რომ თუ მათ სთხოვდნენ რაიმე ისეთის გაკეთებას, რაც, მათი აზრით, დაარღვევდა პროფესიულ ან ეთიკურ სტანდარტებს, ისინი შემოფოთებას გამოხატავდნენ თავიანთ გუნდთან, ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირებთან, ან EY-ის ეთიკის ცხელი ხაზის მეშვეობით.



ანგარიშვალდებულების ჩარჩო

EY-ის ანგარიშვალდებულების ჩარჩო არის პოლიტიკებისა და ჩარჩოების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის პრაქტიკულ განხორციელებას და ასახავენ იმას, თუ როგორ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა EY-ის პარტნიორებს, ლიდერებს, ასოცირებულ პარტნიორებს, აღმასრულებელ დირექტორებს, მმართველ დირექტორებს, დირექტორებსა და ლიდერებს ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული მათი მოვალეობებისთვის, ისევე როგორც სხვა ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობისთვის, და როგორ უკავშირდება ეს მოვალეობები მათ საქმიანობის შედეგის შეფასებებს.

გლობალური ანგარიშვალდებულების ჩარჩო ვრცელდება EY-ის წევრი ფირმების ყველა პარტნიორზე, ლიდერზე, ასოცირებულ პარტნიორზე, აღმასრულებელ დირექტორზე, მმართველ დირექტორსა და დირექტორზე, მიუხედავად მათი როლის, მომსახურების მიმართულების ან ადგილმდებარეობისა. ამ ჩარჩოს ორი დამატებითი ჩარჩო ერთვის:

- მარწმუნებელი მომსახურებისთვის სპეციფიკური ჩარჩო;
- ჩარჩო, რომელიც მოიცავს წევრი ფირმის ხელმძღვანელ პირებსა და რეგიონულ დონეზე წამყვან პოზიციებზე მყოფ პირებს, და რომელიც ვრცელდება მომსახურების ყველა მიმართულებაზე და ყველა განყოფილების (ფუნქციის) ხელმძღვანელ როლზე.

ერთობლივად, ეს სამი ანგარიშვალდებულების ჩარჩო ადგენს მკაფიო მოლოდინებს ხარისხის მიმართ, რათა შენარჩუნდეს ის ნდობა, რომელსაც გარე დაინტერესებული მხარეები უცხადებენ EY-ს. ეს ჩარჩოები ასახავს კრიტერიუმებს იმის დასადასტურებლად, არის თუ არა ინდივიდის თვისებრივი შეფასება სათანადოდ გათვალისწინებული მისი საქმიანობის შედეგების შეფასებაში.



რელევანტური ეთიკური და სამართლებრივი მოთხოვნები

EY-ის ქცევის გლობალური კოდექსი იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს EY-ის თანამშრომლების ქმედებებთან და ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებით. EY საქართველო მზადყოფნას აცხადებს, დაიცვას მოქმედი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, და EY-ის ღირებულებები ხაზს უსვამს მის პასუხისმგებლობას, მოიქცეს სწორად. ამ უმნიშვნელოვანეს პასუხისმგებლობას განამტკიცებს რამდენიმე პოლიტიკა და პროცედურა, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ აბზაცებში.



დამოუკიდებლობა

შესაბამისი ეთიკური ნორმების, მათ შორის დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვა, ხარისხის მართვის სისტემის მთავარი ელემენტია. ეს გულისხმობს იმის დადგენას, ვართ თუ არა დამოუკიდებლები როგორც ფაქტობრივად, ასევე გარეგნულად (ანუ აღქმადობით). ეთიკური და დამოუკიდებლობის მოთხოვნები, რომლებიც EY-ის აუდიტებსა და პროფესიულ მომსახურებებს ეხება, შეტანილია ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი). ჩვენ ასევე ვიცავთ ადგილობრივ ეთიკურ, მათ შორის დამოუკიდებლობის, მოთხოვნებს ან კოდექსებს, რომლებიც EY საქართველოს აუდიტებსა და პროფესიულ მომსახურებებზე ვრცელდება. დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პოლიტიკების, ინსტრუმენტებისა და პროცესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ნახეთ თავი „დამოუკიდებლობის პრაქტიკა“.



კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შეუსრულებლობა (NOCLAR)

ბესსს-ის კოდექსის შესაბამისად, EY-მ მიიღო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს შეასრულოს მისი ვალდებულებები NOCLAR-თან მიმართებით. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს ვალდებულებებს კლიენტების ან EY-ის თანამშრომლების მხრიდან კანონდამრღვევ საქმიანობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს რელევანტურია მათი შესაბამისი ბიზნესსაქმიანობისთვის.

NOCLAR-თან დაკავშირებული შეტყობინების ვალდებულებების გარდა, EY-ს შეიძლება მოეთხოვოს შესაბამის ორგანოებში გარკვეული ანგარიშების წარდგენა კლიენტების მხრიდან შესაძლო დარღვევების თაობაზე როგორც ფაქტობრივი, ისე სავარაუდო. სადაც ასეთი ვალდებულება არსებობს, ანგარიშგება ხდება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.



გლობალური კანონშესაბამისობის ოფისი

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სამართლებრივი და რეგულატორული შესაბამისობის მოთხოვნების დაცვა ხდება სპეციალისტებისა და EY-ის წევრი ფირმების მიერ, კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, EY-ს აქვს გლობალური კანონშესაბამისობის ოფისი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ისეთი კანონშესაბამისობის პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც პასუხობს სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

გლობალური კანონშესაბამისობის ოფისის ამჟამინდელი თემებია ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაბამისობა, მონაცემთა შესაბამისობა, ინტერესთა კონფლიქტები (შეუთავსებლობა), ფინანსური დანაშაული, დამოუკიდებლობა, და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის (CSR) შესაბამისობა. ეს თემები წინ წამოწეულია იმ საერთო პრობლემების გამო, რომლებსაც ისინი უქმნიან EY-ის ქსელში შემავალ წევრ ფირმებს.

გლობალური კანონშესაბამისობის ოფისი ასევე ასრულებს გლობალური შესაბამისობის უმწვავეს თემებთან დაკავშირებული კანონების, რეგულაციებისა და EY-ის პოლიტიკების შესრულების კოორდინირებისა და მონიტორინგის როლს. მონიტორინგის სამი ამოცანაა:

1. დატესტილი კონტროლების საოპერაციო ეფექტურობის შესახებ რწმუნების გაცემა;
2. უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრა;
3. დარღვევების შემთხვევების გამოვლენა რისკის მართვის სპეციალისტებისთვის მათ გადასაცემად.

გლობალური კანონშესაბამისობის ოფისის ხელმძღვანელობს კანონშესაბამისობის გლობალური აღმასრულებელი პირი, რომლის თანამდებობა ანგარიშვალდებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და რისკების საკითხებში გლობალური მმართველი პარტნიორის წინაშე.

EY საქართველოში, კანონშესაბამისობის მოვალეობები მოქცეულია ქვეყნის მმართველი

პარტნიორის კომპეტენციის ფარგლებში. ეს პირი პასუხისმგებელია წევრი ფირმის დონეზე კანონშესაბამისობის მოთხოვნების გაგებაზე, და სპეციალისტებთან ერთად მუშაობაზე, რათა დაგეგმოს და განხორციელოს შესაბამისობის პროგრამები, რომლებიც ამ მოთხოვნებს პასუხობს.



ანონიმური მხილება

EY-ის ეთიკის ცხელი ხაზი აძლევს EY-ის თანამშრომლებს, კლიენტებს და ორგანიზაციის გარეთ მყოფ სხვა პირებს საშუალებას, კონფიდენციალურად შეატყობინონ ისეთი საქმიანობის შესახებ, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს არაეთიკურ ან არასათანადო ქცევას, და რომელიც შეიძლება არღვევდეს პროფესიულ სტანდარტებს, ან სხვაგვარად შეუსაბამო იყოს EY-ის საერთო ღირებულებებთან ან ქცევის გლობალურ კოდექსთან. ცხელ ხაზს მართავს გარე ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურ და, სურვილის შემთხვევაში, ანონიმურ შეტყობინებას.

როდესაც შეტყობინება შედის EY-ის ეთიკის ცხელ ხაზზე, მას დაუყოვნებლივ ექცევა ყურადღება შესაბამისი EY-ის წევრი ფირმის ეთიკის გუნდის მიერ. შეტყობინების შინაარსიდან გამომდინარე, წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში ასევე შეიძლება ჩაერთონ შესაბამისი პირები რისკების მართვის, ადამიანური რესურსების ან სხვა ფუნქციებიდან.



ანტიკორუფციული პოლიტიკა

EY-ის გლობალური ანტიკორუფციული (ქრთამის საწინააღმდეგო) პოლიტიკა EY-ის თანამშრომლებისთვის ორიენტირია გარკვეული არაეთიკური და უკანონო ქმედებების ამოსაცნობად. ის ხაზს უსვამს ანტიკორუფციული კანონების დაცვის ვალდებულებას და გვაწვდის იმის განმარტებას, თუ რა წარმოადგენს ქრთამს. ის ასევე განსაზღვრავს შეტყობინების ვალდებულებებს ქრთამის აღმოჩენის შემთხვევაში. EY ხედავს რა მსოფლიოზე მექრთამეობისა და კორუფციის მზარდ უარყოფით გავლენას, აგრძელებს ორგანიზაციის მასშტაბით ანტიკორუფციული ზომების განმტკიცებას.



ინსაიდერული ვაჭრობა

ადგილობრივი კანონები და სხვა მარეგულირებელი აქტები კრძალავს ფასიანი ქაღალდებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობას, როდესაც

ფლობთ არსებით არასაჯარო ინფორმაციას, და EY მზადყოფნას აცხადებს, იმოქმედოს პროფესიული კეთილსინდისიერებით და დაიცვას ეს კანონები, რეგულაციები და სტანდარტები. EY-ის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან ეს მოთხოვნები და ეკრძალებათ ვაჭრობა, როდესაც ფლობენ არსებით არასაჯარო ინფორმაციას.

EY-ის ინსაიდერული ვაჭრობის გლობალური პოლიტიკა ადასტურებს EY-ის თანამშრომლების ვალდებულებას, არ ივაჭრონ ფასიანი ქაღალდებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით, როდესაც ფლობენ არსებით არასაჯარო ინფორმაციას, დეტალურად განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს ინსაიდერულ ინფორმაციას, და განსაზღვრავს, ვის უნდა მიმართონ EY-ის თანამშრომლებმა, თუ აქვთ შეკითხვები თავიანთ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.



ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები

მნიშვნელოვანია, რომ EY-ის წევრმა ფირმებმა და EY-ის თანამშრომლებმა დაიცვან საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო სანქციების მუდმივად ცვალებადი წესები. EY უზრუნველყოფს პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობს მრავალ გეოგრაფიულ არეალში გაცემული სანქციების იდენტიფიცირებას, როგორც საქმიანი ურთიერთობების დამყარებამდე, ისე მათი გაგრძელების დროს. EY-ის თანამშრომლებს ეძლევათ მითითებები იმ ურთიერთობებისა და საქმიანობების შესახებ, რომლებზეც სანქციები ვრცელდება.



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

EY საქართველო კლასიფიცირებულია, როგორც ვალდებული სუბიექტი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. EY-ის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) გლობალური სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, EY საქართველოს დანერგილი აქვს სხვადასხვა პოლიტიკა და პროცედურა, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ვალდებულებების შესრულებას. მათ შორისაა „იკნობდე შენს კლიენტს“ (KYC) პროცედურები, რისკების შეფასება და საექვო აქტივობის შესახებ შეტყობინება. EY-ის თანამშრომლები ტრენინგების მეშვეობით ეცნობიან რეგულაციებით დადგენილ თავიანთ მოვალეობებს და იღებენ სახელმძღვანელო მითითებებს იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ კითხვების შემთხვევაში.



მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა

EY-ის მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის გლობალური პოლიტიკა, EY-ის სავალდებულო კორპორაციული წესების პროგრამა და მასთან დაკავშირებული EY-ის სხვადასხვა პოლიტიკა ადგენს პრინციპებსა და მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული ყველა იმ ინფორმაციის შეგროვების, გამოყენებისა და დაცვის დროს, რომლებზეც EY-ს ეკისრება პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს მიმდინარე, ყოფილი და პოტენციური EY-ის პროფესიონალების, კლიენტების, მომწოდებლებისა და ბიზნეს პარტნიორების პერსონალურ მონაცემებს, ასევე სხვა ინფორმაციას, რომელიც კონფიდენციალურად მიიჩნევა კლიენტებისთვის, მესამე მხარეებისთვის ან EY-ის ორგანიზაციისთვის. ეს პოლიტიკა თანხვედრაშია ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მოთხოვნებთან და მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედი კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, ასევე შესაბამის პროფესიულ სტანდარტებთან, რომლებიც კონფიდენციალურობის ჩარჩოს უზრუნველყოფს. EY-ის წევრ ფირმებს, ადგილობრივი პოლიტიკის მეშვეობით, შეუძლიათ კიდევ უფრო განამტკიცონ ადგილობრივი კანონმდებლობით დაცული მოქმედი გარანტიები. EY-ის სავალდებულო კორპორაციული წესები დამტკიცებულია გაერთიანებული სამეფოს (UK) და ევროკავშირის (EU) მარეგულირებელი ორგანოების მიერ და მათ ზედამხედველობას უწევს EY-ის მონაცემთა დაცვის გლობალური მთავარი ოფიცერი. ეს წესები ასევე უზრუნველყოფს სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს პერსონალური მონაცემების მოძრაობას EY-ის ქსელში. გარდა ამისა, EY-ის გუნდები ვალდებულია იღებენ, პერსონალური და კონფიდენციალური მონაცემები ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიებში გამოიყენონ პასუხისმგებლობით, მოქმედი კანონების, რეგულაციებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება AI სისტემებისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების გამოყენებასა და მართვაზე.



მონაცემთა მართვის ოფისი

EY აღიარებს, რომ მონაცემები არა მხოლოდ მკაცრ დაცვას საჭიროებს, არამედ წარმოადგენს ღირებულ რესურსს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციების შემოტანასა და ღირებულების შექმნას. EY-ის მონაცემთა მართვის ოფისი (DSO) არის პასუხი EY-ის წევრ ფირმებს, მომსახურების მიმართულებებსა და კლიენტებს შორის მონაცემთა მართვისა და მისადაგების გაუმჯობესების საჭიროებაზე.

DSO-ს მიზანია, მოახდინოს რისკისა და კონტროლის პირველადი ფუნქციების კოორდინირება, ასევე იმოქმედოს როგორც ცენტრალიზებულმა რესურსმა, რომელიც სხვადასხვა ერთეულს მონაცემების მართვისა და ზედამხედველობის ანგარიშვალდებულებას დააკისრებს მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, და უზრუნველყოს EY-ის მონაცემთა დაცვის (DP) და ინფორმაციული უსაფრთხოების გლობალური პოლიტიკებისა და სახელმძღვანელო მითითებების თანმიმდევრული დანერგვა და დაცვა, EY-ის წევრ ფირმებთან, მომსახურების მიმართულებებთან და კლიენტთა გუნდებთან ინტეგრაციის გზით.

EY-ის მონაცემთა რისკების მართვის გასაუმჯობესებლად, DSO იწყებს EY-ის მონაცემებთან დაკავშირებული პოლიტიკებისა და სტანდარტების კომპლექსურ შეფასებას. მიმდინარე მდგომარეობის შეფასების შესასრულებლად გამოყენებული ჩარჩო ორიენტირებულია ძირითად კომპონენტებზე, რომლებიც შეადგენენ მონაცემთა მართვის პროგრამას. ეს კომპონენტებია: პოლიტიკები და სტანდარტები, მონაცემთა მართვა, მეტამონაცემები და ურთიერთკავშირი, მონაცემთა ხარისხი, რისკები და კონტროლის მექანიზმები, მონიტორინგი და ანგარიშგება.



როტაცია და ხანგრძლივი ასოცირება

EY საქართველო აკმაყოფილებს ბესსის კოდექსით დადგენილ აუდიტის პარტნიორის როტაციის მოთხოვნებს, ადგილობრივ სამართლებრივ მოთხოვნებსა და ასევე აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიის (SEC) პირობებს, სადაც ეს საჭიროა. EY საქართველო მხარს უჭერს აუდიტის პარტნიორის როტაციას, რადგან ის უზრუნველყოფს ახლებურ ხედვას და ხელს უწყობს დამოუკიდებლობას კომპანიის ხელმძღვანელობისგან, ამავდროულად ინარჩუნებს ბიზნესგამოცდილებასა და ცოდნას. აუდიტის პარტნიორის როტაცია, დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან და დამოუკიდებელ აუდიტორულ ზედამხედველობასთან ერთად, ხელს უწყობს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის განმტკიცებას და წარმოადგენს აუდიტის ხარისხის მნიშვნელოვან გარანტს.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირების შემთხვევაში, EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკის მიხედვით, გარიგების წამყვანი პარტნიორის, გარიგების ხარისხის მიმოხილველისა და სხვა აუდიტის პარტნიორების, რომლებიც იღებენ მთავარ გადაწყვეტილებებს ან მსჯელობენ აუდიტისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (ერთობლივად, „აუდიტის მთავარი პარტნიორები“), როტაცია უნდა

მოხდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადის დაცვით.

ჩვენ მიერ აუდიტირებული საზოგადოებრივი დაინტერესების პირების შემთხვევაში, აუდიტის მთავარი პარტნიორის როტაციის მოთხოვნების გარდა, EY-ს ასევე შემუშავებული აქვს ხანგრძლივი ასოცირების უზრუნველყოფის ჩარჩო. იგი შესაბამისობაშია ბესსის-ის კოდექსის მოთხოვნებთან და განიხილავს დამოუკიდებლობისთვის შექმნილ საფრთხეებს, რომლებიც გამოწვეულია EY-ის პროფესიონალების ჩართულობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ასევე უზრუნველყოფს ჩარჩოს მსგავს საფრთხეებთან გასამკლავებლად.

EY საქართველო იყენებს გარკვეულ პროცესებს, რომ გააკონტროლოს შესაბამისობა შიდა როტაციის მოთხოვნებთან და ასევე იმ აუდიტის პარტნიორებთან და EY-ის სხვა პროფესიონალებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან, რომლებიც ხანგრძლივად ასოცირდებიან აუდიტირებულ სუბიექტთან.



გარე როტაცია

საჭიროების შემთხვევაში, EY საქართველო აკმაყოფილებს აუდიტორული ფირმის გარე როტაციის მოთხოვნებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის, ადგილობრივი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.



ახალი კლიენტის აყვანა ან გარიგების მიღება და თანამშრომლობის გაგრძელება



გლობალური პოლიტიკა ახალი კლიენტის აყვანაზე/ გარიგების მიღებაზე და თანამშრომლობის გაგრძელებაზე

EY-ის გლობალური პოლიტიკა ახალი კლიენტის აყვანასთან ან გარიგების მიღებასთან და თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადგენს პრინციპებს EY-ის წევრი ფირმებისთვის, რომლებითაც განისაზღვრება, უნდა აიყვანონ თუ არა ახალი კლიენტი, დაიწყონ ახალი გარიგება არსებულ კლიენტთან, ან გააგრძელონ თუ არა მუშაობა არსებულ კლიენტთან ან არსებულ გარიგებაზე. ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ხარისხის შენარჩუნებას, რისკების მართვას, EY-ის თანამშრომლების დაცვასა და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. EY-ის გლობალური პოლიტიკა ახალი კლიენტის აყვანის

ან გარიგების მიღებასა და არსებული თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით არის EYG-ის მიერ გამოცემული პოლიტიკის მაგალითი, რომლის მიზანია EY-ის ღირებულებების დაცვა და ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.

პოლიტიკის მთავარი ამოცანებია:

- მკაცრი პროცესის შემუშავება რისკის შესაფასებლად და გადაწყვეტილების მისაღებად ახალი კლიენტების აყვანის ან გარიგების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელებაზე;
- მოქმედი დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ინტერესთა კონფლიქტების იდენტიფიცირება და მათთან სათანადოდ გამკლავება;
- იმ კლიენტებისა და გარიგებების იდენტიფიცირება, რომლებიც მომეტებულ რისკს ქმნიან;
- იმ კლიენტებისა და გარიგებების გამოვლენა, რომლებიც არ შეესაბამებიან EY-ის ღირებულებებს;
- გარკვეულ სიტუაციებში რჩევის თხოვნა EY-ის სპეციალურად გამოყოფილი პროფესიონალებისთვის, რათა განისაზღვროს რისკის მართვის დამატებითი პროცედურები მაღალი რისკვაქტორების შემთხვევაში;
- სამართლებრივი, მარგულირებული და პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- იმის განსაზღვრა, რომ მომავალი გარიგება შესაბამისობაშია EY-ის მომსახურების ჩარჩოსთან და არ შეიცავს აკრძალულ მომსახურებას.

გარდა ამისა, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ EY-ის გლობალური პოლიტიკა განსაზღვრავს ამა თუ იმ კატეგორიის ინტერესთა პოტენციური კონფლიქტების მოგვარების გლობალურ სტანდარტებს და მათი იდენტიფიცირების პროცესს. იგი ასევე მოიცავს დებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტების შემცირებას რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად, შესაბამისი დამცავი ზომების გამოყენებით. ასეთი დამცავი ზომები შეიძლება მოიცავდეს კლიენტის თანხმობის მიღებას სხვა მხარის სახელით მოქმედებაზე, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა, მომსახურების გამწვევი ცალკე გუნდის ჩამოყალიბება ორი ან მეტი მხარის სახელით სამოქმედოდ, მომსახურების გამწვევი გუნდების სათანადოდ გამიჯვნა ან უარი გარიგების განხორციელებაზე იდენტიფიცირებული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ EY-ის გლობალური პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული მითითებები ითვალისწინებს გარიგებებისა და კლიენტებთან ურთიერთობების მზარდ კომპლექსურობას, ასევე კლიენტების მოთხოვნებზე

რეაგირების სისწრაფისა და სიზუსტის საჭიროებას. ისინი ასევე შესაბამისობაშია ბესს-ის კოდექსთან.



პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება

ჩვენ ვიყენებთ EY-ის კლიენტებისა და პროექტების მიღების პროცესს (PACE), რომელიც არის ინტერნეტზე დაფუძნებული სისტემა, რათა მოვახდინოთ კლიენტის აყვანის ან გარიგების მიღებისა და თანამშრომლობის გაგრძელების კოორდინირება გლობალური, მომსახურების მიმართულებისა და EY-ის წევრი ფირმის პოლიტიკების შესაბამისად. PACE სისტემა მომხმარებლებს აცნობს როგორც აუდიტორული, ისე არააუდიტორული გარიგებების დაწყებისა და გაგრძელების მოთხოვნებს და განსაზღვრავს პოლიტიკებსა და მითითებებს პროფესიულ სტანდარტებზე, მათ შორის დამოუკიდებლობის სტანდარტებზე, რომლებიც საჭიროა როგორც ბიზნესშესაძლებლობების, ასევე მასთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად. PACE არის ტექნოლოგიური რესურსების მაგალითი, რომელიც ხელმისაწვდომია EY-ის წევრი ფირმებისთვის მთელ მსოფლიოში და მიზნად ისახავს თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

კლიენტის აყვანის/გარიგების მიღების ან თანამშრომლობის გაგრძელების პროცესი მოიცავს ხელშეკრულების გუნდის მიერ რისკვაქტორების შეფასებას სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, როგორებიცაა დარგი, ხელმძღვანელობის დამოკიდებულება, შიდა კონტროლის მექანიზმები, აუდიტის კომპლექსურობა და დაკავშირებული მხარეები.

ამ პროცესის ფარგლებში, ჩვენ განვიხილავთ პოტენციური კლიენტის ან გარიგების რისკის მახასიათებლებს და კომპლექსური შეფასების (due diligence) პროცედურების შედეგებს. ახალი კლიენტის აყვანამდე ან გარიგების დაწყებამდე (მომსახურების გაწევამდე), ჩვენ ასევე ვადგენთ, შეგვიძლია თუ არა საკმარისი და შესაფერისი რესურსების გამოყოფა ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მაღალტექნიკურ სფეროებში, და არის თუ არა იმ მომსახურების, რასაც კლიენტი ითხოვს, ჩვენთვის მიზანშეწონილი. დამტკიცების პროცესი ითვალისწინებს იმას, რომ ახალი აუდიტის გარიგებები არ შეიძლება იქნეს მიღებული პროფესიული პრაქტიკის დირექტორის (PPD) და მარწმუნებელი ხელმძღვანელობის გუნდების წარმომადგენლების თანხმობის გარეშე, ქვეყნის, რეგიონისა და ტერიტორიის დონეზე, საჭიროებისამებრ.

EY-ის კლიენტებთან თანამშრომლობისა და გარიგებების გაგრძელების ყოველწლიურ პროცესში, ჩვენ ვაფასებთ ჩვენს მომსახურებასა და შესაძლებლობას, გავაგრძელოთ ხარისხიანი სერვისის მიწოდება. გარიგების პარტნიორი, ჩვენი მარწმუნებელი მიმართულების ლიდერებთან ერთად, ყოველწლიურად აფასებს ურთიერთობას საწარმოებთან, რომლებსაც ვუწევთ მარწმუნებელ მომსახურებას, რათა განსაზღვროს თანამშრომლობის გაგრძელება მართებულია თუ არა.

შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ გარკვეული აუდიტის გარიგებები მოითხოვდა დამატებითი ზედამხედველობის პროცედურებს აუდიტის განმავლობაში (ახლო მონიტორინგი) და ზოგიერთი აუდიტორული ურთიერთობა შეწყდა. კლიენტისა და გარიგების მიღების პროცესის ანალოგიურად, ჩვენი რეგიონული ან ადგილობრივი PPD და მარწმუნებელი მომსახურების ლიდერები ჩართულები არიან მომსახურების გაწევის გაგრძელების პროცესში და უნდა შეთანხმდნენ იმისათვის, რომ მომსახურება გაგრძელდეს.



გარიგების შედეგები

EY-ის მიერ 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციაა განხორციელებული შემდეგი თაობის მარწმუნებელ ტექნოლოგიაში, რაც მეტყველებს EY-ის დაუღალავ სწრაფვაზე აამაღლოს აუდიტის ხარისხი და განამტკიცოს ნდობა კაპიტალის ბაზრებისადმი, გარდაქმნას აუდიტის გამოცდილება და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული ხედვები.



ტექნოლოგიის როლი

1 მილიარდი აშშ დოლარის ტექნოლოგიური ინვესტიციის უახლესი ფაზა წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის (AI) წყალობით შექმნილი შესაძლებლობების სერიას, რათა დააჩქაროს აუდიტის ტრანსფორმაცია და იმდენად გაზარდოს AI-ის გამოყენების მასშტაბი, რომ მოიცვას EY-ის 160,000-ზე მეტი აუდიტის გარიგება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ეფუძნება აუდიტის უახლესი ტექნოლოგიების ერთობლიობის სიმძლავრეს და ახდენს მოწინავე ტექნოლოგიების ინტეგრირებას ხელოვნური ინტელექტის (AI) საშუალებით მართულ ერთიან პლატფორმაში,

ამასთანავე, ხელს უწყობს გარდაქმნის პროცესს შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- შემდეგი თაობის მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობები და მოწინავე ანალიტიკა;
- AI ფართო გამოყენებაში;
- მომხმარებლის გაუმჯობესებული გამოცდილება.

2025 წელს, EY-ის გლობალურმა ორგანიზაციამ გამოუშვა კიდევ 30 ახალი და გაუმჯობესებული მარწმუნებელი ტექნოლოგია, რის შედეგადაც, ჩვენი ოთხწლიანი ტექნოლოგიური საინვესტიციო პროგრამის დაწყების დღიდან, ჯამში 100-ზე მეტ ახალ შესაძლებლობას ან გაუმჯობესებას ჩაეყარა საფუძველი.

ტექნოლოგიის მეშვეობით ხარისხის გაუმჯობესებაზე აქცენტი

შემდეგი თაობის მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობები და მოწინავე ანალიტიკა

მოწინავე მონაცემთა შესაძლებლობები ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა მონაცემთა დიდი პოპულაციების ანალიზის მხარდაჭერით რითაც ხელს უწყობს მონაცემებზე დაფუძნებულ აუდიტს, რომელიც ინტეგრირებულია მეთოდოლოგიაში. EY Helix-ის გლობალური ანალიტიკის კომპლექტი (EY Helix) უკვე მხარს უჭერს ფართოდ დანერგილი ანალიზური მეთოდების გამოყენებას მთელი აუდიტის განმავლობაში, რაც EY-ის გუნდებს საშუალებას აძლევს, საჭირო დროს სწორ მონაცემებს ჩაუღრმავდნენ და უკეთ შეისწავლონ აუდიტირებული კომპანია და მისი რისკების საერთო სურათი. მოწინავე ანალიზური მეთოდების პირდაპირ EY-ის აუდიტის პლატფორმის, EY Canvas-ის, სამუშაო პროცესში შემდგომი ინტეგრირებით, ჩვენ მონაცემებს მომხმარებელს ვაწვდით საჭიროების მომენტში, რითაც მნიშვნელოვნად ვაუმჯობესებთ მათ გამოცდილებას. მონაცემების დაფიქსირების და ანალიზის შესაძლებლობების გაუმჯობესება განამტკიცებს ნდობას მაღალი ხარისხის აუდიტისადმი, რადგანაც ფართოვდება აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად გამოყენებული მონაცემების სპექტრი.

AI ფართო გამოყენებაში

ახალი შესაძლებლობები მოიცავს EYQ Assurance Knowledge-ს, რომელიც იყენებს გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს (GenAI) საბუღალტრო და აუდიტორული კონტენტის დეტალურ მიებისა და შეჯამებისთვის. EYQ Assurance Knowledge-ის პირდაპირ EY Canvas-ის სამუშაო პროცესში ინტეგრირებით, EY-ის მარწმუნებელი მომსახურების 140,000 პროფესიონალი აღიჭურვა GenAI-ით, რომელიც ასევე იძლევა პასუხებს

აუდიტის გარიგებების პროფილისა და კონტექსტის მიხედვითა და აუდიტირებული კომპანიების გეოგრაფიული მდებარეობის, საქმიანობის სფეროსა და კომპლექსურობის გათვალისწინებით.

დამატებითი შესაძლებლობები მოიცავს EY Intelligent Checklists with AI-ის ახალ ვერსიას, რომელიც გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს იყენებს ინფორმაციის გამჟღავნების საკონტროლო სიეზში მოცემულ კითხვებზე პასუხების რეკომენდაციისთვის, და EY Financial Statement Tie Out-ს, რომელიც აუდიტის პროფესიონალებს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტისა და უტყუარობის შემოწმებაში ეხმარება. აღნიშნული, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული შესაძლებლობები შემუშავებული და დანერგილია EY-ის „პასუხისმგებლობიანი ხელოვნური ინტელექტის“ (Responsible AI) ცხრა პრინციპისა და „EY-ის ხელოვნური ინტელექტის მარწმუნებელი ჩარჩოს“ (EY AI Assurance Framework) შესაბამისად.

მომხმარებლის გაუმჯობესებული გამოცდილება

უმალესი დონის გამოცდილება ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფას, მსოფლიოს მასშტაბით მჭიდროდ ინტეგრირებული და თანმიმდევრული აუდიტის ჩატარების გზით. დღესდღეობით, აუდიტის ქვაკუთხედია EY Canvas, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ კოორდინაციას, დოკუმენტაციის წარმოების ერთგვაროვნებას და გამარტივებულ თანამშრომლობას EY-ის გუნდებსა და კომპანიებს შორის გლობალურად. მართული სამუშაო პროცესის, მონაცემებისა და ცოდნის ერთ პლატფორმაზე ინტეგრირება EY-ის გუნდებს საშუალებას აძლევს, წვდომა ჰქონდეთ მაღალი ხარისხის აუდიტის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა შესაძლებლობაზე. ამავდროულად, ეს სისტემა კომპანიის მომხმარებლებს სთავაზობს ფუნქციებს, რომლებიც მათ აუდიტის მიმდინარეობის სტატუსის უკეთ გაგებაში ეხმარებათ.

ხარისხი, როგორც ტექნოლოგიური განვითარების საფუძველი

EY-ის ძალისხმევა, უზრუნველყოს ეს ახალი თაობის მარწმუნებელი ტექნოლოგიური პლატფორმა, გლობალური ტრანსფორმაციის პროგრამის ფარგლებშია გაერთიანებული. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სტანდარტიზებულ პროტოკოლებს, რომლებიც ტექნოლოგიური კონცეფციის შექმნის, შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ზედმიწევნით არის დაცული. აღნიშნულ ინიციატივაში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის გლობალური და რეგიონული წარმომადგენლები პროფესიული პრაქტიკის, „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელისა“ და EY-ის ტექნოლოგიების მიმართულებებიდან.

მარწმუნებელი მომსახურების ახალი ტექნოლოგიური კონცეფციები შესაფასებლად წარედგინება აღნიშნული დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარ გლობალურ კომიტეტს. შეფასება ეფუძნება სარგებლიანობის რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის: ხარისხს, ღირებულებას EY-ის პროფესიონალებისთვის და ღირებულებას EY-ის კლიენტებისთვის. თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ კონცეფციას არა აქვს ამ და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით საკმარისი მახასიათებლები, ხდება მისი უარყოფა ან კორექტირდება და კომიტეტს ხელახლა წარედგინება.

ნებისმიერი აუდიტორული ტექნოლოგიის გამოშვების აუცილებელი წინაპირობაა შემუშავების ციკლის განმავლობაში მკაცრი ტესტირების ჩატარება, მათ შორის, საბოლოო მომხმარებლების ჩართულობით. მარწმუნებელი მომსახურების ტექნოლოგია მისი გამოშვების მიზნით მარწმუნებელი მომსახურების მიმართულების გლობალურ ხელმძღვანელობას მას შემდეგ წარედგინება, რაც დასრულდება საფუძვლიანი ტესტირება (პილოტირების ჩათვლით), შეფასდება და გათვალისწინებული იქნება უკუკავშირი და დასრულდება საჭირო სერტიფიცირების პროცესი.

ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია

კომპანიები ტექნოლოგიებს იყენებენ ბიზნესის მართვის ახალი სისტემებისა და პროცესების შესაძენად, ასევე ახალიზებენ უფრო მეტ მონაცემს ინფორმირებული ბიზნესგადაწყვეტილებების მისაღებად. ეს ტენდენცია ხელს უწყობს აუდიტისადმი მონაცემთა ანალიზსა და რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მონაცემთა სრული პოპულაციის გაანალიზება, ხოლო აუდიტორის ყურადღება ოპერაციების სრულ ნაკადსა და პროცესზე მახვილდება.

EY-ის გლობალური აუდიტის მეთოდოლოგიაში (EY GAM) ინტეგრირებული, მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა აუმჯობესებს აუდიტორის მიერ რისკების წინასწარ შეფასებას და ეხმარება მას, აუდიტის სხვადასხვა ეტაპზე ექვეყნებოდა დააყენოს აღნიშნული დასკვნები. აუდიტორს შეუძლია მონაცემებში გამოვლენილი ინფორმაციის საფუძველზე გადააფასოს რისკი, რაც აუდიტის პროცესს იტერაციულ (ციკლურ) ხასიათს ანიჭებს.

ტექნოლოგიებზე ზედმეტი დამოკიდებულების რისკის მართვა

EY-ში დანერგილია სხვადასხვა პროცედურა, პოლიტიკა და დამხმარე საშუალება, რომლებიც აუდიტორული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების (მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების) პასუხისმგებლობიან გამოყენებას უწყობს ხელს.

ეს ზომები ასევე ემსახურება აუდიტის პროფესიონალების მხრიდან ტექნოლოგიებზე ზედმეტი დამოკიდებულების რისკის შემცირებას. გარდა ამისა, EY GAM ხაზს უსვამს აუდიტის პროცედურების შესრულებისას სათანადო პროფესიული სკეპტიციზმის გამოჩენის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის მნიშვნელობას. EY-ის აუდიტორული ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები (მათ შორის, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიები) შექმნილია იმისთვის, რომ აუდიტის გუნდს არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირების პროცედურების განხორციელებაში დაეხმაროს. თუმცა, ისინი არ ანაცვლებს პროფესიონალის უმნიშვნელოვანეს როლს გამოიყენოს საკუთარი გამოცდილება და განსჯა დასკვნის გამოსატანად.



თაღლითობის რისკებზე რეაგირება აუდიტის დროს

ორგანიზაციების კომპლექსურობისა და ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ზრდასთან ერთად, ჩნდება აუდიტორის მიდგომების ცვლილების საჭიროება, რათა მან მოახდინოს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება. ეს ასევე ეხება აუდიტორის რეაგირებას უკვე გამოვლენილ ან სავარაუდო თაღლითობის ფაქტებზე.

EY მონაცემებს იყენებს თაღლითური ფინანსური ანგარიშგების რისკის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მიზნით. მაგალითად, აუდიტორებს შეუძლიათ გამოიყენონ EY Helix-ის მონაცემთა ანალიზის მოწინავე შესაძლებლობები უჩვეულო ტრანზაქციებისა და მათი კანონზომიერებების გამოსავლენად, რაც შესაძლოა თაღლითობის გაზრდილ რისკზე მიანიშნებდეს. გარდა ფინანსური გამოძიების სპეციალისტებზე წვდომისა, ხელმისაწვდომია EY-ის ინსტრუმენტები და პროცესები, რომლებიც EY-ის გუნდებს თაღლითობის კონკრეტული რისკების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებაში ეხმარება. ეს რისკები მოიცავს შემდეგს:

- **დოკუმენტის ნამდვილობის დადგენის ინსტრუმენტი**, რომელიც სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით ამოწმებს შერჩეულ ელექტრონულ დოკუმენტებში შესულ ცვლილებებს. ის ეხმარება აუდიტორს იმის იდენტიფიცირებაში, არის თუ არა აუდიტის მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტი შეცვლილი, გადაკეთებული ან მოდიფიცირებული;
- **საჟურნალო გატარებებში თაღლითობის რისკის ანალიზატორი (JEFRA)**, რომელიც აფასებს თითოეულ შერჩეულ გატარებას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც

დაკავშირებულია ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის მექანიზმების გვერდის ავლის გაზრდილ რისკთან და გამოავლენს საჟურნალო გატარებებს დამატებითი შესწავლისთვის;

- **შორტსელერების ანგარიშების შესახებ შეტყობინების პროცესი**, რომელიც ახდენს მონიტორინგს და გლობალურად ავრცელებს აღნიშნულ ანგარიშებს EY-ის აუდიტის გუნდებსა და ხელმძღვანელობას შორის.



აუდიტის სამუშაოს მიმოხილვები

EY-ის პოლიტიკა განსაზღვრავს მოთხოვნებს უმაღლესი რანგის პროფესიონალების დროულ და უშუალო ჩართულობასთან დაკავშირებით. ასევე, ის ადგენს შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის საჭირო დონესა და შესრულებული სამუშაოსა თუ გამოტანილი დასკვნების დოკუმენტაციის სტანდარტებს. აუდიტის გარიგების გუნდის ზედამხედველი წევრები აუდიტორული დოკუმენტაციის დეტალურ მიმოხილვას ატარებენ ტექნიკური სიზუსტისა და სისრულის შესამოწმებლად. აუდიტის მიმართულების უფროსი ხელმძღვანელები და გარიგების პარტნიორები ახორციელებენ მეორე დონის მიმოხილვას, რათა შეაფასონ მთლიანობაში აუდიტორული სამუშაოს, ასევე მასთან დაკავშირებული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადეკვატურობა. საჭიროების შემთხვევაში და რისკის გათვალისწინებით, გადასახადების სპეციალისტი მიმოხილავს მნიშვნელოვან საგადასახადო და სხვა შესაბამის სამუშაო დოკუმენტებს. ბირჟაზე დაშვებული, საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა (სდპ) და ზოგიერთი სხვა კომპანიის შემთხვევაში, გარიგების ხარისხის მიმოხილველი (რომელიც აღწერილია ქვემოთ, „გარიგების ხარისხის მიმოხილვების“ თავში) მიმოხილავს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ჩატარების მნიშვნელოვან საკითხებს, ასევე აუდიტირებული სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტორის დასკვნას.

აუდიტორული სამუშაოს მიმოხილვის ხასიათი, ვადები და მასშტაბი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის შემდეგზე:

- მიმოხილვის საკითხის რისკი, არსებითობა, სუბიექტურობა და კომპლექსურობა;
- აუდიტის გარიგების გუნდის იმ წევრების უნარები და გამოცდილება, რომლებიც აუდიტორულ დოკუმენტაციას ამზადებენ;
- აუდიტის სამუშაოში მიმოხილველის პირდაპირი მონაწილეობის დონე;
- გამოყენებული კონსულტაციების მასშტაბი.

EY-ის პოლიტიკა ასევე აღწერს პასუხისმგებელი პარტნიორის (PIC) კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს აუდიტის ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაში, ისევე როგორც აუდიტის გუნდის ყველა წევრისთვის (მათ შორის კომპონენტის აუდიტორებისთვის) ხარისხის მნიშვნელობის შესვენებაში.



კონსულტაციის მოთხოვნები

EY-ის საკონსულტაციო პოლიტიკა ეფუძნება კულტურას, სადაც EY-ის აუდიტის პროფესიონალებს კომპლექსურ საადრიცხო, აუდიტორულ და ანგარიშგების საკითხებზე მოსაზრებების გაზიარებისკენ მოუწოდებენ. 2025 წლის ხარისხის გლობალურ კვლევაში რესპონდენტთა 94%-მა აღნიშნა, რომ EY-ის კონსულტაციების კულტურა მათ რჩევისა და მხარდაჭერის ძიებისკენ ახალისებს.

იმ ფონზე, რომ გარემო, რომელშიც EY-ის წევრი ფორმები საქმიანობენ, გლობალურად უფრო კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული გახდა, EY-ის კონსულტაციების კულტურის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ის ეხმარება EY-ის წევრ ფორმებს, დროულად გამოიტანონ სათანადო დასკვნები მათ მიერ აუდიტირებული სუბიექტების შესახებ. კონსულტაციებთან დაკავშირებული მოთხოვნები და შესაბამისი პოლიტიკა მიზნად ისახავს სათანადო რესურსების ჩართვას, რათა EY-ის აუდიტის გუნდებმა მართებული დასკვნები გამოიტანონ.

EY-ის კონსულტაციების კულტურა აუდიტის გუნდებს ეხმარება, უზრუნველყონ შეუფერხებელი, თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც აუდიტირებული სუბიექტების, მათი მმართველობითი ორგანოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს აკმაყოფილებს.

კომპლექსური და სენსიტიური საკითხებისთვის არსებობს ფორმალური პროცესი, რომელიც აუდიტის გუნდის მიღმა, EY-ის უფრო შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა პროფესიონალებთან უპირველეს ყოვლისა, პროფესიული პრაქტიკისა და დამოუკიდებლობის საკითხების სპეციალისტებთან კონსულტაციას მოითხოვს. ობიექტურობისა და პროფესიული სკეპტიციზმის დაცვის მიზნით, EY-ის პოლიტიკა მოითხოვს, რომ პროფესიული პრაქტიკისა და დამოუკიდებლობის ჯგუფების წევრებმა (და სხვა განსაზღვრულმა პირებმა) განაცხადონ თვითაც ილება კონსულტაციის პროცესიდან, თუ ისინი ამჟამად მომსახურებას უწევენ ან ახლო წარსულში უწევდნენ იმ სუბიექტს,

რომელსაც აღნიშნული კონსულტაცია ეხება. ასეთ შემთხვევებში, დაინიშნებიან სხვა, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები.

EY-ის პოლიტიკა ასევე მოითხოვს ყველა კონსულტაციის დოკუმენტირებას, რაც მოიცავს იმ პირის (ან პირების) წერილობით თანხმობას, ვისთანაც გაიარეს კონსულტაცია. ეს საჭიროა იმის სადემონსტრაციოდ, რომ მათ გაიაზრეს განსახილველი საკითხი და მისი გადაჭრის გზა.



გარიგების ხარისხის მიმოხილვა

EY-ის გარიგების ხარისხის მიმოხილვის პოლიტიკა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტთან (ISQM) 2 „გარიგების ხარისხის მიმოხილვები“, განსაზღვრავს იმ აუდიტებს, რომლებიც ექვემდებარება გარიგების ხარისხის მიმოხილვას, ასევე ადგენს გარიგების ხარისხის მიმოხილველთა კვალიფიკაციას. გარიგების ხარისხის მიმოხილველებს ასევე უტარდებათ ტრენინგი და აქვთ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად აუცილებელი დამხმარე საშუალებები. გარიგების ხარისხის მიმოხილველები არიან EY-ის გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც მნიშვნელოვან დარგობრივ ცოდნას ფლობენ. ისინი გარიგების გუნდისგან დამოუკიდებლები არიან და უზრუნველყოფენ გარიგების გუნდის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი განსჯისა და მის საფუძველზე მიღებული დასკვნების ობიექტურ შეფასებას. თუმცა, გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება არ ამცირებს პასუხისმგებელი პარტნიორის (PIC) პასუხისმგებლობას გარიგებასა და მის შესრულებაზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გარიგების ხარისხის მიმოხილველის პასუხისმგებლობის სხვა პირზე დელეგირება.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა მოიცავს გარიგების სრულ ციკლს, მათ შორის: დაგეგმვას, რისკების შეფასებას, აუდიტის სტრატეგიასა და განხორციელებას. გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებისა და დოკუმენტირების პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრავს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს შესასრულებელი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის, ასევე იმ სავალდებულო დოკუმენტაციის თაობაზე, რომელიც ადასტურებს მათ შესრულებას. გარიგების ხარისხის მიმოხილვა, ყველა შემთხვევაში, სრულდება აუდიტორის დასკვნის დათარიღებამდე.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა ხორციელდება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად ყველა ბირჟაზე დაშვებული საწარმოს, ყველა საზოგადოებრივი დაინტერესების პირისა (სდპ) და იმ სუბიექტების აუდიტის დროს,

რომლებიც საჭიროებენ მკაცრ მონიტორინგს. მარწმუნებელი მომსახურების ქვეყნის ხელმძღვანელი და ქვეყნის პროფესიული პრაქტიკის დირექტორი (PPD) ამტკიცებენ თითოეული შესაბამისი გარიგებისთვის გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნას.



გარიგების ჯგუფში განსხვავებული პროფესიული მოსაზრებების გადაჭრის პროცესი

EY-ში დამკვიდრებულია კულტურა, რომელიც EY-ის თანამშრომლებს მოუწოდებს და მათგან მოელის, რომ ღიად გამოხატონ თავიანთი მოსაზრება სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე, თუკი წარმოიქმნება განსხვავებული პროფესიული მოსაზრებები, ან თუ გარიგებასთან დაკავშირებული რაიმე საკითხი მათში დისკომფორტს იწვევს. პოლიტიკა და პროცედურები შემუშავებულია ისე, რომ აუდიტის გარიგების გუნდის წევრებს უფლება ჰქონდეთ, ხმამაღლა არ დაეთანხმონ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა თუ ანგარიშგების მნიშვნელოვან საკითხებს.

ახალი თანამშრომლები EY-ის კულტურას ეცნობიან EY-ის წევრ ფირმაში დასაქმებისთანავე, და EY-ის წევრი ფირმები განაგრძობენ ისეთი კულტურის დანერგვას, რომელიც განამტკიცებს პირის პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებას გააჟღეროს საკუთარი და მოისმინოს სხვების მოსაზრებები.

აუდიტის მიმდინარეობისას წარმოქმნილი განსხვავებები პროფესიულ მოსაზრებებს შორის, როგორც წესი, აუდიტის გარიგების გუნდის დონეზე გვარდება. თუმცა, თუ საკითხის განხილვაში ჩართული რომელიმე პირი არ არის კმაყოფილი მიღებული გადაწყვეტილებით, EY-ის პოლიტიკის მიხედვით, საკითხის განხილვა უნდა მოხდეს უფლებამოსილების მომდევნო დონეზე, ვიდრე არ მიიღწევა შეთანხმება ან არ მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება; აღნიშნული, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს კონსულტაციას პროფესიული პრაქტიკის დეპარტამენტთან.

ამასთანავე, თუ გარიგების ხარისხის მიმომხილველი გასცემს ისეთ რეკომენდაციებს, რომლებსაც პასუხისმგებელი პარტნიორი (PIC) არ გაიზიარებს, ან თუ საკითხი არ მოგვარდება მიმომხილველისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით, აუდიტორის დასკვნა არ გაიცემა მანამ, სანამ აღნიშნული საკითხი არ გადაწყდება.

პროფესიულ მოსაზრებათა სხვადასხვაობა, რომლებიც პროფესიული პრაქტიკის დეპარტამენტთან კონსულტაციის გზით გვარდება, სათანადოდ დოკუმენტირდება.



ჩანაწერების შენახვა

ჩანაწერებისა და ინფორმაციის შენახვისა და განკარგვის გლობალური პოლიტიკა მხარს უჭერს და ეფუძნება EY-ის ქვეყნის გლობალური კოდექსის დებულებებს, რომლებიც ეხება სამუშაოს დოკუმენტირების პროცესში პროფესიული კეთილსინდისიერებით მოქმედებასა და ინტელექტუალური კაპიტალის პატივისცემას. აღნიშნული პოლიტიკა და გლობალური რეესტრი (GRS) ადგენს ჩანაწერებისა და ინფორმაციის მართვის (RIM) მოთხოვნებს ჩანაწერების, ინფორმაციისა და დოკუმენტების (შემდგომში „ჩანაწერები და ინფორმაცია“) მართვისთვის მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში; ეს ასევე მოიცავს იმ ჩანაწერების უსაფრთხოდ განკარგვის ან წაშლის მოთხოვნას, რომელთა შენახვის ვადა ამოიწურა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული და მისაღები გარემოებები. აღნიშნული პოლიტიკა, ასევე გლობალური რეესტრის (GRS) და ჩანაწერებისა და ინფორმაციის მართვის (RIM) მოთხოვნები, შეესაბამება მოქმედ პროფესიულ სტანდარტებს და ეფუძნება მარეგულირებელ, სამართლებრივ და ბიზნეს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს. ისინი ვრცელდება ყველა გარიგებასა და EY-ის თანამშრომელზე, ითვალისწინებს EY საქართველოს სამართლებრივ მოთხოვნებს, გამოიყენება სამუშაო დოკუმენტაციის შექმნისა და წარმოებისას და რელევანტურია შესრულებული სამუშაოსთვის.



რესურსები

EY განაგრძობს რესურსებში ინვესტირებას. ISQM 1-ით განსაზღვრული რესურსები მოიცავს ინტელექტუალურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსებს.



აუდიტის მეთოდოლოგია

EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგია (EY GAM) წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს მაღალი ხარისხის აუდიტური მომსახურების გაწევისთვის აუდიტის ყველა ტიპის გარიგების ფარგლებში, განურჩევლად მათი ზომისა, ლოგიკური აზროვნების, განსჯისა და პროცედურების თანმიმდევრული გამოყენების გზით. EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგია მოითხოვს შესაბამისობას შესაბამის ეთიკურ ნორმებთან, რაც მოიცავს

დამოუკიდებლობას აუდიტის ობიექტისგან. რისკების შეფასება, მათი საჭიროებისამებრ გადახედვა და მოდიფიცირება და ამ შეფასებების გამოყენება აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის განსაზღვრისთვის EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგიის საფუძველია. მეთოდოლოგია ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მართებული პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენას აუდიტის პროცედურების განხორციელებისას. EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგია ეყრდნობა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ასს). EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგია არის EY-ის წევრი ფირმებისთვის ხელმისაწვდომი ინტელექტუალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის გარიგებების განხორციელების თანმიმდევრულობას.

EY Atlas-ში EY-ის აუდიტორი ეცნობა EY-ის აუდიტის გლობალურ მეთოდოლოგიას, რომელიც თემატურად არის დალაგებული და იმგვარად სტრუქტურირებული, რომ აუდიტის სტრატეგია მიმართოს ფინანსური ანგარიშგების რისკებისკენ და ამ რისკებზე სათანადო აუდიტის ღონისძიებების გეგმისა და განხორციელებისკენ. EY-ის აუდიტის გლობალური მეთოდოლოგია შედგება ორი მთავარი კომპონენტისგან: მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები; და დამხმარე ფორმები და მაგალითები. მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები ასახავს როგორც აუდიტის სტანდარტებს, ისე EY-ის პოლიტიკას. EY-ის აუდიტის გლობალურ მეთოდოლოგიაში მოთხოვნებს და სახელმძღვანელო მითითებებს ერთვის წამყვანი პრაქტიკის საილუსტრაციო მაგალითები.

EY GAM კონკრეტულად განასხვავებს იმ მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ვრცელდება ბირჟაზე დაშვებული საწარმოებისა და საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტზე.

შიდა და გარე შემოწმებების შედეგები, მომსახურების გამწევი გუნდის ქოუჩინგი და სხვა წყაროები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის EY-ის აუდიტის ხარისხის შესახებ. უკუკავშირის ეს ციკლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გასააზრებლად, თუ ხარისხზე ორიენტირებული რომელი ღონისძიებებია ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი მომავალი წარმატების მისაღწევად და რამდენად ეფექტიანია აღნიშნული ინიციატივები წარსული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმის განსაზღვრას, არის თუ არა მიზანშეწონილი აუდიტის მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანა იმ პრაქტიკული გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც აღნიშნული ღონისძიებების მეშვეობით ვლინდება.

EY აგრძელებს მეთოდოლოგიის განახლებას აუდიტის და სხვა პროფესიულ სტანდარტებში შესული ცვლილებების და შესწორებების, ასევე საწარმოების ფინანსური ანგარიშგების პროცესების ცვლილების კვალდაკვალ და ხვეწს იმ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ეხება საწარმოს დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კლიმატთან დაკავშირებული რისკები, კიბერუსაფრთხოების რისკები და საწარმოს მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება თავის საოპერაციო ან ფინანსური ანგარიშგების პროცესებში (მაგ. ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი).



არაფინანსური ანგარიშგება

EY-ის წევრი ფირმები გასწევენ მარწმუნებელ მომსახურებას ფართო სპექტრის არაფინანსურ და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ინფორმაციაზე. EY-ის მდგრადი განვითარების მარწმუნებელი მომსახურების მეთოდოლოგია (EY SAM) ქმნის გლობალურ ჩარჩოს თანმიმდევრული მიდგომის გამოსაყენებლად ყველა მარწმუნებელ გარიგებაში, რომელიც მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციას ეხება. EY SAM უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მარწმუნებელი მომსახურების გაწევას აზროვნების პროცესების, განსჯისა და პროცედურების თანმიმდევრული გამოყენების გზით ყველა გარიგებაში, მიუხედავად მოთხოვნილი რწმუნების დონისა. EY SAM, ამასთანავე, ადაპტირებადია როგორც მდგრადი განვითარების ანგარიშგების ხასიათთან, ისე იმ კრიტერიუმებთან, რომლებსაც ანგარიშვალდებული საწარმო იყენებს აღნიშნული ანგარიშის მომზადებისას.

მეთოდოლოგია ხაზს უსვამს პროცედურების შესრულებისას სათანადო პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენებას, მდგრადი განვითარების ანგარიშგებისა და კრიტერიუმების კუთხით არსებული ცვალეზადი გარემოს გათვალისწინებით. EY SAM ეყრდნობა მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს (მგსს-ებს).

EY-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები, ტრენინგები და მონიტორინგის პროგრამები და პროცესები, რომლებსაც EY-ის წევრი ფირმების პროფესიონალები იყენებენ აღნიშნული მომსახურების თანმიმდევრულად და ეფექტიანად განსახორციელებლად. აღნიშნული მოიცავს EY-ის კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მომსახურების (CCaSS) მიმართულებას მდგრადი განვითარების პროფესიონალებისგან შემდგარ სპეციალიზებულ გუნდს.

ასევე, შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითებები EY-ის აუდიტორული გუნდებისთვის, რათა მათ შეაფასონ კლიმატის რისკის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ან ფინანსური ანგარიშგების სხვა ჩარჩოების შესაბამისად. გლობალური, ტერიტორიის, რეგიონული და ქვეყნის დონის პროფესიული პრაქტიკის დირექტორები (PPDs), EY-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და ფასს-ის ჯგუფები, ფინანსებისა და მდგრადი განვითარების სხვა პროფესიონალებთან ერთად, რომლებიც თითოეულ წევრ ფირმაში არსებულ გუნდებთან თანამშრომლობენ, სიღრმისეულად იცნობენ არაფინანსური ანგარიშგების ცვალებად მარეგულირებელ გარემოს, ასევე EY-ის თანამშრომლებს, კლიენტებსა და პროცესებს. მათი მხარდაჭერა ხელმისაწვდომია მარწმუნებელი გარიგების გუნდებისთვის.

EY განაგრძობს ინვესტირებას რესურსებში (ადამიანურ, ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ) მდგრადი განვითარების ანგარიშგების მარწმუნებელი გარიგებებისთვის, რომლებიც მომზადებულია ფასს-ის მდგრადი განვითარების ინფორმაციის გამჟღავნების სტანდარტების ან მდგრადი განვითარების ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) შესაბამისად.

გარდა ამისა, EY-ის ხარისხის მართვასთან დაკავშირებული პროცესები მიზნად ისახავს ისეთი ასპექტების მოცვას, როგორიცაა გარიგების მიღების პროცესი, ტრენინგისა და აკრედიტაციის მოთხოვნები და რესურსების განაწილება, რომლებიც კონკრეტულად უკავშირდება არაფინანსური ანგარიშგების საკითხებზე მარწმუნებელი მომსახურების გაწევას.

EY SAM-ის სახელმძღვანელო მითითებები განახლების პროცესშია, რათა მასში გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა იურისდიქციის მოთხოვნები.

EY წვლილი შეაქვს რიც საჯარო და კერძო ინიციატივებში, რათა გააუმჯობესოს არაფინანსური ანგარიშგების ხარისხი, შესაძარისობა და თანმიმდევრულობა, კლიმატური რისკის ჩათვლით. ეს აქტივობები ხორციელდება გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეზე.



ტექნოლოგიის სერტიფიცირება

EY-ში მოქმედებს სერტიფიცირების მკაცრი პროცესი, რათა დადასტურდეს, რომ აუდიტის გარიგებებში გამოყენებული ავტომატიზებული ინსტრუმენტები და ხერხები შეესაბამება დასახულ მიზნებს, ხოლო EY-ის თანამშრომლებს გააჩნიათ სათანადო კომპეტენცია და მხარდაჭერა ამ გადაწყვეტების გამოსაყენებლად.

სერტიფიცირება მოიცავს რიც ასპექტებს, მათ შორის იმის დადასტურებას, რომ ტექნოლოგიურ

გადაწყვეტას გააჩნია აუდიტის მტკიცებულების მოპოვების მკაფიო მიზანი და გავლილი აქვს სათანადო ტესტირება; ასევე იმას, რომ მისი გამოყენების მხარდასაჭერად ხელმისაწვდომია მეთოდოლოგია, დამხმარე საშუალებები და სასწავლო მასალები, ხოლო შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნები (მაგ., მონაცემთა კონფიდენციალურობა) შესრულებულია.



თანამშრომლისთვის შეთავაზებული ღირებულება (EVP)

EY-ის თანამშრომლისთვის შეთავაზებული ღირებულება (EVP) არის დაპირება, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს EY საქართველოში მუშაობის სანაცვლოდ ვაძლევთ. EY-ის თანამშრომელთა შემადგენლობა მუდმივად იცვლება. ჩვენ საქმიანობას ვწვევით დინამიკურ და კონკურენტულ შრომის ბაზარზე, სადაც EY-ის თანამშრომლებს სამუშაო ადგილის მიმართ ახლა უკვე სხვაგვარი მოთხოვნები აქვთ. ის, რასაც ჩვენ თანამშრომლებს EVP-ის ფარგლებში ვპირდებით, დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

EY-ის ახალი სტრატეგიის ფარგლებში, EVP განახლდა, რათა აესახა ის, რომ თითოეულ თანამშრომელს შეუძლია „თავდაჯერებით შექმნას საკუთარი მომავალი“. ეს მიანიშნებს მნიშვნელოვან ცვლილებაზე EY-ის გამორჩეული გამოცდილების უზრუნველყოფიდან აქცენტი გადადის ისეთი შესაძლებლობების მიცემაზე, რომლებიც განავითარებს, გააძლიერებს და სტიმულს მისცემს EY-ის გამორჩეულ თანამშრომლებს.

EY საქართველო იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ინვესტიცია თავის ყველაზე ღირებულ აქტივში საკუთარ თანამშრომლებში, რათა უზრუნველყოს მათთვის მიცემული დაპირების შესრულება. EVP-ის შესრულება, თავის მხრივ, ხელს უწყობს აუდიტის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც რეალურ ღირებულებასა და სიღრმისეულ ხედვებს სძენს იმ სუბიექტებს, რომელთა აუდიტსაც ჩვენ ვახორციელებთ.

2025 ფინანსურ წელს EY ორიენტირებულია ახალი EVP-ის ამოქმედებაზე, რაც, უმთავრესად, ორი გლობალურად თანმიმდევრული, საკვანძო ვალდებულების მეშვეობით განხორციელდება: „**კარიერული მოქნილობა**“ (Career Agility) და „**დრო განვითარებისთვის**“ (Thrive Time).

„**კარიერული მოქნილობა**“ გულისხმობს თანამშრომლების გაძლიერებას, რათა მათ თავდაჯერებით შექმნან თავიანთი მომავალი და კარიერული მიზნების მისაღწევად სრულად გამოიყენონ ჩვენი მასშტაბი და რესურსები. ეს გულისხმობს EY-ის თანამშრომლების მხარდაჭერას პერსონალიზებული და მოქნილი კარიერული გზის

მიებაში, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან როლებსა და გამოცდილებას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, პროექტებში, ინდუსტრიებსა და მომსახურების მიმართულებებში.

„დრო განვითარებისთვის“ ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი კულტურა, რომელშიც თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა და მხარდაჭერა, გამოიყონ დრო პირადი განვითარებისთვის იქნება ეს ახალი უნარების შესწავლა, კეთილდღეობაზე ზრუნვა თუ იმ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, სადაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.



ტალანტის მოზიდვა და აყვანა

იმ ფონზე, რომ ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში კარიერის გაგრძელების მსურველი ახალგაზრდების რაოდენობა მცირდება, ოპტიმალური უნარების მქონე ტალანტებზე კონკურენცია ისეთი მაღალია, როგორც არასდროს. მაღალკვალიფიციური აუდიტორების მომავალი თაობის მოზიდვა EY-ისთვის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. ეს პრიორიტეტული საკითხია მთლიანი სექტორისთვისაც.

ამ გამოწვევის საპასუხოდ, გლობალური საჯარო პოლიტიკის კომიტეტმა (GPPC) რომელიც აერთიანებს ექვსი უმსხვილესი საერთაშორისო საბუღალტრო ქსელის (BDO, Deloitte, EY, Grant Thornton, KPMG და PwC) ლიდერებს, რომ ერთად იმუშაონ გლობალური მრავალპროფილური სააღრიცხვო პროფესიის წინაშე არსებულ საჯარო პოლიტიკის საკითხებზე წამოიწყო სამუშაო მიმართულება „პროფესიის მიმზიდველობა“ (AotP). AotP-ის ერთ-ერთი ინიციატივის მიზანია შეიქმნას ნარატივები პროფესიის დადებითი მხარეების შესახებ. ეს ემსახურება სექტორის გრძელვადიან გაძლიერებას ადრეულ ეტაპზევე ისეთი ტალანტების რეზერვის ფორმირებით, რაც სარგებელს მოუტანს მთლიანად პროფესიას.

სხვადასხვა პროფესიისთვის ტალანტების რეზერვის გაფართოებისა და მთელ მსოფლიოში ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორიის მოცვის მიზნით, EY-მ აამოქმედა აუდიტის ვირტუალური სამუშაო გამოცდილების პროგრამა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლის საწყის ეტაპზე იმყოფებიან და სამომავლო პროფესიის შერჩევა სურთ. ამის მიზანია სტუდენტებთან კავშირის დამყარება და იმ აუდიტორული საქმიანობის უშუალო და არაფორმალური გზით წარმოჩენა, რომელსაც EY-ის გუნდები მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ; ეს კი ემსახურება ჩვენს მომავალ პროფესიონალებთან კავშირის დამყარებას მათი აკადემიური ცხოვრების გზის საწყის ეტაპზევე. სტუდენტებს, რომლებიც ამ

ვირტუალურ სამუშაო სიმულაციას გადიან, უფრო მეტი შანსი აქვთ, შეიტანონ განაცხადი, მოხვდნენ გასაუბრებაზე და წარმატებით დასაქმდნენ EY-ის აუდიტორულ გუნდებში.

EY საქართველო ინარჩუნებს კადრების შერჩევის სპეციალისტების ძლიერ ქსელს და განაგრძობს მათ განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას EY-ის ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებებში, მიმდინარე ტენდენციებსა და მარწმუნებელი მომსახურების აქტუალურ საკითხებში, რათა ისინი კანდიდატებთან სასაუბროდ საჭირო ინფორმაციით იყვნენ აღჭურვილნი. EY საქართველო ასევე აგრძელებს მუშაობას ნიჭიერი ადამიანების მოზიდვის ინიციატივებზე, რათა დაამყაროს საქმიანი კავშირები იმ ახალ და მრავალფეროვან აუდიტორიასთან, რომელთან დაკავშირებაც ტრადიციული არხებით ვერ ხერხდებოდა; დანერგოს ინოვაციური მიდგომები მომავალი ტალანტის მოზიდვისა და მასთან კომუნიკაციის პროცესში.

EY იყენებს ხელოვნურ ინტელექტს CV-ების გადარჩევის პროცესში (EY-ის AI პრინციპების შესაბამისად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანის უცილობელი მონაწილეობით), რაც კადრების შერჩევის სპეციალისტებს განხილვისა და გასაუბრების ეტაპების დაჩქარებაში ეხმარება. შედეგად, უმჯობესდება კანდიდატების გამოცდილება და ვაკანსიები უფრო სწრაფად ივსება მაღალკვალიფიციური კადრებით.

EY-ის კულტურასთან თავსებადი კადრების მოსაზიდად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნიკური სრულყოფილების, არამედ სხვა თვისებებისა და უნარების გათვალისწინებაც, როგორცაა კომუნიკაციის უნარები, მაღალი ეთიკური სტანდარტები და მაღალეფექტურ გუნდებში თანამშრომლობის შესაძლებლობა. ყველა ახალი თანამშრომელი უნდა აკმაყოფილებდეს კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარტებს და ჰქონდეს ძლიერი ბიზნესაღლო და ლიდერული პოტენციალი.



თანამშრომელთა შენარჩუნება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა

კვალიფიციური კადრების შენარჩუნება გადაწყვეტ როლს თამაშობს მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების გაწევაში. კადრების შენარჩუნების მაჩვენებელი შესაძლოა იცვლებოდეს გარე ფაქტორების, მაგალითად, საზაზრო პირობების გავლენით, თუმცა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ის 68%-ს შეადგენდა.

EY-ის თანამშრომლები ყოველთვის ისწრაფოდნენ პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის სწორი ბალანსის პოვნისკენ, თუმცა ახალგაზრდა თაობები ბევრად უფრო სწრაფად იღებენ ზომებს, თუ მათი

მოთხოვნები მოქნილობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებით არ კმაყოფილდება. ამჟამად, EY საქართველოს თანამშრომლებს რეკომენდაცია ეძლევათ, კვირაში სულ მცირე სამი დღე ოფისიდან იმუშაონ; თუმცა, ეს მოთხოვნა შესაძლოა განსხვავდებოდეს მომსახურების მიმართულებისა და კონკრეტული ჯგუფების შიდა შეთანხმებების მიხედვით. მაგალითად, აუდიტორებს ხშირად უხდებათ კლიენტის ოფისში (ადგილზე) ვიზიტი მოთხოვნის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მიდგომა განსხვავდება პროექტის ხასიათისა და მომსახურების კონკრეტული მიმართულების სპეციფიკის მიხედვით.

ტალანტის მართვის კუთხით სულ უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხდება კეთილდღეობაზე ორიენტირება და EY-ის თანამშრომლების ყოველდღიური გამოცდილების გაუმჯობესება. უპირველესი მიზანია კეთილდღეობის კულტურის დანერგვა, რისთვისაც ხელმძღვანელობა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ისეთი ფინანსური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური მხარდაჭერა, რომელიც EY-ის თანამშრომლებს საუკეთესო შედეგების მიღწევაში დაეხმარება. ეს შეიძლება გამოიხატოს მოქნილი სამუშაო რეჟიმის შეთავაზებაში, აღიარების პროგრამებში, მენტალური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვაში, სწავლასა და განვითარებაში და მრავალ სხვა საკითხში.

მიმდინარე წელს „დრო განვითარებისთვის“ ინიციატივის გააქტიურებამ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ინდივიდუალურ განვითარებაზე, რაც მოიცავს დროის დათმობას როგორც კეთილდღეობის გაუმჯობესების, ისე პიროვნული ზრდისთვის.

პრაქტიკაში ეს ასევე გულისხმობს სამუშაო დატვირთვის სამართლიან გადანაწილებას და იმ ბარიერების მოშლას, რომლებიც აქამდე ხელს უშლიდა EY-ის პროფესიონალებს, დაეწესებინათ და დაეცვათ ჯანსაღი საზღვრები. მეტი ყურადღება ეთმობა გამოცდილების მართვას და აუდიტორების ჩართვას ისეთ პროექტებში, რომლებიც მათ ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება, რაც მათი გრძელვადიანი კარიერული წინსვლის ნაწილია.

რაც უფრო უკეთ შეძლებს ორგანიზაცია EY-ის თანამშრომლების კეთილდღეობის მხარდაჭერას, მით უფრო მყარ საფუძველს უქმნის მათ, რომ საკუთარი კარიერა სწორედ EY-ს დაუკავშირონ.



აუდიტის აკადემია

გარემო პირობების ცვლილება განაპირობებს იმას, რომ გამორჩეულ კადრებში ინვესტირება მოქნილ მიდგომას საჭიროებს. EY-ის აუდიტორული

გუნდები უკვე აერთიანებს სულ უფრო მრავალფეროვან უნარებს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და აუდიტორის როლის განვითარების პარალელურად კი ეს ტენდენცია მხოლოდ დაჩქარდება. აუცილებელია კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება ახალი კომპეტენციების ასათვისებლად; ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის მართვითი გამოყენება და ახალი მიმართულებები, მათ შორის არაფინანსური ინფორმაციის ანალიზი (მაგალითად, მდგრადი განვითარების სწრაფად ცვალებადი სტანდარტები).

EY-ის აუდიტორებმა ასევე უნდა გაიაზრონ და შეაფასონ ამ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკები და გასათვალისწინებელი ფაქტორები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც კომპანიები ახალ სისტემებს ნერგავენ და ქმნიან ისეთ მონაცემებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებაზე მაგალითად, კრიპტოვალუტებთან ან სათბური აირების გაფრქვევასთან დაკავშირებული პროცესები.

აღნიშნულ საჭიროებებს პასუხობს აუდიტის აკადემია EY-ის გლობალური სასწავლო პროგრამა აუდიტორებისთვის. იგი ხელს უწყობს აუდიტორების ძირითადი კომპეტენციების განვითარებას და დროთა განმავლობაში იხვეწება. აუდიტის აკადემიის პროგრამის შინაარსი და მიმართულებები ყოველწლიურად კორექტირდება, რათა მოიცავს ახალი ტექნოლოგიები და ის სტრატეგიული პრიორიტეტები, რაც აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება. ამასთანავე, რეგულარულად მიმდინარეობს შემოწმებისა და ხარისხის კონტროლის შედეგების განხილვა ძირეული მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით, რის შემდეგაც შესაბამისი დასკვნები აუდიტის აკადემიის სასწავლო კურსში ინტეგრირდება, მისი ყოველწლიური განახლების პროცესში. ყველა შემოთავაზებული ცვლილება ჯერ მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობასთან თანხმდება, რის შემდეგაც მას EY-ის მარწმუნებელი მომსახურების სწავლების გლობალური საორგანიზაციო კომიტეტი ამტკიცებს.

გუნდებს შეუძლიათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იღებენ უმაღლესი დონის და გლობალურად თანმიმდევრულ საბაზისო განათლებას. აუდიტის აკადემია მოუწოდებს თანამშრომლებს, რომ მათ გამოიჩინონ პროფესიული სკეპტიციზმი, იაზროვნონ კრიტიკულად და გასწიონ კლიენტთა გამორჩეული მომსახურება. იგი აცალიბებს ისეთ მოქნილ უნარებს, რაც მსმენელებს საშუალებას აძლევს, ადაპტირდნენ რეგულაციების ცვლილებებთან ან ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან იქნება ეს მონაცემთა ანალიტიკის ახალი ინსტრუმენტები და მეთოდები თუ ხელოვნური ინტელექტის სათანადო გამოყენება.

აუდიტის აკადემია სწავლების მოქნილ ფორმატს უზრუნველყოფს. იგი აერთიანებს მოთხოვნაზე ორიენტირებულ კონტენტსა და სიმულაციურ ან პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც შესაძლებელია წარმართოს როგორც ფიზიკურად, ისე ვირტუალურად.

EY საქართველოს მოთხოვნით, აუდიტორებმა ყოველწლიურად უნდა დააგროვონ განგრძობითი პროფესიული განათლების სულ მცირე 20 საათი, სამი წლის განმავლობაში კი მინიმუმ 120 საათი. აღნიშნული საათების 40% (ყოველწლიურად 8 საათი, ხოლო სამწლიან პერიოდში 48 საათი) უნდა დაეთმოს ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს.

გარდა ამისა, ადგილობრივი მოთხოვნების თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულმა აუდიტორებმა ყოველ სამ წელიწადში განგრძობითი პროფესიული განათლების სულ მცირე 120 საათი უნდა გაიარონ, ამასთან, ყოველწლიურად მინიმუმ 30 საათი. ტერმინი „ყოველწლიური“ ნიშნავს კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). აღნიშნული დროიდან 90 საათი დადასტურებად (მაგ. სერტიფიკატით) სწავლებას უნდა ეთმობოდეს. ეს წესი ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა იმ აუდიტის პროფესიონალზე, რომელსაც საქართველოში აქვს აუდიტორის ან სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი. დღესდღეობით საქართველოში EY-ის აუდიტის ქვე-მიმართულების ყველა ხელმძღვრე პარტნიორსა და რამდენიმე მენეჯერს აქვს ეს სტატუსი.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასრულებულ ფინანსურ წელს, EY საქართველოს აუდიტორებმა ჯამში 13,195 საათი დაუთმეს სწავლებას (საშუალოდ 68 საათი თითოეულმა), რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს მინიმალურ მოთხოვნებს. მართალია, ამ დამატებითი საათების ნაწილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ტექნიკურ საკითხებს უკავშირდება, თუმცა დანარჩენი დრო უფრო ფართო უნარების განვითარებას ემსახურება, როგორც ეს მომდევნო ნაწილშია აღწერილი. 2025 წლის ხარისხის გლობალური გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 91% მიიჩნევს, რომ მათთვის ჩატარებული ტრენინგები და განვითარების პროგრამები საკმარისი იყო ხარისხიანი აუდიტისა და სხვა მარწმუნებელი მომსახურების გასაწევად, რაც 2024 წლის მონაცემებს 6%-ით აღემატება.



EY Badges და პარტნიორთა სწავლება

გარდა აუდიტისთვის განკუთვნილი სპეციფიკური სწავლებისა, EY უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, ეთიკურ და რეგულაციებთან

შესაბამისობის საკითხებს (მაგალითად: დამოუკიდებლობა, ღირებულებები და ინფორმაციული უსაფრთხოება), ასევე სხვა უნარებს, როგორცაა კეთილდღეობა, ქოუჩინგი, კონსულტირება, გუნდური მუშაობა და ბიზნესის განვითარება. ახალი უნარების განვითარების წახალისების მიზნით, EY Badges-ის პროგრამა EY-ის პროფესიონალებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ მომავალზე ორიენტირებული უნარები, მათ შორის: პროცესების რობოტიზებული ავტომატიზაცია, გუნდური მუშაობა, ინოვაცია და კიბერუსაფრთხოება, ასევე სხვა ისეთი მაღალი მოთხოვნის მქონე კომპეტენციები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება. EY Badges წარმოადგენს დამოუკიდებლად სწავლის ინიციატივას; იგი ემატება და სრულყოფს იმ სტრუქტურირებულ და მოცულობით სასწავლო კურსს, რომელსაც აუდიტორები გადიან.

EY Badges-თან მჭიდრო კავშირშია EY Tech MBA და სამაგისტრო პროგრამები ბიზნეს ანალიტიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. ეს არის ონლაინ კვალიფიკაციები, რომელსაც გასცემს სამმაგი აკრედიტაციის მქონე უნივერსიტეტი ჰალტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლა (Hult International Business School) და ის EY-ის ყველა თანამშრომლისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, EY-ის აუდიტის მოქმედ პროფესიონალებზე 107,934-ზე მეტი EY Badge გაიცა, აქედან მხოლოდ 32,030 ანალიტიკისა და მონაცემთა სტრატეგიის მიმართულებით. ამასთანავე, 47,785-ზე მეტი ბეჯი გაცემული იმ პირებზეც, რომლებიც დღეს EY-ში აღარ მუშაობენ.

პარალელურად, არსებობს სხვადასხვა სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად EY-ის წევრი ფირმების პარტნიორებისთვის შემუშავდა. ეს კურსები განკუთვნილია EY-ის პარტნიორებისთვის გლობალურად; ისინი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ხელოვნური ინტელექტი, შთამაგონებელი ლიდერობა, რევოლუციური ტექნოლოგიები და მდგრადობა. აღნიშნულ კურსებს ავსებს სიღრმისეული პრაქტიკული პროგრამები, რომლებიც პარტნიორთა კონკრეტული ჯგუფებისთვისაა განკუთვნილი და მოიცავს კლიენტების მართვასა და გარდამტეხ ტექნოლოგიებს. პარალელურად, რეგულარულად მიმდინარეობს სწავლება აუდიტის ისეთ სპეციფიკურ საკითხებზე, როგორიცაა რისკების შეფასება და თაღლითობის ფაქტები.



აკადემიური კეთილსინდისიერება

EY თანამშრომლებს სთავაზობს სწავლების მრავალმომცველ პროგრამას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფასა და პროფესიულ ზრდას ემსახურება; ამ პროგრამის ქვაკუთხედს კი აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს. EY საქართველო მხარს უჭერს თანამშრომლების შინაარსიან და სრულფასოვან ჩართულობას სწავლების პროცესში, ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ზომები.




ინდივიდუალური კარიერული გზა მრავალფეროვანი გამოცდილებით

ვინაიდან სამუშაო ძალა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება წარმომავლობის, უნარების, გამოცდილებისა და განათლების თვალსაზრისით, EY-ის წევრი ფირმები კარიერული განვითარების უფრო მოქნილ გზებს ნერგავენ EY-ის ყველა პროფესიონალისთვის.

მოქნილი და დინამიკური კარიერული გზის შეთავაზება, რომელიც საუკეთესო შედეგების მქონე თანამშრომლებისთვის დაჩქარებულ წინსვლასაც ითვალისწინებს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი, მრავალფეროვანი ტალანტების მოსაზიდად და არსებული სამუშაო ძალის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის.

დაწინაურებისას მთავარი ორიენტირი თანამშრომელთა უნარებია და არა ის, თუ რამდენი წელი იმუშავეს მათ ამა თუ იმ თანამდებობაზე. მაგალითად, EY ეტაპობრივად უარს ამბობს დაწინაურების ტრადიციულ წლიურ ციკლზე და ნერგავს „მოქნილ დაწინაურებას“. ეს ნიშნავს, რომ კარიერული წინსვლა ხდება მაშინ, როდესაც თანამშრომელი მზად არის და არსებობს ამის ბიზნეს საჭიროება, და არა მაინცდამაინც წელიწადის რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთში.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდებს ხშირად განსხვავებული კარიერული მოლოდინები აქვთ, EY-ის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო ინსტრუმენტებითა და პროცესებით, რათა საკუთარი კარიერული წინსვლა თავადვე, საკუთარი შეხედულებისამებრ მართონ. ამის დასტურად, 2025 წლის ხარისხის გლობალურ კვლევაში მონაწილეთა 93%-მა აღნიშნა, რომ კარიერული განვითარების ფარგლებში წახალისებულია ნებისმიერი რელევანტური სწავლება, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი აუდიტისა და სხვა მარწმუნებელი მომსახურების უზრუნველყოფა.



მობილობა

ერთ-ერთი ყველაზე ღირებული გამოცდილება, რისი შეთავაზებაც EY-ის წევრ ფირმებს თავიანთი თანამშრომლებისთვის შეუძლიათ, სხვადასხვა კულტურასა და ქვეყანაში მუშაობის შესაძლებლობაა. მობილობა EY-ის თანამშრომლებს სძენს თავდაჯერებულობას, თავად შექმნან საკუთარი მომავალი და თავის მხრივ, დაეხმარონ EY-ის კლიენტებსა და საზოგადოებებს მათი მომავლის განსაზღვრაში. ჩვენ ვიცით, რომ EY-ში ადამიანები გამორჩეული და მრავალფეროვანი გამოცდილებისთვის მოდიან. საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობა და მოგზაურობა კი იმ ხუთ უმთავრეს ფაქტორს შორისაა, რის გამოც EY-ის მარწმუნებელი მომსახურების მიმართულების ახალი თანამშრომლები EY-ის შეთავაზებას იღებენ. მობილობის მეშვეობით, EY-ის თანამშრომლებს შეუძლიათ, საკუთარი კარიერა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განავითარონ, გაეცნონ მრავალფეროვან კულტურებსა და მსოფლიო დონის გამოცდილებას, აიმაღლონ კარიერული მოქნილობა და გააღრმავონ ურთიერთობები ჩვენს გლობალურად შეკავშირებულ გუნდებთან. მომსახურების სხვა მიმართულებებთან გადაკვეთისას მიღებული გამოცდილება როგორც პროფესიული ზრდის, ისე პიროვნული კმაყოფილების საწინდარია.

EY-ის წევრი ფირმები თანამშრომლებს სთავაზობენ მოთხოვნაზე ორიენტირებულ მობილობის მრავალგვარ პროგრამას. გლობალური მობილობის პროგრამა Mobility4U საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას შესაძლებელს ხდის ნებისმიერი მიმართულების თანამშრომლისთვის უფროსი მენეჯერის თანამდებობამდე და მისი ჩათვლით და ძირითად აქცენტს EY-ის თანამშრომელთა განვითარების შესაძლებლობებზე აკეთებს. მობილობა ასევე შეიძლება განპირობებული იყოს კონკრეტული საჭიროებებით რეგიონში, მომსახურების მიმართულებასა თუ სექტორში, ხოლო წევრი ფირმების პარტნიორებისა და მომავალი ლიდერების შემთხვევაში საკვანძო ბიზნესმიზნების მხარდაჭერის აუცილებლობით.

EY Global-ის მიერ ახლახან ჩატარებულმა მობილობის ინვესტიციაზე უკუკავშირის ანალიზმა აჩვენა, რომ საერთაშორისო გამოცდილებამ დადებითი გავლენა მოახდინა კარიერულ შესაძლებლობებზე. მობილობის ფარგლებში მივლენილი თანამშრომლების 76% მიიჩნევს, რომ პროგრამამ ერთი წლის თავზე დადებითად იმოქმედა მათ კარიერაზე. 92% მიღებულ საერთაშორისო გამოცდილებას გამორჩეულად აფასებს, 98% კი EY-ის მობილობის პროგრამას სხვებსაც ურჩევდა.



საქმიანობის მართვა

EY-ის შედეგების მართვის ჩარჩო, LEAD, ხელს უწყობს თანამშრომელთა კარიერულ წინსვლას, სტიმულს აძლევს მათ განვითარებას და სათანადოდ აფასებს მათ მიერ EY საქართველოსთვის შექმნილ ღირებულებას. გლობალური და ადგილობრივი KPI-ების, მუდმივი უკუკავშირისა და მენტორთან გამართული დიალოგის საშუალებით, LEAD უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიზნების თანხვედრას EY-ის სტრატეგიასთან, რაც სამომავლო პერსპექტივებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა. ინდივიდუალური მართვის პანელი (Dashboard) ასახავს წლის დასაწყისიდან დღემდე მიღებულ უკუკავშირსა და კომენტარებს გარიგებების შესრულების თაობაზე, მათ შორის შეფასებებს ხარისხთან, რისკების მართვასა და ტექნიკურ სრულყოფილებასთან დაკავშირებით. წლის ბოლოს თანამშრომლები იღებენ შეფასების შედეგს, რომელსაც „კატეგორია“ ეწოდება; იგი ეფუძნება შეჯამებულ უკუკავშირის, KPI-ების შესრულების მაჩვენებლებსა და EY-ში შეტანილ წვლილს, რაც მენტორისა და ლიდერების მოსაზრებებით განისაზღვრება. კატეგორია წარმოადგენს ანაზღაურებისა და წახალისების პროგრამების ერთ-ერთ საფუძველს.

ჩარჩოს ქვაკუთხედს წარმოადგენს დიალოგი თანამშრომელსა და მენტორს შორის. განხილვის თემები მოიცავს უკუკავშირს, კარიერულ მიზნებს, ინკლუზიური და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფასა და ახალი გამოცდილების თუ ცოდნის მიღებისკენ სწრაფვას. ეს საუბრები ხელს უწყობს შემდგომი განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრასა და მომავალზე ორიენტირებულ უნარების გამომუშავებას.

შედეგების მართვის ჩარჩო ასევე მოიცავს პარტნიორებს, ლიდერებს, აღმასრულებელ და სხვა დირექტორებს (ე.წ. PPEDD-ებს) და ვრცელდება მთელ მსოფლიოში EY-ის ქსელში შემავალ ყველა ფორმაზე. იგი განამტკიცებს გლობალურ სტრატეგიას იმით, რომ ინდივიდუალური შედეგები მუდმივ კავშირშია ორგანიზაციის ფართო მიზნებსა და ღირებულებებთან.

ეს პროცესი მოიცავს მიზნების დასახვას, მუდმივ უკუკავშირს, პიროვნული განვითარების დაგეგმვასა და საქმიანობის წლიურ შეფასებას; ეს ყველაფერი კი პარტნიორთა აღიარებასა და დაჯილდოებას უკავშირდება. PPEDD-ების მიზნებისა და შესრულების მაჩვენებლების დოკუმენტირება შეფასების პროცესის ქვაკუთხედიანია. მოთხოვნის თანახმად, EY-ის წევრი ფირმის პარტნიორის მიზნები ექვსი ძირითადი საზომის ჭრილში უნდა ითვალისწინებდეს მრავალფეროვან გლობალურ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, განსაკუთრებული აქცენტით ხარისხზე.



ჩართულობა

თანამშრომელთა ჩართულობა სწორი კულტურის ჩამოყალიბების უმთავრესი ნიშანია. EY-ის თანამშრომლების მისწრაფებების, პრობლემებისა და არსებული გამოწვევების გააზრება გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ უკეთესი გარემო მათი სრული რეალიზებისთვის.

EY-ის თანამშრომელთა მოსაზრებებისა და წუხილების გათვალისწინება ჩართულობის ზრდის აუცილებელი პირობაა. თანამშრომელთა მოსმენის სტრატეგია EY-ის გუნდის წევრებს საშუალებას აძლევს, კომპანიაში საქმიანობის ყველა ეტაპზე ღიად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. შედეგად, ჩვენ ვიცით მათი საჭიროებები და განვსაზღვრავთ, როგორ შეუძლია EY საქართველოს საუკეთესო სამუშაო გამოცდილების შექმნა. EY-ის გუნდის წევრთა დროთა განმავლობაში ცვალებადი ხედვებისა და გამოცდილების გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი EVP-ის შესრულებისთვის.

წელიწადში ორჯერ ტარდება სპეციალური გამოკითხვა თანამშრომელთა მოსმენის კვლევა, რომლის მიზანია უკუკავშირის მიღება იმ ძირითად ფაქტორებზე, რაც თანამშრომელთა ჩართულობასა და შენარჩუნებას უზრუნველყოფს. თითოეული კვლევა განსხვავებულ სტრატეგიულ მიმართულებებს ეძღვნება (მაგ. კარიერა, სწავლა და უნარები) და ასევე ფარავს სხვა შესაბამის საკითხებს.

თანამშრომელთა მოსმენის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია „EY-ის გუნდური გამოცდილების კვლევა“, რომელიც გარიგების გუნდების ყოველდღიური საქმიანობის დახვეწასა და ერთ სტანდარტში მოქცევას ემსახურება. კვლევაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრები გარიგების ფარგლებში მიღებულ გამოცდილების შესაფასებლად პასუხობენ სხვადასხვა კითხვას და აფასებენ ხუთქულიან სკალაზე. აღნიშნული უკუკავშირი ცხადყოფს გამოსასწორებელ ფაქტორებსა და სამოქმედო გზებს იმისათვის, რომ გარიგების გუნდის დონეზე ხელშესახები ცვლილებები განხორციელდეს.

EY-ის მარწმუნებელი მომსახურება ახორციელებს ინიციატივას სახელწოდებით „Global Voices“, რომელიც აერთიანებს მარწმუნებელი მომსახურების მაღალი შედეგების მქონე 200-მდე უმცროს სპეციალისტს მსოფლიოს ყველა კუთხიდან და მომსახურების ყველა ქვემომართულებიდან. მისი მიზანია EY-ის წევრი ფირმების თანამშრომლების გაძლიერება და ჩართულობის გაზრდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა თემაში მათი უკუკავშირის მოძიების გზით, რაც ხელმძღვანელობის ხედვის გაფართოებას ემსახურება. ხელმძღვანელი გუნდები სულ უფრო მეტ მზაობასა და ინტერესს იჩენენ, რომ გაეცნონ ჯგუფის ხედვებს ბიზნესისთვის ისეთ გადამწყვეტ საკითხებზე, როგორიცაა: კადრების შენარჩუნება, ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ინოვაციები.



ცოდნა და შიდა კომუნიკაცია

პროფესიული განვითარებისა და შედეგების მართვის პარალელურად, EY კარგად იაზრებს, რამდენად მნიშვნელოვანია აუდიტორული გუნდებისთვის უახლესი ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ შეძლონ დაკისრებული პროფესიული მოვალეობების შესრულება. EY მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს ცოდნისა და საკომუნიკაციო ქსელებში, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის სწრაფი გავრცელება, რაც EY-ის თანამშრომლებს ერთმანეთთან თანამშრომლობასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაში დაეხმარება. EY-ის რესურსებსა და ინსტრუმენტებს შორისაა:

- EY Atlas, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და მდგრადი განვითარების ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე მათ განმარტებით მითითებებს;
- გამოცემები, მათ შორის: ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრინციპები (International GAAP), ფასს-ის (IFRS) სიახლეების მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგების ნიმუშები;
- Global Accounting and Auditing News ყოველკვირეული საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც მიმოხილულია მარწმუნებელი მომსახურებისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკები, სტანდარტების დამდგენი და მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოქვეყნებული სიახლეები და შესაბამისი შიდა განმარტებები;
- პრაქტიკული შეტყობინებები და ვებკასტები, რომლებიც სხვადასხვა გლობალურ თუ ადგილობრივ საკითხს ეხება და EY-ის წევრ ფირმებში მარწმუნებელი მომსახურების პრაქტიკის მუდმივ დახვეწას ემსახურება.




გარიგების გუნდების ჩამოყალიბება

აუდიტის გარიგებაზე EY-ის პროფესიონალთა დანიშვნა EY საქართველოს მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობის მითითებით ხორციელდება. აუდიტის გარიგების გუნდებში EY-ის თანამშრომლების განაწილებისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: გარიგების ზომასა და კომპლექსურობას; გარიგების რისკს; სპეციალიზებულ დარგობრივ ცოდნასა და გამოცდილებას; სამუშაოს ვადებს; უწყვეტობასა და სამუშაო პროცესში სწავლების შესაძლებლობებს. შედარებით კომპლექსური გარიგებების დროს ფასდება, ესაჭიროება თუ არა აუდიტის გარიგების გუნდს სპეციალიზებული ან დამატებითი კომპეტენციით შევსება და გაძლიერება.

ბევრ შემთხვევაში, აუდიტის გარიგების გუნდს ემატებიან EY-ის ის პროფესიონალები, რომლებსაც ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სპეციალიზებულ სფეროებში (მაგალითად: გადასახადები ან ინფორმაციული ტექნოლოგიები) გააჩნიათ გამოცდილება; ისინი აუდიტის გარიგების გუნდს აუდიტის პროცედურების შესრულებასა და საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვებაში ეხმარებიან. ამასთანავე, პროცესში შესაძლოა ჩაერთონ EY-ის შიდა ექსპერტები ისეთი სფეროებიდან, რომლებიც სცდება აუდიტისა და ბუღალტერიის ფარგლებს (მაგალითად: ფინანსური გამოძიება, აქტივების შეფასება, აქტუარული ანალიზი და მდგრადობა). მათ მიერ შესრულებული სამუშაო აუდიტის გარიგების გუნდს ეხმარება საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვებაში.

სპეციალიზებული ცოდნის მქონე EY-ის პროფესიონალებისა და EY-ის შიდა სპეციალისტების მიერ აუდიტზე გახარჯული საათები*



* 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (EY-ის გლობალური სტატისტიკა)

** „სხვა“ კატეგორიაში შედიან შეფასების სპეციალისტები, აქტუარული და ფინანსური გამოძიების სპეციალისტები

EY საქართველოს პოლიტიკის თანახმად, კონკრეტულ აუდიტორულ პოზიციებზე თანამშრომლების დანიშვნა საჭიროებს ქვეყნის მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობისა და ქვეყნის PPD-ის თანხმობას. აღნიშნული ხორციელდება, სხვა საკითხებთან ერთად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ აუდიტის ხელმძღვანელ

EY-ის პროფესიონალებს გააჩნდეთ შესაბამისი კომპეტენციები (მაგ.: ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები) და ლიცენზიები გარიგების ფარგლებში დაკისრებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისობაში იყვნენ აუდიტორთა როტაციის რეგულაციებთან.



მომსახურების გამწევი
ცენტრები

Global Delivery Services (GDS) არის EY-ის მომსახურების მიწოდების ცენტრების ინტეგრირებული ქსელი, რომელიც EY-ის წევრ ფირმებს დამხმარე მომსახურებას აწვდის. GDS აგრძელებს სხვა EY-ის წევრი ფირმებისა და მათი ცვალებადი საჭიროებების მხარდაჭერას. GDS-ის გუნდები ფართო ტექნიკურ ცოდნას მიმართავენ ინოვაციის, ავტომატიზაციისა და პროცესების გაუმჯობესებისკენ, რათა შექმნან ადაპტირებული და სხვადასხვა მასშტაბის სერვისები, რომლებიც EY-ის ორგანიზაციისთვის უფრო მეტ ღირებულებას ქმნის. აუდიტის ტრანსფორმაციის პროცესის ფარგლებში, EY-ის მარწმუნებელი სერვისები გეგმავენ სპეციალიზებული გუნდების, მათ შორის GDS-ის, უფრო აქტიურად გამოყენებას კიდევ უფრო მაღალი ხარისხის შედეგების მისაღწევად.

GDS-ის გარდა, EY საქართველო იყენებს ყაზახეთში მდებარე ჰაბის რესურსებს.



ინფორმაცია და კომუნიკაცია

ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტი ორიენტირებულია ინფორმაციის მოპოვებაზე, შექმნაზე ან გამოყენებაზე, და შესაბამისი და სანდო ინფორმაციის კომუნიკაციაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ხარისხის მართვის სისტემის დაგეგმვა, დანერგვა და ფუნქციონირება. კომპონენტის ხარისხის მიზნები მოიცავს ეფექტურ ორმხრივ კომუნიკაციას შემდეგ მხარეებს შორის:

- EY-ის თანამშრომლები;
- EY-ის ქსელის წევრი ფირმები;
- გარეშე მხარეები;
- მომსახურების მომწოდებლები.

ეფექტურ ორმხრივ კომუნიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და აუდიტის გარიგებების შესრულებისთვის. ხარისხის მართვის გლობალური სისტემის პოლიტიკა ადგენს იმ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც EY-ის წევრმა ფირმებმა შიდა

და გარე კომუნიკაცია უნდა აწარმოონ EY-ის წევრი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესახებ. EY-ის კულტურა EY-ის თანამშრომლებისგან ითხოვს, რომ მათ გაუზიარონ შესაბამისი და სანდო ინფორმაცია EY-ის წევრ ფირმებს, ხარისხის მართვის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.



ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი და
ხარვეზების აღმოფხვრა (რემედიაცია)

EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა და ხარვეზების აღმოფხვრის (რემედიაციის) პროცესის მიზანია:

- უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო და დროული ინფორმაცია EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის დაგეგმვის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ;
- შექმნას ხარვეზების გამოვლენის საფუძველი;
- მიიღოს სათანადო ზომები გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირებისთვის.

EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, დანერგვისა და ოპერირების შესახებ მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცესიდან მიღებული ინფორმაცია ფასდება EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის მიზნების მიღწევის ეფექტიანობის თაობაზე დასკვნის გამოსატანად.

ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის აქტივობები მოიცავს შემდეგის შეფასებას:

- ხარისხის მართვის სისტემის კონტროლის ძირითადი მექანიზმების ტესტირება;
- შიდა და გარე გარიგებების შემოწმება.
- მონიტორინგის სხვა აქტივობებში ასევე შედის, მაგალითად:
 - EY საქართველოსა და მისი თანამშრომლების მიერ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნების შესრულების ტესტირება;
 - გარე მარეგულირებლების მიერ ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით გაკეთებული ხარისხობრივ შენიშვნები;
 - ეთიკის ცხელი ხაზიდან გადმოცემული საკითხები;
 - შესაბამისი მმართველობითი ფორუმების მიმოხილვა ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული მიგნებების გამოსავლენად.

მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა და გამოსწორების გლობალური პოლიტიკის

საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს გლობალურ ინტელექტუალურ რესურსს და მიზნად ისახავს EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის განხორციელებისას თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას. მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცესის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებენ რეგიონის, ტერიტორიისა და გლობალური PPD-ის წარმომადგენლები, გლობალური მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.



ხარისხის მართვის სისტემის კონტროლის ძირითადი მექანიზმების ტესტირება

ხარისხის მართვის სისტემის კონტროლის ძირითადი მექანიზმები შემუშავებულია და დანერგულია ხარისხის რისკების შესამცირებლად. EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში, კონტროლის ძირითადი მექანიზმების ტესტირების მიზანი მოიცავს იმის დადგენას, რომ ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი კონტროლები:

- შემუშავებული, დანერგული და მართული იყო კონტროლის მექანიზმის განმახორციელებელი პირის შეხედულებისამებრ და შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით;
- ხორციელდებოდა დროულად კონტროლის განმახორციელებელი პირისა და კონტროლის ოპერატორის მიერ, რომლებიც განსაზღვრულია ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი კონტროლის მექანიზმის დიზაინში;
- განაპირობებდა გამოვლენილი საკითხების დროულად გადაჭრას;
- ეფუძნებოდა სანდო ინფორმაციას (კერძოდ, ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი კონტროლის მექანიზმის განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაცია არის სრული და ზუსტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხარისხის მართვის სისტემის კონტროლის ძირითადი მექანიზმების ტესტირების განმახორციელებელი პირები არიან კომპეტენტური, ობიექტური და დამოუკიდებელი კონტროლის განმახორციელებელი პირებისა და კონტროლის ოპერატორებისგან. ხარისხის მართვის სისტემის კონტროლის ძირითადი მექანიზმების ტესტირების განმახორციელებელი პირები მოქმედებენ ქვეყნის PPD-ის ხელმძღვანელობით.

ხარისხის მართვის სისტემის (SQM) კონტროლის მექანიზმების ტესტირება ორგანიზებული იყო ცენტრალიზებულად, რეგიონულ დონეზე (CESA); ტესტირების გუნდი შედგებოდა ხუთი ჯგუფისგან სლოვაკეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან. მათ გაიარეს

საფუძვლიანი მომზადება (ე.წ. ონბორდინგი) ISQM1-ისა და ტესტირების მეთოდოლოგიის შესახებ ორდღიანი ამომწურავი გაცნობითი პროგრამის საშუალებით. ტესტირების თითოეული გუნდის სტრუქტურა ისე იყო შემუშავებული, რომ მოიცავდა გუნდის კოორდინატორს, ასევე ადგილობრივი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა საგანგებოდ გამოყოფილ ტესტირებასა და მიმომხილველებს. ტესტირებას ძირითადად აუდიტის ასისტენტები ასრულებდნენ, ხოლო მათი სამუშაოს შემდგომ შემოწმებას ზედმიწევნით ახორციელებდნენ მიმომხილველები, რომელთა რანგიც მოიცავდა სენიორს, მენეჯერს, უფროს მენეჯერსა და დირექტორს. უფრო კომპლექსურ შემთხვევებში კონსულტაციები იმართებოდა CESA-ს SQM გუნდთან. სათანადო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტული ქვეყნის კონტროლის მექანიზმები ფასდებოდა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი მიმომხილველის მიერ.

გარდა იმ კონტროლებისა, რომლებიც EY-ის წევრი ფირმის დონეზე არსებობს, EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემაში შესაძლოა იყოს ისეთი კონტროლის მექანიზმებიც, რომლებიც შემუშავებულია, დანერგულია და სრულდება კლასტერის, რეგიონის, ტერიტორიის ან გლობალურ დონეზე. მაგალითად, გლობალური ფუნქციები და მომსახურების მიმართულებები EY-ის წევრ ფირმებს უზრუნველყოფენ სხვადასხვა პოლიტიკით (მაგ., EY-ის გლობალური აუდიტის მეთოდოლოგია) და ტექნოლოგიებით (მაგ., EY Canvas, PACE). გლობალური ფუნქციები და მომსახურების მიმართულებები აკონტროლებენ ამ რესურსების განვითარებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას. აღნიშნული კონტროლის მექანიზმები EY-ის წევრი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო EY საქართველო პასუხისმგებელია განსაზღვრის, თუ როგორ გამოიყენება ეს კონტროლები თავის ხარისხის მართვის სისტემაში; ეს მოიცავს ამგვარი კონტროლების დასაწერად ან შესავსებად საჭირო ნებისმიერი ქმედების განხორციელებას და თავის ხარისხის მართვის სისტემაზე აღნიშნული კონტროლების ტესტირების შედეგების გავლენის განსაზღვრას.

ამ კონტროლების ტესტირება ხორციელდება კლასტერის, რეგიონის, ტერიტორიის ან გლობალურ დონეზე, რელევანტურობის მიხედვით.

კლასტერის, რეგიონის, ტერიტორიის და გლობალურ დონეზე კონტროლის მექანიზმების ტესტირების მეთოდი შეესაბამება იმავე მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც განსაზღვრულია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების გლობალურ პოლიტიკაში. ტესტირების დაწყებამდე EY-ის წევრ ფირმებს მიეწოდებათ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს დასატესტი კონტროლის მექანიზმების მიმოხილვას,

ტესტირების მეთოდს, ტესტირების ატრიბუტებს (მაგ., ჩასატარებელი ტესტების ხასიათს) და ინფორმაციას ტესტირების განმახორციელებელი პირების შესახებ, მათ შორის იმას, თუ როგორ უნდა მიეცეს EY-ის წევრ ფირმას მათი კომპეტენციისა და ობიექტურობის შეფასების შესაძლებლობა. მაგალითად, გლობალურ კონტროლებზე ტესტირებას ახორციელებენ კონტროლის განმახორციელებელი პირებისა და ოპერატორებისგან დამოუკიდებელი პირები, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა და ანალიზის გლობალური ლიდერის ზედამხედველობით.

ტესტირების შედეგების შესახებ ინფორმაცია EY-ის წევრ ფირმებს ასევე მიეწოდებათ „მონიტორინგის აქტივობების შედეგების“ მემორანდუმების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს ნებისმიერ პოტენციურ ხარვეზს და დანართს ტესტირების საბოლოო ატრიბუტებით, ასევე სხვა ინფორმაციის სახით, როგორცაა მიგნებების (ტესტირების შედეგების) სია. პოტენციურ ხარვეზებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს ძირეული მიზეზების სტატუსსა და გამოსასწორებელი ზომების მიმდინარე მდგომარეობას, მათ შორის ისეთ ზომებს, რომელთა მიღებაც EY-ის წევრმა ფირმამ უნდა გაითვალისწინოს. მიგნებების სია მოიცავს მიგნების აღწერას, ასევე EY-ის წევრი ფირმების მიერ განსახორციელებელ ნებისმიერ საჭირო ქმედებას. EY საქართველო იღებს და აფასებს კლასტერის, რეგიონის, ტერიტორიის ან გლობალურ დონეზე მოწოდებულ ტესტირების შედეგებს, რომელიც უფრო რელევანტურია, მათ შორის, იმასაც აფასებს, არსებობს თუ არა ხარისხის მართვის სისტემისთვის რელევანტური მიგნებები.



აუდიტს ხარისხის მიმოხილვა (AQR)

EY საქართველო შემოწმებებს გლობალური AQR პროგრამის შესაბამისად ახორციელებს. ეს პროგრამა მოიცავს დასრულებული აუდიტის გარიგებების შემოწმებას. აღნიშნული წარმოადგენს მონიტორინგის ღონისძიებას, რომელიც შეესაბამება ISQM 1-ის მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ივსება EY საქართველოს პროფესიულ სტანდარტებთან და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, ეს ეხმარება EY საქართველოს იმაში, რომ გამოავლინოს ის ასპექტები, სადაც შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა ან დავხვეწოთ ჩვენი პოლიტიკები და პროცედურები.

აუდიტის ხარისხის მიმოხილვები მოიცავს თითოეული პასუხისმგებელი პარტნიორის (მათ შორის, პასუხისმგებელი პარტნიორის

ფუნქციის შემსრულებელი სხვა პირების) სულ მცირე ერთი დასრულებული გარიგების შემოწმებას ციკლურად, სამიდან ხუთ წლამდე პერიოდულობით. ყოველწლიურად შესამოწმებელი გარიგებების შერჩევა ხდება რისკზე დაფუძნებული მიდგომით, რომელიც მოიცავს EY საქართველოს აუდიტორული პრაქტიკის სხვადასხვა სეგმენტს და არაპროგნოზირებადობის ელემენტებს. გლობალური AQR პროგრამა მოიცავს საჯარო და კერძო კომპანიების აუდიტის გარიგებების, ასევე საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა და არა-საზოგადოებრივი დაინტერესების პირების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფის ფაილების დეტალურ, რისკზე ორიენტირებულ მიმოხილვას, რათა შეფასდეს შესაბამისობა განსაზღვრულ შიდა პოლიტიკებსა და პროცედურებთან, EY GAM-ის მოთხოვნებთან, ასევე შესაბამის ადგილობრივ პროფესიულ სტანდარტებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან. ის ასევე მოიცავს EY-ის აუდიტის გუნდების მიერ განხორციელებული არააუდიტორული მარწმუნებელი გარიგებების შერჩევით მიმოხილვას. აღნიშნული აფასებს შესაბამისობას იმ რელევანტურ პროფესიულ სტანდარტებთან, შიდა პოლიტიკებსა და პროცედურებთან, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას არააუდიტორული მარწმუნებელი მომსახურების გაწევისას.

გლობალური AQR პროგრამა ასევე გვაწვდის ინფორმაციას მარეგულირებლის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტანდარტებთან, პოლიტიკებსა და პროცედურებთან ჩვენი შესაბამისობის შესახებ.

EY საქართველოში უახლესი AQR 2025 წლის მაისში ჩატარდა.

AQR-ის მიმოხილველებისა და გუნდის ლიდერების შერჩევა ხდება მათი უნარების, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში პროფესიული კომპეტენციის, ასევე დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით. აუდიტის მიმოხილველებს მხარდაჭერას უწევენ სხვა სპეციალისტები, როგორებიც არიან: დამოუკიდებლობის საკითხების ექსპერტები, ტექნოლოგიური რისკების (IT აუდიტის), TARAS-ის (საგადასახადო), ფინანსური გამოძიების, ციფრული მიმართულების ან სხვა ტექნიკური (მაგ., სექტორული ან თემატური) სპეციალისტები, რათა მიმოხილვის გუნდი ფლობდეს ეფექტური AQR-ის ჩასატარებლად საჭირო შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. გუნდის ლიდერები და მიმოხილველები დამოუკიდებელნი არიან იმ გარიგებებისა და გუნდებისგან, რომლებსაც ისინი ამოწმებენ და, როგორც წესი, შემოწმებებზე ინიშნებიან თავიანთი ძირითადი ადგილმდებარეობის ფარგლებს გარეთ.

გლობალურ AQR პროგრამას ავსებს პროგრამა, რომელიც მოიცავს სხვა მარწმუნებელი და მასთან დაკავშირებული მომსახურების გარიგებების შემოწმებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მომსახურების მიმართულების გუნდი ასრულებს

სამუშაოს. აღნიშნულს ეწოდება „სხვა მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მიმოხილვის“ (OAQR) პროგრამა.

AQR-ისა და OAQR-ის პროცესების შედეგების შეჯამება ხდება გლობალურად (მათ შორის ტერიტორიებისა და რეგიონებისთვის), იმ ძირითადი ასპექტების მითითებით, სადაც, შედეგების მიხედვით, საჭიროა შემდგომი გაუმჯობესება. გლობალური AQR პროგრამის, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მიმოხილვებისა და კოლეგების მიმოხილვების ფარგლებში გამოვლენილი აუდიტის ხარისხის საკითხების მოგვარების ზომებს მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობა და ჩვენი PPD ახორციელებენ. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირის პრაქტიკის მონიტორინგის შესახებ ჩვენი ხარისხის მართვის სისტემისთვის.



გარე ხარისხის უზრუნველყოფა მიმოხილვები

იუაი საქართველოს აუდიტის პრაქტიკა და ჩვენი რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორები ექვემდებარებიან შემოწმებას მარეგულირებელი ორგანოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. შემოწმების ფარგლებში, მარეგულირებელი ორგანო აფასებს ხარისხის კონტროლის სისტემებს და მიმოხილავს შერჩეულ გარიგებებს. ეს მარეგულირებელი ორგანო IFIAR-ის წევრია და, შესაბამისად, შემოწმების შედეგები წარედგინება IFIAR-ს თავის ყოველწლიურ კვლევაში შესატანად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო შემოწმება 2023 წელს ჩაატარა. შემოწმების საბოლოო ანგარიში 2023 წლის 20 ნოემბრით არის დათარიღებული.

ჩვენ გულისყურით და პატივისცემით ვეკიდებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პროცესს. საფუძვლიანად ვეცნობით შემოწმების პროცესში წამოჭრილ საკითხებს, რათა გამოვავლინოთ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები და გავაუმჯობესოთ ხარისხის მართვის სისტემა. მნიშვნელოვანი მიგნებების მქონე გარიგებები და გარკვეული სხვა გარიგებები ექვემდებარება გარიგების დონეზე ძირეული მიზეზების ანალიზს (იხილეთ შემდეგი თავი). AQR-ის პროცესთან ერთად, გარე შემოწმებები ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის EY-ის აუდიტის ხარისხის შესახებ.

ინფორმაცია ზემოაღნიშნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.saras.gov.ge>.



გარიგების დონეზე ძირეული მიზეზების ანალიზი და სამოქმედო გეგმები

გარიგების დონეზე ძირეული მიზეზების ანალიზი EY საქართველოს ხარისხის მართვის სისტემის უმთავრესი ნაწილია. იგი კონცენტრირებულია გარიგების უარყოფითი შედეგების (მაგალითად, შემოწმებების ან გადაანგარიშებების შედეგად გამოვლენილი საკითხების) გამომწვევი ძირეული მიზეზების შეფასებაზე და უზრუნველყოფს საპასუხო სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ხარისხის დადებითი შედეგები ასევე ექვემდებარება ანალიზს, რათა მოხდეს აღნიშნულ გარიგებებში გამოვლენილი ქცევების შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ამ ქცევების გავრცელება და წახალისება EY საქართველოს მასშტაბით, გარიგებების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. გარიგების დონეზე ძირეული მიზეზებისა და ხარისხის დადებითი შედეგების ანალიზი ასევე საშუალებას გვაძლევს, ყურადღება გავამახვილოთ იმ ძირითად ქცევებზე, რომლებიც განაპირობებს დადებით და მაღალი ხარისხის შედეგებს. ამ პროცესს მუდმივი გაუმჯობესებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გარიგების დონეზე ძირეული მიზეზების ანალიზთან ერთად, EY-ის წევრი ფირმები ვალდებული არიან შეაფასონ, არის თუ კონკრეტული საკითხები მათი ხარისხის მართვის სისტემური ხარვეზის ნიშანი.



ხარისხის მართვის სისტემის ხარვეზების გამოვლენა და შეფასება და ძირეული მიზეზების ანალიზი

მიგნებები წარმოადგენს ინფორმაციას ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა არსებობდეს ერთი ან რამდენიმე ხარვეზი. მიგნებების შეგროვება ხდება წევრი ფირმის, რეგიონის, ტერიტორიის ან გლობალურ დონეზე განხორციელებული მონიტორინგის ღონისძიებების შედეგად. EY საქართველო აფასებს თითოეულ მიგნებას ან მიგნებების ერთობლიობას და ითვალისწინებს ამ მიგნებ(ებ)ის ფარდობით მნიშვნელობას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ხარვეზი.

ნებისმიერი ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, ხორციელდება პროცესი გამომწვევი ძირეული მიზეზის დასადგენად, ხარვეზის სიმწვავისა და მასშტაბურობის შესაფასებლად და საპასუხო ღონისძიებების შესაბამისად.

ტერიტორიისა და გლობალური პროფესიული პრაქტიკის, ხარისხის გლობალური ლიდერებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელი გუნდების წარმომადგენლები პერიოდულად იკრიბებიან მონიტორინგის აქტივობების შედეგებისა და მიგნებებისა თუ ხარვეზების შეფასების განსახილველად, რათა უზრუნველყონ თანმიმდევრულობა მიგნებების იდენტიფიცირებისა და შეფასების, ხარვეზების შეფასებისა და ძირეული მიზეზების ანალიზის ჩარჩოს გამოყენებისას, როგორც ეს აღწერილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების გლობალურ პოლიტიკაში.



ხარისხის მართვის სისტემის
ხარისხის გაუმჯობესების
გეგმები

ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში, შემუშავდება EY საქართველოს ხარისხის გაუმჯობესების გეგმები, რომლებიც მოიცავს:

- გამოვლენილი ხარვეზის შედეგის კორექტირებას;
- გამოვლენილი ხარვეზების დროულად გამოსწორებას;
- გამოსასწორებელი ქმედებების ეფექტურობის შეფასებას.

ხარისხის გაუმჯობესების გეგმებს შეიმუშავებს ქვეყნის მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობა და განიხილავს ქვეყნის PPD, რათა უზრუნველყონ სათანადო სამოქმედო ზომები, ხოლო მათი განხორციელებისას შეაფასონ, რამდენად ეფექტიანია ეს ზომები.



ხარისხის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა

აუდიტის ხარისხის მხარდაჭერი ინფრასტრუქტურა



სტრატეგია

აუდიტის ხარისხი გლობალური სტრატეგიის „All in“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის ამბიციაა მომავლის თავდაჯერებულად შექმნა და მიზანმიმართული ზრდის უზრუნველყოფა EY-ის თანამშრომლებისთვის, კლიენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ახალი ღირებულების შესაქმნელად. აუდიტის ხარისხი „All in“ გლობალური სტრატეგიის საკვანძო პრიორიტეტად რჩება, ვინაიდან EY აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას, ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესებს და მუდმივად დაიმსახუროს ის ნდობა, რომელსაც კაპიტალის ბაზრები და EY-ის მიერ აუდიტირებული კომპანიები მას უცხადებენ.

EY ასევე გადის მრავალწლიანი ტრანსფორმაციის გზას, რაც მაღალი ხარისხის აუდიტის განხორციელებაზე მის უცვლელ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს. აღნიშნული ტრანსფორმაციული პროცესი მოიცავს ცვლილებებისკენ მიმართულ არაერთ გაბედულ ინიციატივას, რომელთა მიზანია EY საქართველოს გუნდების მიერ აუდიტის განხორციელების გაუმჯობესება. იგი ძირითადად სამ სტრატეგიულ კომპონენტს ეფუძნება, ესენია:

- ინტეგრირებული ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, მათ შორის მართული სამუშაო პროცესების გაფართოება, მონაცემებისა და გაფართოებული ანალიზური მეთოდების კიდევ უფრო ღრმად ინტეგრირება და აუდიტის პროცესში ავტომატიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) ჩართვა;
- აუდიტის მეთოდოლოგიის დახვეწა, რაც მხარდაჭერილია დამხმარე საშუალებებით აუდიტის განხორციელებისას თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად;
- სპეციალიზებული გუნდების უფრო აქტიურად გამოყენება.

აღნიშნული აქტივობები EY საქართველოს აუდიტის პრაქტიკას საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მონაცემთა ანალიზური მეთოდები და მიიღოს უფრო სიღრმისეული ინფორმაცია აუდიტის ხარისხის უზრუნველსაყოფად, დღევანდელ გარემოში არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების გზით.



„მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“

„მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“ და პროფესიული პრაქტიკის გლობალური ჯგუფი (GPPG) ტანდემში მუშაობენ ხარისხიანი აუდიტის განხორციელების მხარდასაჭერად. ამ ორი ფუნქციის მხარდასაჭერად, ხარისხზე დამატებით აქცენტს აკეთებენ:

- ხარისხის მართვის სისტემის გლობალური ქსელი;
- არა-მარწმუნებელი მომსახურების მიმართულებების ხარისხის ლიდერები.

EY-ის „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“ წარმოადგენს მარწმუნებელი მომსახურების უფროსი ლიდერების ჯგუფს მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც დახმარებას უწევენ EY-ის წევრი ფირმების გარიგების გუნდებსა და პრაქტიკის ხელმძღვანელებს მაღალი ხარისხის აუდიტის განხორციელებაში.

„მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც:

- ცვლილებების გამოცდილი გამტარებლები, რომლებიც ეფექტიანად ახდენენ მოსალოდნელი ცვლილებებისა და მათი დასაბუთების კომუნიკაციას და დადებით გავლენას ახდენენ ქვეყნებზე;
- მეთოდოლოგიის ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ, მიმართულება მისცენ გარიგების გუნდებს აუდიტის სტრატეგიების განხორციელებისას და უპასუხონ ტექნიკურ შეკითხვებს;
- რისკების მართვის ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ აუდიტორული პორტფელის ზედამხედველობა, აუდიტის განხორციელებასთან ან კლიენტთან დაკავშირებული რისკების ნიშნებისადმი სწრაფად გამოვლენა და, საჭიროების შემთხვევაში, პოზიტიური ჩარევის განხორციელება;
- ოპერაციული საქმიანობის წარმმართველები, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკების აღსრულება და ხარისხის მართვის სისტემის მხარდაჭერა ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა ეტაპობრივი ვადების დაცვისა და ხელმძღვანელობის ჩართულობის დონის მონიტორინგი, პარტნიორების დატვირთულობის შეფასება და არჩევითობის გამორიცხვა გლობალური თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

The Global Assurance Quality Network drives a focus on audit quality through:



ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI-ები) მონიტორინგი

ხარისხის მართვის სისტემის საერთო წლიური შედეგების გაანალიზების გარდა, მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს EY-ის სტრატეგიული და ხარისხის პრიორიტეტების განხორციელებას სხვადასხვა საზომისა და KPI-ების ერთობლიობის მეშვეობით. მართალია, არცერთი ცალკეული საანგარიშგებო საზომი თუ საზომთა ერთობლიობა არ შეიძლება განხილულ იქნას აუდიტის ხარისხის ერთადერთ ინდიკატორად, თუმცა საზომთა ერთობლიობა შესაძლოა გამოყენებულ იქნას აუდიტის ხარისხზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ინსტრუმენტების, პრაქტიკებისა და პოლიტიკების ძლიერი გლობალური ინტეგრაციის წყალობით, ყოველთვიურად გროვდება ქვეყნის მონაცემები სხვადასხვა საკითხზე. KPI-ები მოიცავს ხარისხთან დაკავშირებულ როგორც წინმსწრებ, ისე შედეგობრივ ინდიკატორებს, ასევე საზომებს, რომლებიც უკავშირდება შემოწმების შედეგებს, აუდიტის ტემპსა და განხორციელებას, რესურსებზე მოთხოვნასა და სამუშაო ძალის დაგეგმვას. თითოეული KPI იზომება დადგენილ კონკრეტული გეოგრაფიული არეალის და გლობალურ სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებით, ხოლო გადახრები მოითხოვს შეფასებასა და გამოსწორების გეგმას. KPI-ები ასევე მისადაგებულია EY-ის ანგარიშვალდებულების ჩარჩოსთან, რათა განმტკიცდეს პრიორიტეტები ქვეყნის ხელმძღვანელობის ქსელისთვის და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას, რათა ისინი დარჩნენ რელევანტური და შესაბამისი ხარისხის ინიციატივებთან.

EY-ის KPI-ების მაგალითებია:

- შიდა და გარე შემოწმების შედეგები;
- გარიგების ეტაპობრივი ვადების დაცვა და ხელმძღვანელობის ჩართულობა;
- თანამშრომელთა ფაქტობრივი და დაგეგმილი რაოდენობა.

KPI-ების გლობალური პანელი ინფორმაციას აწვდის EY-ის ორგანიზაციის ყველა დონის ხელმძღვანელობას იმის შესახებ, აქვს თუ არა ქმედებებს სასურველი შედეგი ან საჭიროა თუ არა დამატებითი ქმედებები.

ეტაპობრივი ვადების დაცვის მონიტორინგი

პროექტის ეფექტური მართვა EY-ის აუდიტის გუნდებს ეხმარება იმაში, რომ აუდიტის ციკლის განმავლობაში ყურადღება გაამახვილონ ყველაზე მნიშვნელოვან რისკებზე, უკეთ დააბალანსონ სამუშაო დატვირთვა საჭირო ამოცანებისთვის სათანადო დროის გამოყოფისა და ხელმძღვანელი პირების დროული ჩართულობის გზით.

ნიშანსვეტები (Milestones) აუდიტის მნიშვნელოვანი ფაზების დასრულების ვადებს განსაზღვრავს და, მათი ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, ხელს უწყობს ყველაზე დატვირთულ სეზონზე დროის დეფიციტის თავიდან აცილებას. სწორი ტემპით წარმართული და კარგად ორგანიზებული აუდიტი ნაკლებად სტრესულ სამუშაო გარემოს განაპირობებს.

გარდა ამისა, პროექტის მართვა აუდიტორებს უზიძგებს იმისკენ, რომ აუდიტის თითოეულ ეტაპზე იყვნენ უფრო დაფიქრებულები და მიზანმიმართულები, რაც აჩქარებს სწავლა-განვითარებას, ასევე ქმნის უფრო ღირებულ გამოცდილებას მუშაობის პროცესში. გლობალურ აუდიტორულ პლატფორმა EY Canvas-ში პროექტის მართვის პროცესი ნიშანსვეტების პროგრამას ეფუძნება. EY Canvas-ისა და EY Canvas Reporting Hub-ის მართვის პანელების მეშვეობით, ნიშანსვეტები აუდიტის ციკლს კონკრეტულ ამოცანებად ყოფს; მასში განსაზღვრული ვადები და ნაბიჯები კი ხელს უწყობს სამუშაოს დროულად დასრულებას, სათანადო ზედამხედველობასა და მიმოხილვას. ნიშანსვეტების შესრულების მონიტორინგი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI-ების) მეშვეობით ხორციელდება, ხოლო ნიშანსვეტების შესრულებლობის შემთხვევაში EY-ის აუდიტის გუნდების საქმიანობაში ჩარევა კომპანიის ხარისხის მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

EY Canvas-ის კლიენტთა პორტალის მოთხოვნების გამოყენება

EY Canvas EY-ის გუნდებს საშუალებას აძლევს, კლიენტებს გაუგზავნონ მოთხოვნები აუდიტისთვის

საჭირო დოკუმენტაციის ან შიდა აუდიტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს თაობაზე, რამდენადაც ამას ადგილობრივი კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები ითვალისწინებს. კლიენტები ამუშავებენ მოთხოვნებს, ატვირთავენ დოკუმენტებს და პასუხს EY Canvas-ის კლიენტთა პორტალის მეშვეობით აგზავნიან. კლიენტებს შეუძლიათ ნახონ ის მოთხოვნები, რომლებიც განაწილებულია მათზე ან იმ ჯგუფ(ებ)ზე, რომლის წევრიც არიან (მაგ.: ბუღალტერია, სახელფასო განყოფილება ან შიდა აუდიტი). EY Canvas-ის კლიენტთა პორტალი ასევე მოიცავს რამდენიმე ფუნქციას, რომელიც კლიენტებს პროექტის მართვაში ეხმარება.

სამუშაო პროცესში მიმდინარე (In-flight) ქოუჩინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება

EY-ის ქსელის მასშტაბით, გლობალური პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად EY-ის წევრი ფირმების 1,500-ზე მეტი გარიგება (პროექტი) სარგებლობს გარკვეული სახის ქოუჩინგით. ეს ქოუჩინგი, უმთავრესად, მიმართულია იმ სფეროებზე, სადაც შემოწმების შედეგად უფრო ხშირი პრობლემები გამოვლინდა, დაინერგა ახალი დამხმარე საშუალებები და საჭიროა აუდიტის ახალი ან გადასინჯული სტანდარტების გამოყენება.

ქოუჩინგი ასევე შეიძლება მიმართული იყოს EY-ის იმ აუდიტის გუნდებზე, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს, ავტომატიზებულ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს იყენებენ, რათა შეფასდეს, რამდენად კვალიფიციურად იყენებენ გარიგების გუნდები აღნიშნულ ტექნოლოგიას. 2025 წლის ხარისხის გლობალური კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 90%-მა აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში დროულ ქოუჩინგსა და უკუკავშირის იღებს.

აღნიშნული ქოუჩინგის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები EY-ის აუდიტის გუნდებთან განიხილება, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი საკითხების შემთხვევაში, „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელის“ ადგილობრივი წარმომადგენლები გარიგების გუნდებს ეხმარებიან, აუდიტორის დასკვნის გამოცემამდე მოაგვარონ აღნიშნული საკითხები.

ახალი ტექნოლოგიების დამხმარე საშუალებების შემუშავება და დანერგვა

ტექნოლოგიური პროდუქტების მფლობელებსა და GPPG-სთან თანამშრომლობით, „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“ შეიმუშავებს და ახორციელებს დამხმარე საშუალებებსა და ადგილობრივი დანერგვის გეგმებს, რათა დაეხმაროს EY-ის აუდიტის გუნდებს ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში.

დამხმარე საშუალებებისა და დანერგვის მხარდაჭერას ააქტიურებენ ხარისხის უზრუნველყოფის ადგილობრივი ქსელები.

დამხმარე საშუალებები შექმნილია ისე, რომ იყოს ინტუიციური და ადვილად ათვისებადი (მაგ.: მოკლე ვიდეოები) და, ამავედროულად, ტექნოლოგია მეთოდოლოგიასთან დააკავშიროს, რითაც ტექნოლოგიის გამოყენების აუდიტორულ დასაბუთებას განმარტავს. ტექნოლოგიური ხელმძღვანელობის გუნდსა და GPPG-სთან „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელის“ თანამშრომლობის საფუძველზე, გარკვეული ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების სავალდებულო გამოყენების თაობაზე შეთანხმება მათ გამოშვებამდე ხდება.

დამხმარე საშუალებების შემუშავება და დანერგვა აუდიტის ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და მეთოდოლოგიური გაუმჯობესებების საპასუხოდ

GPPG-სა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელი“ მუშაობს დამხმარე საშუალებების შემუშავებასა და დანერგვაზე, რათა ხელი შეუწყოს აუდიტის ახალი ან გადასინჯული სტანდარტების, ასევე EY GAM-ში განხორციელებული გაუმჯობესებების ათვისებას.

დანერგვის გეგმები ერთობლივად მუშავდება „მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის გლობალური ქსელისა“ და ადგილობრივი წევრი ფირმების ხარისხის ქსელების წარმომადგენლების მიერ; აღნიშნული გეგმები ითვალისწინებს ჩემპიონთა და ქოუჩინგის ქსელების ამოქმედებას დანერგვის მხარდასაჭერად და, დანერგვის შემდგომ ეტაპზე, უწყვეტი უკუკავშირის ციკლის სამართავად.



პროფესიული პრაქტიკა

GPPG წარმოადგენს ტექნიკური დარგის იმ პროფესიონალთა გლობალურ ქსელს, რომლებიც EY-ის აუდიტის გუნდებს კონსულტაციას უწევენ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და სხვა ფინანსური თუ არაფინანსური ანგარიშგების საკითხებზე. ისინი ასევე ასრულებენ ხარისხის მართვის ზედამხედველობისა და მონიტორინგის სხვადასხვა როლს და ახორციელებენ რისკების მართვის სხვა ღონისძიებებს.

GPPG შეიმუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო მითითებებს, სასწავლო რესურსებსა და ხარისხის ზედამხედველობის პოლიტიკებს, რომლებსაც EY-ის ქსელი იყენებს,

ასევე იმ ინსტრუმენტებსა და დამხმარე საშუალებებს, რომლებსაც EY-ის აუდიტის პროფესიონალები აუდიტის თანმიმდევრულად და ეფექტურად ჩასატარებლად იყენებენ.

პროფესიული პრაქტიკის გლობალურ ვიცე-თავმჯდომარეს, რომელიც ასევე პროფესიული პრაქტიკის გლობალური დირექტორის (Global PPD) სახელით მოიხსენიება, ზედამხედველობას უწევს მარწმუნებელი მომსახურების გლობალური ვიცე-თავმჯდომარე და მუშაობს აუდიტის ხარისხის კონტროლის გლობალური პოლიტიკებისა და პროცედურების ჩამოყალიბებაზე. პროფესიული პრაქტიკის თითოეული ტერიტორიის დირექტორს (Area PPD), ისევე როგორც გლობალური მიწოდების სერვისის (GDS) პროფესიული პრაქტიკის დირექტორს, ზედამხედველობას უწევს პროფესიული პრაქტიკის გლობალური დირექტორი (Global PPD) და შესაბამისი ტერიტორიის მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელი. ეს ხელს უწყობს აუდიტის ხარისხისა და კონსულტაციის პროცესების ობიექტურობის მიმართ მეტი რწმუნების გამოხატვას.

პროფესიული პრაქტიკის გლობალური დირექტორი (Global PPD) ზედამხედველობას უწევს EY GAM-ს, აუდიტის პოლიტიკებსა და ტექნოლოგიებს და საჭიროების შემთხვევაში აახლებს მათ, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა რელევანტურ პროფესიულ სტანდარტებთან და მარეგულირებლის მოთხოვნებთან. GPPG ასევე ზედამხედველობას უწევს იმ სახელმძღვანელო მითითებების, ტრენინგისა და მონიტორინგის პროგრამებისა და პროცესების შემუშავებას, რომლებსაც აუდიტის პროფესიონალები აუდიტის თანმიმდევრულად და ეფექტურად ჩასატარებლად იყენებენ. გარდა ამისა, GPPG შეიმუშავებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სახელმძღვანელო მითითებებს ისეთ კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირების მიზნით, როგორიცაა გეოპოლიტიკური კონფლიქტები და ეკონომიკის მერყეობა.

პროფესიული პრაქტიკის გლობალური, ტერიტორიის, რეგიონული და ქვეყნის დირექტორები (PPD-ები), თითოეულ წევრ ფირმაში მათთან მომუშავე სხვა პროფესიონალებთან ერთად, EY-ის აუდიტის გუნდებისთვის კონსულტაციის გასაწევად ადგილად ხელმისაწვდომნი არიან.

GPPG-ში არსებული დამატებითი რესურსები მოიცავს იმ პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ შემდეგ საკითხებზე:

- შიდა კონტროლის ანგარიშგება და EY GAM-ის დაკავშირებული ასპექტები;
- ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, მდგრადი განვითარებისა და რისკების საკითხები კონკრეტული თემების, დარგებისა და სექტორების მიხედვით;

- აუდიტის გარიგების ზოგადი საკითხები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან ეფექტურად მუშაობის წესი.

გარდა ამისა, პროფესიული პრაქტიკის ქვეყნის დირექტორს აკისრია ოპერაციული პასუხისმგებლობა წევრი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგზე. ეს მოიცავს ხარისხის მართვის სისტემის წლიური შეფასების რეკომენდებულ დასკვნაზე დათანხმებას ან მასში ცვლილებების შეთავაზებას. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის პროცესის კოორდინაციასა და მონიტორინგს GPPG-ის წარმომადგენლები ახორციელებენ.



რისკის მართვა

რისკების მართვა (RM) კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის მასშტაბით მიმდინარე იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია EY-ის თანამშრომლების დახმარება გლობალური და ადგილობრივი კანონშესაბამისობის ვალდებულებების შესრულებაში, ასევე კლიენტებთან მომუშავე გუნდების მხარდაჭერა ხარისხიანი და გამორჩეული მომსახურების გაწევაში. მაღალი ხარისხის მომსახურებაზე პასუხისმგებლობა და ხარისხთან დაკავშირებული რისკების მართვა EY-ის წევრ ფირმებსა და მათ მომსახურების მიმართულებებს აკისრიათ.

სხვა საკითხებთან ერთად, რისკების მართვის გლობალური ლიდერი ხელს უწყობს ამ რისკების იდენტიფიცირებისა და შემცირების, ასევე ორგანიზაციის მასშტაბით არსებული სხვა რისკების მონიტორინგს, საწარმოო რისკის მართვის (ERM) უფრო ფართო ჩარჩოს ფარგლებში. ERM-ის პრიორიტეტები EY-ის წევრ ფირმებს ეცნობება.

რისკების მართვის გლობალური ლიდერი პასუხისმგებელია მსოფლიოს მასშტაბით რისკების მართვის თანმიმდევრული ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და EY-ის წევრი ფირმების ხელშეწყობაზე, რათა მათ შეძლონ რისკების მართვა EY-ის ორგანიზაციის მასშტაბით.

EY-ის წევრი ფირმების პროფესიონალები რისკების მართვის ინიციატივების ხელმძღვანელებად ინიშნებიან (სხვა თანამშრომლებისა და პროფესიონალების მხარდაჭერით), რაც, მათ შორის, ამ საკითხებზე მომსახურების მიმართულებებთან კოორდინაციასაც მოიცავს.

რისკის შემცველი მოვლენების დადგომისას, რისკების მართვის (RM) სამსახური, სხვა გლობალურ განყოფილებებთან კოორდინირებით, EY-ის წევრი ფირმებისგან აქტიურად ითხოვს ინფორმაციას კრიზისების მართვასა და ბიზნესის უწყვეტობაში მიღებული გამოცდილების შესახებ.

ქმედების შემდგომი ანალიზის ეს პროცესი EY-ს საშუალებას აძლევს, დახვეწოს კრიზისებზე რეაგირებისა და კრიზისების მართვის დაგეგმვა, როგორც EY-ის წევრი ფირმების, ისე გლობალურ დონეზე. მსგავსი განხილვები უზრუნველყოფს პროაქტიულობის უფრო მაღალ ხარისხს, განსაკუთრებით, ახლად წარმოშობილი რისკების იდენტიფიცირებისას მანამ, სანამ ისინი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ, ასევე თითოეული წევრი ფირმის მიერ რისკების პრიორიტეტიზაციისას. მაგალითად, ეს საშუალებას აძლევს EY-ის უსაფრთხოების გლობალურ გუნდსა და რეგიონული უსაფრთხოების მენეჯერთა ქსელს, უშუალოდ შესაბამისი წევრი ფირმის კრიზისების მართვის გუნდთან იმუშაონ ყველაზე სავარაუდო საფრთხეებისთვის მოსამზადებლად, კრიზისების მართვის ქსელებში ტრენინგებისა და მაღალი დონის მომზადების ინტეგრირების გზით.

ამასთან, რისკების მართვის გლობალური სამსახური კვლავაც ამახვილებს ყურადღებას ბიზნესის მედეგობაზე, EY-ის ორგანიზაციაში ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პროცესში. ამ მიდგომის საკვანძო კომპონენტია იმის გაცნობიერება, რომ კრიზისების უმეტესობა უბრალოდ არ „ხდება“; როგორც წესი, კრიზისის შექმნის პარალელურად, არსებობს ესკალაციის ფაქტორების ინდიკატორები. ეს მიდგომა EY-ის წევრ ფირმებს საშუალებას აძლევს, დაიწყონ რისკების შემცირებაზე მუშაობა და, იმავდროულად, განაგრძონ „ჩვეული საქმიანობა“ ბიზნესზე პოტენციური გავლენის მქონე სიტუაციის ძალიან ადრეულ ეტაპებზე. რამდენიმე მიმდინარე და მაღალი ალბათობის მქონე გეოპოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით „ესკალაციის მატრიცების“ შექმნა EY-ის წევრი ფირმებისა და რეგიონის რისკების მართვის კრიზისების მართვის გუნდებს საშუალებას აძლევს, მოვლენების ესკალაციის კვალდაკვალ, უფრო სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოახდინონ. გარდა ამისა, ეს ესკალაციის მატრიცები და მათგან გამომდინარე სამოქმედო პუნქტების საკონტროლო სიები სცდება თანამშრომელთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების ტრადიციულ საკითხებს და სიღრმისეულად განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ წევრი ფირმის უნარზე, ეფექტიანად წარმართოს ბიზნესსაქმიანობა.

აღნიშნული ცვლილებები EY-ის წევრ ფირმებს საშუალებას აძლევს, წინასწარ მომზადებული პოლიტიკური მიდგომის მეშვეობით, უფრო ეფექტიანად გაუმკლავდნენ მნიშვნელოვან კრიზისებს.



კიბერუსაფრთხოება

მასშტაბური და რთული კიბერშეტევების რისკების მართვა ყველა ორგანიზაციისთვის ბიზნესის წარმოების თანმდევი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ კიბერშეტევების საფრთხისგან არცერთი სისტემა არ არის დაზღვეული, EY საქართველო განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენს იმ ღონისძიებების განხორციელებისას, რომლებიც EY-ისა და მისი კლიენტების მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვას ემსახურება.

კიბერუსაფრთხოებისადმი EY-ის მიდგომა პროაქტიულია და მოიცავს იმ ტექნოლოგიებისა და პროცესების დანერგვას, რომლებიც აუცილებელია მსოფლიოს მასშტაბით კიბერუსაფრთხოების რისკების სამართავად და მინიმუმამდე დასაყვანად. EY-ის ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის პროგრამები, რომლებიც შესაბამისობაშია დარგობრივ პრაქტიკასთან და მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებთან, გამიზნულია სისტემებისა და მონაცემების არავეტორიზებული წვდომისგან დასაცავად. არსებობს კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებისგან შემდგარი სპეციალური გუნდი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევს EY-ის სისტემებს და გლობალური მასშტაბით ახდენს რეაგირებას კიბერშეტევებზე.

ტექნიკური და პროცედურული კონტროლის მექანიზმების გარდა, EY-ის ყველა თანამშრომელს მოეთხოვება, ყოველწლიურად წერილობით დაადასტუროს, რომ აცნობიერებს EY-ის ქცევის გლობალურ კოდექსში წარმოდგენილ პრინციპებს და იღებს ვალდებულებას, დაიცვას ისინი. ასევე, არსებობს უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებელი სავალდებულო სასწავლო ღონისძიებები. სხვადასხვა პოლიტიკა განსაზღვრავს ტექნოლოგიებისა და მონაცემების მიმართ გამოსაჩენ სათანადო გულისხმიერებას; ეს პოლიტიკები შეუზღუდავად მოიცავს შემდეგს: „ინფორმაციული უსაფრთხოების გლობალური პოლიტიკა“ და „ტექნოლოგიების დასაშვები გამოყენების გლობალური პოლიტიკა“. EY-ის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკები და პროცესები აღიარებს დროული კომუნიკაციის მნიშვნელობას.

EY-ის თანამშრომლები იღებენ რეგულარულ და პერიოდულ შეტყობინებებს, რომლებიც მათ ამ პოლიტიკებში გაწერილ პასუხისმგებლობებსა და უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ზოგად საკითხებს შეახსენებს.



ინკლუზიურობა ყველასათვის

ინკლუზიურობა EY-ის ღირებულებაა. იგი წარმოადგენს პრიორიტეტს EY-ის 400,000 თანამშრომლისთვის გლობალურად და EY-ის მრავალი კლიენტის მოლოდინს მსოფლიოს მასშტაბით. როგორც 150 ქვეყანასა და ტერიტორიაზე წარმოდგენილი გლობალური ორგანიზაციისთვის, აზროვნების, უნარების, წარმომავლობისა და გამოცდილების მრავალფეროვნება EY-ის რეალობა და მისი ძალაა.

ამ [განცხადებაზე](#) ხელმოწერით, GE-მ ვალდებულია აიღოს EY-ის თანამშრომლებისა და ბაზრის წინაშე.

2025 წლის 1 ივლისს მსოფლიოს მასშტაბით EY-ის წევრ ფირმებში დაწინაურებული აუდიტის ახალი პარტნიორების 33%-ს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 2025 წელს აუდიტში აყვანილი კადრების 53% ქალი იყო.

აუდიტის ქალი პროფესიონალები რანგის მიხედვით *




უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები

*2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (EY-ს გლობალური სტატისტიკა)

EY საქართველოში 2025 წელს აუდიტში აყვანილი კადრების 61.5%-ს ქალები შეადგენდნენ. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

აუდიტის ქალი პროფესიონალები რანგის მიხედვით



უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები

ინკლუზიური ორგანიზაციები მაქსიმალურად იყენებენ იმ უპირატესობას, რომელიც ყოველგვარ განსხვავებულობას მოაქვს. თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ისეთ ორგანიზაციაში მუშაობენ, რომელიც არა მხოლოდ აფასებს მათ პიროვნულობასა და შეტანილ წვლილს, არამედ განსხვავებულობას ძლიერ მხარედ აღიქვამს.

მიკუთვნებულობის ამ განცდის გაღვივება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყველაზე ნიჭიერი ადამიანების მოსაზიდად და EY-ის პროფესიონალთა მოტივაციისა და ჩართულობის შესანარჩუნებლად. 2025 წლის აპრილის „თანამშრომელთა მოსმენის კვლევის“ თანახმად, EY-ის აუდიტორთა 82%-მა (გლობალური სტატისტიკა) აღნიშნა, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს ისეთ სამუშაო გარემოს, სადაც მათ თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა.

EY მიიჩნევს, რომ ბიზნესს შეუძლია თავდაჯერებულად შექმნას მომავალი და აწარმოოს უკეთესი ბიზნესი უკეთესი მსოფლიოსთვის, გუნდური მუშაობის, ინკლუზიური ქცევისა და შესაძლებლობებისა და გამოცდილების ყველასათვის ხელმისაწვდომობის გზით.

EY-ის ღირებულებები წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც აყალიბებს ჩვენს კულტურას, ქცევასა და გადაწყვეტილებებს. ჩვენს იდენტობას ჩვენი ღირებულებები განსაზღვრავს:

Our values: who we are

- 1 People who demonstrate integrity, respect, teaming and inclusiveness
- 2 People with energy, enthusiasm and the courage to lead
- 3 People who build relationships based on doing the right thing



დამოუკიდებლობა პრაქტიკაში

დამოუკიდებლობა პრაქტიკაში

EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა EY საქართველოსა და ჩვენს თანამშრომლებს ავალდებულებს, დაიცვან დამოუკიდებლობის ის სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება კონკრეტულ გარიგებებზე (მაგ. ბესსის-ის კოდექსი).

ჩვენ განვიხილავთ და ვაფასებთ დამოუკიდებლობის საკითხს სხვადასხვა ასპექტის ქრილში, მათ შორის: ჩვენს, ასევე EY-ის პროფესიონალებისა და სხვა თანამშრომლების ფინანსურ ურთიერთობებს; შრომით ურთიერთობებს; საქმიან ურთიერთობებს; აუდიტის კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების დასაშვებობას; ფირმისა და პარტნიორების როტაციასთან დაკავშირებულ მოქმედ მოთხოვნებს; ანაზღაურების პირობებს; აუდიტის კომიტეტის წინასწარ თანხმობას ან დასტურს (საჭიროების შემთხვევაში) და პარტნიორთა შრომის ანაზღაურებასა და კომპენსაციას.

დამოუკიდებლობის მოქმედი მოთხოვნების შეუსრულებლობა გათვალისწინებული იქნება თანამშრომლის დაწინაურებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას და შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური ზომები, მათ შორის EY საქართველოდან გათავისუფლება.

EY საქართველომ დანერგა EY-ის გლობალური პლატფორმები, ინსტრუმენტები და პროცესები, რათა დაგვეხმაროს ჩვენ და ჩვენს თანამშრომლებს დამოუკიდებლობის პოლიტიკის დაცვაში.



EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა

EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა მოიცავს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს EY-ის წევრი ფირმებისა და EY-ის თანამშრომლებისთვის. პოლიტიკა ეფუძნება ბესსის-ის კოდექსს და ემატება უფრო მკაცრი მოთხოვნები იმ იურისდიქციებში, სადაც ეს განსაზღვრულია ადგილობრივი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან სტანდარტების დამდგენი ორგანოს მიერ. პოლიტიკა ასევე შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც გამიზნულია დამოუკიდებლობის წესების გაგებისა და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობად. EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა თავისუფლადაა ხელმისაწვდომი და ადვილად მოძიებადი EY-ის ინტრანეტში.

EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა წარმოადგენს ინტელექტუალურ რესურსს, რომელსაც გლობალური ფუნქცია უზრუნველყოფს, ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად.



გლობალური დამოუკიდებლობის სისტემა

გლობალური დამოუკიდებლობის სისტემა (GIS) არის ინტრანეტზე დაფუძნებული ინსტრუმენტი, რომელიც EY-ის თანამშრომლებს ეხმარება იმ სუბიექტების იდენტიფიცირებაში, რომელთა მიმართაც მოითხოვება დამოუკიდებლობა, და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მოქმედი შეზღუდვების დადგენაში. სისტემა მოიცავს ყველა იმ სუბიექტს, რომელთა მიმართაც მოითხოვება დამოუკიდებლობა. ესენია EY-ის აუდიტის კლიენტები და მათი აფილირებული პირები, მათ შორის ბირჟაზე დაშვებული აუდიტის კლიენტები, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა და კერძო აუდიტის კლიენტები, ასევე სხვა ტიპის მარწმუნებელი მომსახურების კლიენტები. ეს ინსტრუმენტი მოიცავს მფლობელობის სტრუქტურულ ინფორმაციას აუდიტის კლიენტებისა და მათი აფილირებული პირების შესახებ, სხვა სუბიექტების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება დამოუკიდებლობის შეზღუდვები და სხვა სუბიექტების შესახებ, რომლებზეც დამოუკიდებლობის შეზღუდვები არ ვრცელდება. მფლობელობის შესახებ სტრუქტურული მონაცემები მოწმდება კლიენტისთვის მომსახურების გამწვევი გუნდის მიერ. სუბიექტის შესახებ მონაცემები შეიცავს აღნიშვნებს, რომლებიც მიუთითებს თითოეულ სუბიექტზე გავრცელებულ დამოუკიდებლობის მოთხოვნებზე. ეს EY-ის თანამშრომლებს ეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა სახის მომსახურების გაწევა, ან რა სხვა ინტერესების ქონა თუ ურთიერთობების დამყარებაა დასაშვები.

GIS წარმოადგენს ტექნოლოგიური რესურსის მაგალითს, რომელიც EY-ის წევრ ფირმებს ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად მიეწოდება.



გლობალური მონიტორინგის სისტემა

გლობალური მონიტორინგის სისტემა (GMS) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გლობალური ინსტრუმენტია, რომელიც აკრძალული ფასიანი ქაღალდებისა და სხვა დაუშვებელი ფინანსური ინტერესების იდენტიფიცირებაში გვეხმარება. EY-ის მენეჯერის და უფრო მაღალი რანგის პროფესიონალებს მოეთხოვებათ, GMS-ში შეიყვანონ დეტალური ინფორმაცია ყველა იმ ფასიანი ქაღალდის შესახებ, რომელსაც პირადად ისინი ან მათი ოჯახის უშუალო წევრები ფლობენ.

როდესაც სისტემაში აკრძალული ფასიანი ქაღალდი შეჰყავთ, ან თუ EY-ში დასაქმებული პროფესიონალის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდი აკრძალული ხდება, იგი იღებს შეტყობინებას და ვალდებულია, გაასხვისოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდი. გარკვეული გამოწვევების შესახებ ანგარიშგება ხდება დამოუკიდებლობის ინციდენტების შეტყობინების სისტემის მეშვეობით, რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით.

GMS ასევე უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის პოლიტიკასთან შესაბამისობის კვარტალურ და წლიურ დადასტურებას, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. GMS წარმოადგენს ტექნოლოგიური რესურსის მაგალითს, რომელიც EY-ის წევრ ფირმებს ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად მიეწოდება.



დამოუკიდებლობის პრინციპებთან შესაბამისობა

EY-ის პროცესები და პროგრამები მიზნად ისახავს EY-ის წევრი ფირმებისა და მათი თანამშრომლების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს. ისინი მოიცავს შემდეგ აქტივობებს, პროგრამებსა და პროცესებს.

დამოუკიდებლობის დადასტურება

EY-ის ყველა იმ პროფესიონალს, რომელიც მენეჯერიდან პარტნიორამდე რანგს იკავებს და კლიენტებს ემსახურება, ასევე როლისა თუ ფუნქციის მიხედვით განსაზღვრულ სხვა პერსონალს, მოეთხოვება დამოუკიდებლობის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის კვარტალურად დადასტურება; ხოლო ყველა რანგის თანამშრომელს ევალება შესაბამისობის დადასტურება ყოველწლიურად ევალება. გარდა ამისა, EY-ის ყველა თანამშრომელს მოეთხოვება, ყოველწლიურად დაადასტუროს EY-ის ქცევის გლობალურ კოდექსთან შესაბამისობა.

პირადი დამოუკიდებლობის შესაბამისობის ტესტირება

ყოველწლიურად, EY-ის გლობალური დამოუკიდებლობის გუნდი განსაზღვრავს პირადი დამოუკიდებლობის შესაბამისობის ტესტირების (PICT) პროგრამას. ეს არის აუდიტი, რომელიც ამოწმებს, რამდენად იცავს თანამშრომელი GMS-ში ფინანსური ინტერესების ასახვის მოთხოვნას და იგი EY-ის თითოეული წევრი ფირმის ქვეყნის დამოუკიდებლობის ლიდერის ხელმძღვანელობით ტარდება. PICT-ის ფარგლებში, შერჩეული პირები წარმოადგენენ ანგარიშის ამონაწერებსა და მათი ფინანსური ინტერესების დამადასტურებელ სხვა დოკუმენტაციას. ხდება აღნიშნული მონაცემების შედარება GMS-ში შესაბამისი სატესტო პერიოდისთვის ასახულ ინფორმაციასთან, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა არადეკლარირებული ინტერესები და ურთიერთობები. ნებისმიერი არადეკლარირებული ინტერესი თუ ურთიერთობა ექვემდებარება შეფასებას და განისაზღვრება პასუხისმგებლობის ის ზომები, რომლებიც მიზანშეწონილად ჩაითვლება. 2025 წლის ტესტირების ციკლის დროს EY საქართველომ შეამოწმა 1 პარტნიორი და 3 სხვა თანამშრომელი.



არააუდიტორული მომსახურება

EY სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით უზრუნველყოფს და მონიტორინგს უწევს იმ პროფესიულ სტანდარტებთან, კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, რომლებიც აუდიტის კლიენტებისთვის არააუდიტორული

მომსახურების გაწევას არეგულირებს. აღნიშნული უზრუნველყოფა გულისხმობს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა PACE (იხ. 23-ე გვერდი), GIS (იხ. 50-ე გვერდი) და მომსახურების შეთავაზების საცნობარო ინსტრუმენტი (SORT) (იხილეთ ქვემოთ), ასევე ტრენინგებს. მონიტორინგი მოიცავს სავალდებულო პროცედურებს, რომლებიც აუდიტის ჩატარებისა და შიდა შემოწმების პროცესების დროს ხორციელდება. ასევე მოქმედებს პროცესი, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებლობის სპეციალისტების მიერ გარკვეული არააუდიტორული მომსახურებების განხილვასა და დამტკიცებას გარიგების მიღებამდე (ანუ მომსახურების დაწყებამდე).



გლობალური დამოუკიდებლობის პრინციპების სწავლა

EY ქმნის და ნერგავს დამოუკიდებლობის სასწავლო პროგრამებს EY-ის კლიენტებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის, ასევე როლისა თუ ფუნქციის მიხედვით განსაზღვრული სხვა თანამშრომლებისთვის. აღნიშნულ პროფესიონალებსა და თანამშრომლებს მოეთხოვებათ, მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებლობის ყოველწლიურ სწავლებაში, რათა შეინარჩუნონ EY-ის აუდიტის კლიენტებისგან დამოუკიდებლობა.

ამის მიზანია, დაეხმაროს EY-ის პროფესიონალებსა და სხვა პირებს საკუთარი პასუხისმგებლობების გააზრებაში; ასევე, თითოეულ მათგანსა და წევრ ფირმებს მისცეს შესაძლებლობა, ამოიცნონ და თავისუფალნი იყვნენ ისეთი ინტერესებისგან, რომლებიც აუდიტის კლიენტის მომსახურებისას შესაძლოა ობიექტურობასთან, კეთილსინდისიერებასა და მიუკერძოებლობასთან შეუთავსებლად ჩაითვალოს.

დამოუკიდებლობის ყოველწლიური სასწავლო პროგრამა მოიცავს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკის უახლეს ცვლილებებზე, ასევე განმეორებდა თემებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე. დამოუკიდებლობის ყოველწლიური სწავლების დროულად დასრულება სავალდებულოა და მისი მონიტორინგი ხდება.

წლიური სასწავლო პროგრამის გარდა, დამოუკიდებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ხორციელდება ღონისძიებებისა და მასალების მეშვეობით, მათ შორის ახლად აყვანილ თანამშრომელთათვის განკუთვნილი პროგრამებისა და ძირითადი მომსახურების ხაზების სასწავლო გეგმების საშუალებით.

დამოუკიდებლობის შესწავლის წლიური პროგრამა წარმოადგენს ინტელექტუალურ რესურსს, რომელსაც გლობალური ფუნქცია უზრუნველყოფს, ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად.



მომსახურების შეთავაზების
საცნობარო ინსტრუმენტი
(SORT)

SORT წარმოადგენს EY-ის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა მომსახურების მთავარ სიას. ჩვენ მუდმივად განვიხილავთ და ვაფასებთ მომსახურების პორტფელს, რათა დავადგინოთ, რამდენად დასაშვებია ისინი პროფესიული სტანდარტების, კანონებისა და ნორმატიული აქტების მიხედვით, და რათა დავრწმუნდეთ, რომ ახალი სერვისების შეთავაზების დროს დანერგილია სათანადო მეთოდოლოგიები, პროცედურები და პროცესები. ჩვენ ვზღუდავთ ისეთი მომსახურების გაწევას, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული გაუმართლებელი ან სხვა სახის რისკები.

SORT EY-ის თანამშრომლებს დამატებით ინფორმაციას აწვდის EY-ის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ. იგი მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს იმის შესახებ, თუ რომელი მომსახურების გაწევაა შესაძლებელი აუდიტორული და არააუდიტორული კლიენტებისთვის, აგრეთვე დამოუკიდებლობასა და რისკების მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსა და მოსაზრებებს.

SORT წარმოადგენს ტექნოლოგიური რესურსის მაგალითს, რომელიც EY-ის წევრ ფირმებს ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად მიეწოდება.



საქმიანი ურთიერთობების
დამოუკიდებლობის მონაცემთა
შეგროვება და შეფასება (BRIDGE)

EY-ის თანამშრომლები ვალდებული არიან, ხშირ შემთხვევაში გამოიყენონ BRIDGE-ის ინსტრუმენტი, რათა შეძლონ აუდიტის კლიენტთან პოტენციური საქმიანი ურთიერთობის იდენტიფიცირება, შეფასება და მასზე წინასწარი თანხმობის მიღება, და ამგვარად ხელი შეუწყონ EY-ის შესაბამისობას დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან.

BRIDGE წარმოადგენს ტექნოლოგიური რესურსის მაგალითს, რომელიც EY-ის წევრ ფირმებს ხარისხის მართვის სისტემაში თანმიმდევრულობის მისაღწევად მიეწოდება.



აუდიტის კომიტეტები და
დამოუკიდებლობის
ზედამხედველობა

ჩვენ ვაცნობიერებთ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც აუდიტის კომიტეტები ან

კორპორაციული მართვის მსგავსი ორგანოები ასრულებენ აუდიტორის დამოუკიდებლობის ზედამხედველობის პროცესში. უფლებამოსილი და დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტები თუ კორპორაციული მართვის მსგავსი ორგანოები, აქციონერთა სახელით, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დამოუკიდებლობის დაცვასა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებაში. ჩვენ ვალდებულებას ვიდებთ, უზრუნველყოთ მკაფიო და სისტემატური კომუნიკაცია აუდიტის კომიტეტებთან ან კორპორაციული მართვის მსგავს ორგანოებთან. EY-ის ხარისხის მიმოხილვის პროგრამების მეშვეობით, ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ და ვამოწმებთ EY-ის სტანდარტებთან შესაბამისობას აუდიტის კომიტეტებთან ან კორპორაციული მართვის მსგავს ორგანოებთან კომუნიკაციის კუთხით, ასევე, საჭიროების მიხედვით, არააუდიტორული მომსახურების წინასწარ დამტკიცებას ან წინასწარ შეთანხმებას.



ამონაგები და ანაზღაურება

ამონაგები და ანაზღაურება



ფინანსური ინფორმაცია

ამონაგები წარმოადგენს მიღებულ ამონაგებსა და მოიცავს კლიენტებისთვის დარიცხულ ხარჯებს, ასევე EY-ის სხვა წევრი ფირმებისთვის წარდგენილ ანგარიშგაქტურებთან დაკავშირებულ შემოსავლებს. წინამდებარე ანგარიშში გამჟღავნებული ამონაგების მოცულობები მოიცავს ამონაგებს როგორც აუდიტორული, ისე არააუდიტორული კლიენტებისგან.

ამონაგები წარმოადგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და მოიცავს შემდეგ წყაროებს:

- საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ), ასევე ისეთი საწარმოთა ჯგუფის წევრთა წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი, რომელთა მშობელი საწარმოც წარმოადგენს სდპ-ს;
- სხვა სუბიექტების წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი;
- ნებადართული არააუდიტორული მომსახურება იმ სუბიექტებისთვის, რომლებსაც აუდიტს უტარებს სავალდებულო აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა;
- სხვა სუბიექტებისთვის გაწეული არააუდიტორული მომსახურება.

ფინანსური ინფორმაცია

2025 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის, გამოხატული ათას ლარში

მომსახურება	ამონაგები (არააუდიტორული)	პროცენტი
სავალდებულო აუდიტები და პირდაპირ დაკავშირებული სერვისები სდპებისთვის და ასევე ჯგუფში შემავალი ისეთი საწარმოებისთვის, რომელთა მშობელი საწარმოც წარმოადგენს სდპ-ს	9,958	42%
სხვა აუდიტორული სერვისები და პირდაპირ	2,458	11%

დაკავშირებული სერვისები არა სდპებისთვის

არააუდიტორული სერვისები, გაწეული იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც აუდიტს ვუტარებთ

სხვა სუბიექტებისთვის გაწეული არააუდიტორული სერვისები

EY საქართველოსთან დაკავშირებული მთლიანი ამონაგები	23,509	100%
---	--------	------



პარტნიორის ანაზღაურება

ხარისხი EY-ის სტრატეგიის საფუძველია და იგი EY-ის საქმიანობის მართვის სისტემების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. EY საქართველოს პარტნიორები ფასდებიან და ანაზღაურებას იღებენ იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს ხარისხისა და რისკების მართვის კონკრეტულ ინდიკატორებს. ანალოგიურად, როდესაც EY საქართველოს პარტნიორები არ იცავენ ხარისხის სტანდარტებს, მიიღება გამოსასწორებელი ზომები. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს საქმიანობის მონიტორინგს, ანაზღაურების კორექტირებას, დამატებით ტრენინგს, დამატებით ზედამხედველობას ან სხვა პოზიციას გადაყვანას, ხოლო განმეორებითი ან განსაკუთრებით მძიმე დარღვევის შემთხვევებში EY-დან გათავისუფლებას.

გთხოვთ, იხილოთ ამ ანგარიშის თავი „ანგარიშვალდებულების ჩარჩო“, რათა უკეთ გაიგოთ, თუ როგორ განსაზღვრავს აღნიშნული ჩარჩოები კრიტერიუმებს ინდივიდის საქმიანობის საერთო შეფასებასა და მათ ხარისხის შეფასებას შორის შესაბამისობის გასაზომად.

EY-ის პოლიტიკა კრძალავს აუდიტის გარიგების წამყვანი პარტნიორებისა და გარიგებაში მონაწილე სხვა მთავარი აუდიტის პარტნიორების შეფასებასა და ანაზღაურებას იმ არააუდიტორული მომსახურების გაყიდვის საფუძველზე, რომელიც მიეწოდებათ მათ მიერ აუდიტირებულ კომპანიებს.

ეს განამტკიცებს EY-ის წევრი ფირმების პარტნიორების პროფესიულ ვალდებულებას, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და ობიექტურობა.

შემუშავებულია ხარისხისა და რისკების მართვის საქმიანობის კონკრეტული მაჩვენებლები, რომლებითაც იზომება:

- ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- EY-ის ღირებულებების პრაქტიკაში გატარება, რაც გამოიხატება ქცევასა და დამოკიდებულებაში;
- ხარისხისა და რისკების მართვის სფეროში ცოდნისა და ლიდერობის გამოხატვა;
- პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვა;
- კანონების, რეგულაციებისა და პროფესიული მოვალეობების შესრულება.

EY-ის პარტნიორთა ანაზღაურების ფილოსოფია ითვალისწინებს მნიშვნელოვნად დიფერენცირებულ ჯილდოებს პარტნიორის საქმიანობის დონის მიხედვით, რაც საქმიანობის მართვის ჩარჩოს კონტექსტში ფასდება. პარტნიორების საქმიანობა ყოველწლიურად ფასდება მაღალი ხარისხისა

და კლიენტთა გამორჩეული მომსახურების უზრუნველყოფის, ასევე EY-ის თანამშრომელთა ჩართულობის კუთხით, ფინანსურ და საბაზრო მაჩვენებლებთან ერთად.

ჩვენ ვმოქმედებთ სისტემით, რომელიც მოითხოვს, რომ პარტნიორის საერთო წლიურ შეფასებაში ხარისხი მნიშვნელოვან ფაქტორად იყოს გათვალისწინებული.

იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ სხვადასხვა უნარისა და როლის განსხვავებული საბაზრო ღირებულება, ასევე მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ მაღალი შედეგების მქონე პირები, ჩვენი პარტნიორების მთლიანი ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორებიც:

- გამოცდილება;
- როლი და პასუხისმგებლობა;
- გრძელვადიანი პოტენციალი.



დანართი 1: აუდიტის სდპ კლიენტების სია

დანართი 1: აუდიტის სდპ კლიენტების სია



2025 წლის 30 ივნისს დასრულებულ ფინანსურ წელს, EY საქართველომ ჩაატარა შემდეგი სდპ-ების და იმ ჯგუფში შემავალი საწარმოების აუდიტი, რომელთა შრობელი საწარმოც წარმოადგენს სდპ-ს:

სს ა გრუფი;
სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი);
შპს აკვალა საქართველო;
შპს ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი;
შპს არამექს ჯორჯია;
სს არდი დაზღვევა;
შპს ახალი კლინიკა;
შპს ბათუმის ნავთობტერმინალი;
შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი;
შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური;
სს ბანკი ქართუ;
სს ბიჯეო ჯგუფი;
შპს გარდაზნის გამწმენდი ნაგებობა;
სს გეფა;
შპს გლობალ ბიერ ჯორჯია;
შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი;
შპს დიპლომატ ჯორჯია;
სს ევექსი;
სს ევექსის კლინიკები;
სს ევექსის ჰოსპიტლები;
შპს ევექს-ლოჯისტიკა;
შპს ემკვადრატის პარკი;
სს ენერგო-პრო ჯორჯია;
სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია;
სს ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი;
სს ეპ ჯორჯია მიწოდება;
სს ვიანი;
სს თელასი;
სს თელიანი ველი;
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი;
სს კრედო ბანკი;
სს ლიბერთი ბანკი;
სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ;
შპს ლისი ფო;
შპს მ2 ჯგუფი;
შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია;
სს მეგა-ლაბი;
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი;
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი;
შპს ნესტლე საქართველო;
შპს ოპტიმა;
სს პაშა ბანკი საქართველო;
შპს რობერტ ბოში;
შპს საგურამო ენერჯი;
სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი;
სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ;
სს სადაზღვევო კომპანია ტაო;

სს საქართველოს ბანკი;
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია;
სს საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია;
სს საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები;
სს საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი;
შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა;
შპს საქართველოს ენერგიით ვაჭრობის კომპანია;
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია;
სს საქართველოს უძრავი ქონება;
სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი;
სს საქორგაზი;
შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია;
შპს სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს საქართველოს ფილიალი;
სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ;
შპს სოკარ ჯორჯია გაზი;
შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი;
სს ტერაბანკი;
შპს ქინძმარაულის მარანი;
შპს შავი ზღვის ტერმინალი;
შპს ჯიფაუერი;
სს ჯორჯია გლობალ იუთილითიზ;
სს ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი;
შპს ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი;
შპს ჯორჯიან ინჟინიერინგ ენდ მენეჯმენტ კომპანიი;
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი;
სს ჰარვესტ ჯორჯია.



დანართი 2: EY-ის დამტკიცებული წევრი ფირმები

დანართი 2: EY-ის დამტკიცებული წევრი ფირმები



ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) წევრ სახელმწიფოებში მდებარე, EY-ის დამტკიცებული წევრი ფირმების ჩამონათვალი

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, EY-ის შემდეგი წევრი ფირმებს აქვთ უფლებამოსილება, ჩაატარონ სავალდებულო აუდიტი ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) წევრ სახელმწიფოებში:

წევრი სახელმწიფო	სავალდებულო აუდიტორი ან აუდიტის ფირმა
ავსტრია	Ernst & Young Wirtschaftsprüfungsgesellschaft m.b.H.
ბელგია	EY Assurance Services SRL
	EY Bedrijfsrevisoren SRL
	EY Europe SRL
ბულგარეთი	Ernst & Young Audit OOD
გერმანია	EY GmbH & Co.KG Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	Ernst & Young Heilbronner Treuhand-GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	EY Revision und Treuhand GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	TS GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	Schitag Schwäbische Treuhand GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	EY Deutschland GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft Steuerberatungsgesellschaft
	EY Verwaltungs-GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
	EY-Parthenon GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft
დანია	EY Godkendt Revisionspartnerselskab
ესტონეთი	Ernst & Young Baltic AS
	Baltic Network OU
ესპანეთი	ATD Auditores Sector Público, S.L.U
	Ernst & Young S.L.
ირლანდია	Ernst & Young Chartered Accountants
იტალია	EY S.p.A.
კვიპროსი	Ernst & Young Cyprus Limited
	Ernst & Young CEA (South) Services Ltd
	Ernst & Young CEA (South) Holdings Plc
ლატვია	Ernst & Young Baltic SIA
ლიხტენშტაინი	Ernst & Young AG, Basel
	EY GmbH & Co. KG Wirtschaftsprüfungsgesellschaft, Stuttgart, Germany
	Ernst & Young AG, Vaduz

წვერი სახელმწიფო	სავალდებულო აუდიტორი ან აუდიტის ფირმა
ლიტვა	Ernst & Young Baltic UAB
ლუქსემბურგი	Ernst & Young Luxembourg
	EYL Luxembourg
	Ernst & Young
მალტა	Ernst & Young Malta Limited
ნიდერლანდები	EY Accountants B.V
ნორვეგია	Ernst & Young AS
პორტუგალია	Ernst & Young Audit & Associados–SROC, S.A.
პოლონეთი	Ernst & Young Audyt Polska spółka z ograniczoną odpowiedzialnością
	Ernst & Young Usługi Finansowe Audyt spółka z ograniczoną odpowiedzialnością
	Ernst & Young Audyt Polska spółka z ograniczoną odpowiedzialnością Finance spółka komandytowa
	Ernst & Young Audyt Polska spółka z ograniczoną odpowiedzialnością spółka komandytowa
რუმინეთი	Ernst & Young Assurance Services SRL
	Ernst & Young Support Services SRL
საფრანგეთი	Auditex
	Ernst & Young Audit
	Ernst & Young et Autres
	EY & Associés
	EY France
საბერძნეთი	Ernst & Young (Hellas) Certified Auditors Accountants S.A.
სლოვაკეთი	Ernst & Young Slovakia, spol. s r.o.
სლოვენია	Ernst & Young d.o.o.
უნგრეთი	Ernst & Young Könyvvizsgáló Korlátolt Felelősségű Társaság
ფინეთი	Ernst & Young Oy
შვედეთი	Ernst & Young AB
ჩეხეთის რესპუბლიკა	Ernst & Young Audit, s.r.o.
ხორვატია	Ernst & Young d.o.o.

2025 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის, EY-ის აღნიშნული წვერი ფირმების მთლიანმა ბრუნვამ, რომელიც წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტიდან იქნა მიღებული, დაახლოებით 2.8 მილიარდი ევრო შეადგინა.

EY-ის საქმიანობის უმთავრესი მიზანია „უკეთესი ბიზნესი უკეთესი მსოფლიოსთვის“. ამ მიზნის მისაღწევად EY ქმნის ახალ ღირებულებას კლიენტებისთვის, თანამშრომლებისთვის, ფართო საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოსთვის და ამავდროულად ამყარებს ნდობას კაპიტალის ბაზრების მიმართ.

მონაცემების, ხელოვნური ინტელექტისა და მოწინავე ტექნოლოგიების დახმარებით, EY-ის გუნდები კლიენტებს ეხმარებიან მომავლის თავდაჯერებით ფორმირებასა და დღევანდელი თუ ხვალინდელი დღის ყველაზე მწვავე საკითხების გადაჭრაში.

EY-ის გუნდები კლიენტებს მომსახურების სრულ პაკეტს სთავაზობენ, რომელშიც შედის მარწმუნებელი, საკონსულტაციო, საგადასახადო, სტრატეგიასთან თუ ტრანზაქციებთან დაკავშირებული მომსახურება. EY-ის გუნდებს 150-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიაზე მომსახურების გაწევაში ეხმარება ამა თუ იმ სექტორის სიღრმისეული ცოდნა, გლობალური კავშირები, პრაქტიკული პროფესიული ქსელი და სხვადასხვა ეკოსისტემის პარტნიორები.

მთელი ეს რესურსი ემსახურება წარმატებული მომავლის შექმნას.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული, მონაწილეთა გარანტიით შეზღუდული კომპანიაა, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. EY-ის წევრი ფირმები არ ეწევიან იურიდიულ პრაქტიკას, სადაც ეს აკრძალულია ადგილობრივი კანონმდებლობით. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2025 EYGM ლიმიტედი
ყველა უფლება დაცულია

EYG no. EYG no. 006670-25GbI
BMC Agency GA 195144122
ED None

წინამდებარე მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად საბუღალტრო, საგადასახადო, იურიდიულ და სხვა სფეროებში. თქვენთვის საინტერესო საკითხებისთვის მიმართეთ ჩვენს პროფესიონალებს.

ey.com